საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული
საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია

ლევან ფრუიძე

# იქ, სადაც იბადება რიონი

(რაჭის ხსნა დღეს შეიძლება, ხვალ გვიან იქნება)

„მეცნიერება"
თბილისი
1990

60.7(2Г)
ფ 96

სამოციანი წლებიდან რაჭაში მოსახლეობის ბუნებრივი კლება დაიწყო, რაც დღესაც შეუქცევადად გრძელდება. სწორედ ამიტომ საქართველოს ეს ისტორიული კუთხე მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. მიმდინარეობს საგანგებო კვლევა-ძიება, მონოგრაფიულად შეისწავლება რაჭის თითოეული სოფელი.

კვლევის წინასწარი შედეგები ამ სტრიქონების ავტორის პუბლიცისტური ნარკვევის სახით — „რაჭა ეთნოგრაფის თვალით", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ" 1986 წელს დაბეჭდა. ამჟამად ქვეყნდება აღნიშნული ნარკვევის მეორე წიგნი, სადაც კვლავ ნაჩვენებია რაჭის მრავალი სატკივარი და მეტნაკლები სისრულით მოცემულია არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზები.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები,
პროფესორები: ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი,
ე ლ გ უ ჯ ა ქ ვ ა თ ა ძ ე

ფ $\frac{0505000000}{М\ 607(06)-90}$ 196—90 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1990

ISBN 5—520—00870—1

„რვა წლის წინათ, 1980 წელს, ამბროლაურის რაიონში, ქალაქსა და სოფლად, 19 ათას 900 კაცი ცხოვრობდა. სადღეისოდ ეს ციფრი 17 ათასამდე შემცირებულა.

1987 წელს რაიონში 175 ბავშვი დაიბადა. მაგრამ ახლა გარდაცვალებულების რიცხვს აღარ იკითხავთ? აი ისიც: 398! გარდაცვალებულთა რიცხვი, როგორც ვხედავთ, დაბადებულთა რიცხვს ორჯერ აღემატება, რაც სხვა არაფერია, თუ არა მამაპაპურ კერაზე მისი მკვიდრი მოსახლეობის გაქრობის ავბედითი ნიშანი!"

რევაზ ჯაფარიძე („კომუნისტი", 1988, № 159, 9 ივლისი, გვ. 3).

ღები რიონის ხეობის თავსოფლად იწოდება და ეს დღეს მართლაც ასეა, რადგან მის ზემოთ დასახლება აღარ მოიპოვება, ადრე კი ყოფილა — „თევრეშო კაი სოფელი..."; ბრილი უძველესი სამთამადნო დაბა, სადაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულიდან ძველი მეტალურგები ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ. რიონის მარცხენა წყალუხვი შენაკადების ჩვეშურასა და ზოფხითურას ხეობებში გეოლოგებმა მრავალ მაღაროს მიაკვლიეს. სამთო საქმის პირველი, უბადლო ოსტატები ლითონის ქანს ცეცხლით ახურებდნენ, შემდეგ ციივი წყლის ანაზდეული მისხურებით დაბზარავდნენ და ქვის ურიოებით ამტვრევდნენ. მადანი ხის გობებითა და ტყავის გუდებით გამოჰქონდათ, ასუფთავებდნენ და შუმ სპილენძს ზოდებად ასხამდნენ, უმეტესობას ადგილზე მოიხმარდნენ, ხოლო ნაწილი მახლობელ და შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ. რიონისა და მისი შენაკადების ხეობებსა და მიმდებარე გადასასვლელებზე — ზეკარებზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო. ამ საერთაშორისო მნიშვნელობის გზების შემოგარენში ხშირად იჩენს თავს სპილენძის საექსპორტო ზოდები, როგორც რაჭველ მელითონეთა დიდი წარმატების უტყუარი დადასტურება.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენის ლითონის ხანის გარიჟრაჟი რაჭის სინამდვილითაცაა დავალებული. დროის მოთხოვნა გოროზ მთებს არათუ ხელმისაწვდომს ხდიდა, არამედ თამამი, მარჯვენაძლიერი ადამიანები მათი მკერდის სიღრმეში იჭრებოდნენ და მადნით მდიდარი რიონის სათავეები ყველა

კულტურული ხალხისათვის მიწყივ ცნობილად, მახლობლად იქცა. ამითაც აიხსნება ძველი ფასისისა და კოლხეთის იგავმიუწვდომელი დიდება, რაშიც ბრილელ მეტალურგებს ფასდაუდებელი წვლილი აქვთ შეტანილი.

ბრილი — „უალი მთის ნაწრეტი" ზოფხითურა რიონს სადაც ერთვის, ხელმარჯვნივ „შიუკაჭალაა", ღებელ მესაქონლეთა ქოხებითა და ქართა-ფარეხებით მოფენილი, ხელმარცხნივ ბრილია. ამჟამად მის ზეგანზე ხავერდოვანი სათიბი ბიბინებს, რომელსაც ქოჩორა „ბრილი-ქედი" დასცქერის. ქედს მილმა ტაფობს „ბრილიზურგსუკანი" ჰქვია. მხცოვანი მთხრობელების მტკიცებით, იქ ოდესღაც სოფელი და სალოცავი ყოფილა. აქრე თურმე ღებელებს იმ „ნაწილიან ადგილას". შორეული წინაპრების მოსაგონრად ზედაშე და სანთელ-განატეხი მიჰქონდათ, ახლა კი ნამოსახლარი მივიწყებულია.

ბრილი — რიონსა და ზოფხითურას შორის მოქცეული ხერთვისია. შესართავთან „ცხვირზე" უსათუოდ ციხე-სიმაგრე იქნებოდა. ასეთი ხერთვისებით მთელი საქართველოა მოფენილი და, ბუნებრივია, მდინარეუხვ რაჭასაც ხერთვისები არ აკლია.

ბრილში თუ ოდესმე სრულყოფილი გათხრები ჩატარდა, ჩვენ მივიღებთ ნამდვილ მეცარეთა — ხელმადლიან მელითონეთა ქართული ქალაქის პირველქმნილ სახეს — ბრძმედ-ქურებით, კვარტალებით, კერძო და საზოგადოებრივი შენობებით, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობებით, სამაროვნებით...

ბრილი — მეტად მოხერხებულ, ხელსაყრელ ადგილას მდებარე ერთ-ერთი პირველი დასახლებაა, სადაც თავს იყრიდა ზოფხითურას და ჩვეშურას მთების სპილენძის მადანი და ლუხუნის ხეობის დარიშხანი, რათა ბრინჯაო მიეღოთ.

ბრილი — ჯანსაღი ჰავა, მაცოცხლებელი წყალი და ჰაერი, წარმტაცი სათიბ-საძოვრები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სავანეა.

ბრილი — ორიათასხუთასი წლის მანძილზე უწყვეტად ამარაგებდა ქვეყნებს ბრინჯაოს ნაწარმით და ვინ იცის, ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის 70-იან წლებში ბინადარ ხალხთა რისხვა, — ჭიანჭველებზე ურიცხვი ჰუნები რომ არ შემოსეოდნენ და მიწასთან არ გაესწორებინათ, ბრინჯაოს აქაური დიდოსტატები ალბათ დღემდე შეინარჩუნებდნენ მამაპაპათა უძველეს ხელოვნებას, ისევე როგორც წედისლებმა შესძლეს რკინის მოპოვება-დაწურვა-მჭედლობის წესები გვიან ხანებამდე შემოენახათ.

...შიუკაჭალაში მექოხე მანდილოსნები შემოგვეგებენ, თავიანთი ნახელავი ყველითა და კარაქით გაგვიმასპინძლდნენ. გუშინ ბრილის

წმინდა გიორგიზე ზედაშე და სანთელ-განატეხი მიუტანიათ. ბრილი ცოცხალია, ბრილი სუნთქავს... ღები და ბრილი ვინ გაყო!

ღებელებს ამჯერად ამომწურავად აქვთ ათვისებული რიონის სათავეები. ასევე იყო კაცობრიობის ისტორიის საწყისებიდან, რასაც ცხადყოფს მიწის წიაღის ღაღადისი, დრო და დრო მორცხვად რომ გადაიხსნის მკერდს და კდემით განსაცვიფრებელ შედეგებს გამოაჩენს. მაღალმთიანეთის ამ საკვირველ სანახებში ალაგ-ალაგ პატარ-პატარა სოფლები ჩნდებოდა, ზოგჯერ მეტალურგთა დაბებიც კი, მაგრამ ღები იყო ყველა ასეთნაირ დასახლებათა დასაბამი და დვრიტა. ღები, რომელიც რიონისა და ჩვეშურას ხერთვისზეა გაშლილი და თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო რაჭის კავკასიონის ამ მონაკვეთზე ბატონობს. აქაური მთების კარიბჭეთა გასაღები ღებელებს ეპყრათ ხელთ და მტერ-მოყვარეს ღირსეულ პასუხს სცემდნენ. რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გაჩენილა სრულიად ორიგინალური ნაგებობა დუროიანი ციხე-სახლი, რომელიც შესაშური სრულქმნილებით ითავსებს საცხოვრებელ და თავდაცვით ფუნქციებს. ღვაწლმოსილმა პროფესორმა ს. მაკალათიამ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში მხოლოდ ღებში ორმოცდაათზე მეტი დუროიანი სახლი აღრიცხა. ამჟამად მარტო ერთიღაა გადარჩენილი, ისიც დაკნინებული, დანგრევის პირას მისული და ახალი ნაგებობებით შევიწროებული. ჯერჯერობით ამაოა ყოველივე ცდა მისი გადარჩენისა. დიდი ხანია მომწიფდა საკითხი ღების ძველი უბნების რესტავრაცია-აღდგენისა, იქნებ ამის შემდეგ მაინც შევინარჩუნოთ მთიანეთში ერთადერთი და უნიკალური ციხე-სახლი.

მიუხედავად იმისა, რომ ღებში მოსახლეობა მნიშვნელოვნად მცირდება, სოფელი მაინც მხრებს შლის და იზრდება. საერთოდ, თანამედროვე რაჭაში ასეთი მიდრეკილებაა და ღებიც რაჭის ორგანული ნაწილია. სამწუხაროდ, სახლების გაცხოველებული მშენებლობა მკვიდრი მოსახლეობის ზრდის შედეგი კი არ არის, არამედ რაჭიდან წასულთა ადგილის დედისაკენ ლტოლვის ნაყოფია. თუ ასე გაგრძელდა, რაჭა მოაგარაკეთა დასახლებად გადაიქცევა. გეთანხმებით, სრულ გაუკაცრიელებას ასე სჯობია, მაგრამ ადგილობრივი მწარმოებელი მკვიდრის შენარჩუნებაა უპირველესი ამოცანა, უფრო მეტიც, ერის სასიცოცხლო აუცილებლობა. რა შეედრება ამ სიკეთეს, რომ ჯერ კიდევ რიონის სათავეები ღებელებითაა სავსე. ყველა იქაური მთის, ხევის თუ ველის პატრონი ისინი არიან. ისტორიის თავზარდამცემი სიღრმიდან დღემდე მათი ოფლი, სისხლი და ხორცი აპოხიერებს ძველთაძველ ქართულ მიწას, ისმის შრომის დიდების უწყვეტი ჰანგი, ანდა, ჰე, ჰე, ჰეი! ბრძოლასაც ხალისიანი ხუმრობა ახლდა:

ჭიორიჭალი ყელასა,
ღებურნი სცემდნენ ყველასა,
რაჭის მეფე დოუჭირავს
ციდამტკაველა გელასა.

ფასისის სათავეებში გლოლა, ღები და ჭიორა უნდა მძლავრობდნენ. უამათოდ დაობლდება ეს დიდებული მთები, მშვენიერი, ყვავილოვანი სათიბ-საძოვრები, ნაყოფიერი ჭალები და სახნავ-სათესი. დაიკარგება ათასწლეულთა მანძილზე გამომუშავებული შრომითი ჩვევები. რის მეოხებითაც ადგილობრივი მთიელი მრისხანე მთებს იმორჩილებს, მძვინვარე სტიქიას თოკავს და კოლხეთის მაღალმთიანეთის ერთადერთი ბატონ-პატრონია.

საარჩეებში, საჯიხვეებსა და საარწივეებში მუხლმაგარი ვაჟკაცები ლაღად დანავარდობენ და წივიან ცელები, რძიანი ბალახის ჭავლი საკუთარ ფესვებს ეფინება; ციცაბოებზე იდგმება გოლიათი ზვინები, რომელთა ჩამოტანა მხოლოდ შუა ზამთარში, მოყინულ თოვლზეა შესაძლებელი. ყოველი ზვინის ჩამოცურება თავგანწირვაა, ვმირობაა. დიახ, მართლაც დევგმირები არიან გლოლელი, ღებელი და ჭიორელი მუშაკაცები, ახლაც ალალად რომ იხდიან მამაპაპურ ვალს, თავდაუზოგავად შრომობენ და მშობლიურ მთებს არ აობლებენ. წინაპართაგან შესისხლხორცებული მდიდარი ცოდნა-გამოცდილებით ისინი მკაცრ ბუნებაზე იმარჯვებენ და თვალშეუდგამ ქარაფ-ჭიუხებს და ციკ, მოქურუხებულ მყინვარებს ადამიანურ სითბოს არ აკლებენ. ადამიანები სჭირდება მთებს, უმწეონი და სუსტნი კი არა, აი ისეთი როგორიც მთის რაჭველები არიან: გულადნი, დაუზარელნი, მხიარულნი და მოქილიკენი, პოეტურ გარემოში პოეტური სულით გამსჭვალულნი. ღმერთმა ნუ ქნას, მათი ალმაფრენა და შრომითი ჩვევები დაიკარგოს... ამაყი ღებელი რომ დახლში დადგება, არა მარტო ისაა ფრთამოტეხილი, არამედ ყველა ჩვენგანიც. ღებელის ადგილი მთაშია, მისი წილხვედრია საჯიხვეებსა და საშურთხეებში ნავარდი; ღებელი რომ სათიბს გახედავს, ჯერ მხრებს გაშლის და მერე ცელს მოიმარჯვებს, ანდა მოსამკელი ყანის ფერხთით, ნამგლით ხელში ჩაიჩოქებს, რა სიმდიდრე შეედრება ამ სახილველს და სიამოვნებას. არა, ღებელი მთას არ უნდა მოწყდეს, არა მხოლოდ წარსულისა და აწმყოსათვის, ეს მომავალი თაობების წინაშე მიუტევებელი ცოდვა იქნება. მითუმეტეს უკვე ვიწვნიეთ ხევსურეთისა და თუშეთის დაცარიელებული მთების სიცივე. მთებიც ვერ ძლებენ უადამიანებოდ, მთებსაც სჭირდებათ კაცის ხელი, ისევე როგორც ხოდაბუნსა და ზვარს, ბალ-ბოსტანსა და ყანა-ვენახს. რა სითბო და სილამაზე ექნება მთამაღალს გადაკრეჭილი სათიბებისა და ხალებად ჩადგმული ზვინების გარეშე?!

კვამლის სუნი, საქონლის ბღავილი და პირუტყვის ყელსაბამი ზარების წკარუნი მგლებსა და დათვებსაც კი სიამოვნებსო — ირწმუნებიან ღებელები. ადამიანებისაგან განწირულ მთებში ბუნების ზეშთაგონებული წესრიგი, ჰარმონია ირღვევა. ქალაქური ცხოვრების წესს შედარებით სწრაფად, ოღად ეჩვევიან, ხოლო მთებთან კვლავ შეგუებას, წინაპართა შრომითი ჩვევების ხელახლა გამომუშავებას საუკუნეები დასჭირდება. ამას ღებელები კარგად გრძნობენ და სოფლიდან ყოველი წასული კომლის გამო სინანული ეუფლებათ. ღებიდან მოსახლეობის დაძვრა არავის უკვირს, ეს კანონზომიერი, ჩვეულებრივი მოვლენაა. მიუხედავად უზარმაზარი გასატევარისა, მთის რაჭველებს მიწა არ ყოფნით, ამიტომ მოშენებულ-მომრავლებულთა ნაწილი იძულებული ხდებოდა საყვარელი სანახები დაეტოვებინა და საარსებო გარემო სხვაგან გამოენახა. გარნა ადგილობრივი კერა არ ქრებოდა, ერის უკვდავების წყარო — ოჯახში ბავშვი არ ილეოდა. ახლა რა ხდება? როგორც უკვე არაერთგზის აღგვინიშნავს რაჭიდან მოსახლეობის ჯანსაღი, ახალგაზრდა, მზარდი ნაკადი რიონის სისწრაფით მიედინება, ყველა ხეობაში გადაშენების შავი აჩრდილი დაფარფატებს, სკოლები იხურება, სოფლები ბერდებიან და თანდათან კვდებიან. ბუნებრივია, ამ აებედით ვითარებას ვერაფერს შველის გარედან პენსიონერთა მოძალება და სახლების მშენებლობა, თუმცა მხარის მთლად დაცარიელებას ასე ჯობია. რაჭის გადარჩენა მარტოოდენ ადგილობრივი ახალგაზრდობის შენარჩუნებით შეიძლება და რომ ამას მივაღწიოთ. თითოეული სოფლის ავკარგი მეცნიერული თვალთახედვით, გამოწვლილვით უნდა ვიცოდეთ. ამასთანავე, ყოველი კომლის, ყოველი პიროვნების სატკივარს უნდა გავეცნოთ და სალბუნ-მალამო დროულად გამოვნახოთ, რათა მკურნალ-მშველელი მათ სხვაგან არ ეძებონ. ამასობაში შვილთა შეძენის დრო ხელიდან არ წაუვიდეთ და სოფელს პენსიონერებად არ დაუბრუნდნენ.

მოქმედების სწორ გეზს თუ გამოვნახავთ, რაჭაში სხვა სოფლებთან შედარებით ღებს ჯერ კიდევ ეშველება. საშველს კი მისი ისტორიისა და თანამედროვეობის შეერთებასა და სადღეისოდ გამოყენებაში ვხედავთ. იქ რომ მთელი სიმძლავრით არქეოლოგიური გათხრები გაიშალოს, რასაც, სრულიად გადაუჭარბებლად, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება, თვალსაჩინო მეცნიერულ აღმოჩენებთან ერთად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც დასაქმდება. ღების ძველ უბანს თუ აღვადგენთ და ზამთარ-ზაფხულს მოქმედ კურორტად გადავაქცევთ, ხოლო ადგილობრივ მეურნეობას დამსვენებელთა და ტურისტთა მომსახურების ინტერესების მიხედვით წარვმართავთ, მაშინ ხომ შევძლებთ დაუსაქმებლად, წელიწადის ყოველ დროს, არცერთი მოზრდილი მცხოვრები არ დარჩეს, არცერთი გრამი „ზედმეტი პრო-

დუქტი" ტყუილად არ დაიკარგოს. სხვა გზას და გამოსავალს მე ვერ ვხედავ. სამთამადნო წარმოება კიდეც რომ გაიშალოს, ტურიზმის მოძალებულ ინდუსტრიაზე ხელს მაინც ვერ ავიღებთ. გვინდა თუ არ გვინდა, ტურისტთა უწყვეტი ნაკადი რაჭის ყველა უღელტეხილიდან მოედინება, გაცილებით მეტი, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა აღრიცხავს. ბუნებას, მთებს მოწყურებულ ადამიანთა შემოსევები (დიახ შემოსევები!) გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით საგრძნობია ივლისს-აგვისტოში.

გვესაუბრება ბაგრატ გობეჯიშვილი, რომელიც რიონის სათავეებში, „გორიბოლოს" ტურისტთა თავშესაფარს ხელმძღვანელობს: დავიტანჯე კაცი, მეტი აღარ შემიძლია, ათობით კი არა, ასობით მოდიან. თხოულობენ პურს, მარილს. რიონის მთელ ზემო წელში ერთი სასადილოც არ არის, სადაც მგზავრები დაისვენებენ, დანაყრდებიან. ჩვენს თავშესაფარს ბუფეტიც კი არ გააჩნია. რიონისა და მისი შენაკადებისპირა მდელოები მოგზაურთა კარვებითაა მოფენილი. საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ შეეხვდებით აქ ჩამოსულებს. ვისაც წიგნი წაუკითხავს, ანდა არგონავტების მითი ზღაპრად მაინც გაუგია, ყველა აქ მოდის. საჭმელ-სასმელთან ერთად ახსნა-განმარტებებსაც თხოულობენ, სურთ ჩვენი მიწის სუნთქვა და ისტორია შეიცნონ. ამ საქმეში ვბერდები, გამოცდილება არ მაკლია და დავრწმუნდი, რომ ასე აღარ შეიძლება, მარტო ბუნების ამარა როდემდე უნდა დავრჩეთ? ტურისტები რომ მიიზიდონ, უცხოეთში რაღაც არ იგონებენ — პიზას დახრილი კოშკი, ტბის საცურება — ურჩხული ნესსი; ამერიკელები თურმე ციხე-სიმაგრეებს ევროპაში ყიდულობენ და საკუთარ მამულში გადააქვთ, ღებში კი შეუდარებელი ღირსების ძეგლები თავზე გვენგრევა. გული მტკივა, უკანასკნელ დუროიან სახლს რომ ჩავუვლი, სადაცაა მიწასთან გასწორდება და სირცხვილს ვჭამთ... ეეჰ, სიტყვა გამექცა, ტურისტების მოზიდვაზე ვამბობდი, ჩვენთან პირიქითაა, თვითონ მოდიან და საკადრისად ვერ ვხვდებით. კოლხეთი და ფასისი დღეს ვინ არ იცის, ჰოდა, გვინდა თუ არ გვინდა, მოდიან, ბატონებო, მოდიან და სულისა და კუჭის საზრდოს ჩვენგან თხოულობენ. მე — ერთ კაცს რა შემიძლია?! რიონის სათავეებს მთელმა საქართველომ უნდა მიხედოს. აქედან ჩვენი სახელოვანი წარსულიც კარგად წარმოჩინდება და მნიშვნელოვან საზღაურსაც მივიღებთ...

ვზივართ მე და ბაგრატი მის მიერ აგებულ ქვითკირის თავშესაფრის აივანზე, რომელიც გორიბოლოს ჭალაში ფაფარაყრილ რიონს გადასცქერის, წინ ბუმბერაზი ედენას მთაა აყუდებული მყინვარებით, ჩანჩქერებით და საჯიხვეებით დამშვენებული; ხელმარჯვნივ სასვანოს გორაძირზე, ლუხუმის მთიდან, მდინარე ლუხუმი ჩამოუდის, ამავე მთიდან გამომდინარე უფრო წყალუხვ მდინარეს გადაღმა ლუხუნი

ეწოდება და რიონს ბარაკონთან უერთდება. სასვანოგორის სათიბებს სირმასავით ჩაჰქარგვია სვანეთისაკენ მიმავალი ბილიკი, ჯერ ულამაზეს, ლურჯთვალა ტბას რომ შემოევლება, მერე ვაციწვერას ზეკარს გადასერავს და ღებს უშგულთან აკავშირებს, საერთოდ კი მთის რაჭას როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთთან.

ვზივართ მე და ბაგრატი, ვმუსაიფობთ, უფრო სწორად ხმამაღლა ვოცნებობთ: ასეა თუ ისე, გორიბოლამდე ავტომანქანა მოდის, მხოლოდ აქაურ მძღოლებს შეუძლიათ რისკი გასწიონ და „ორხიდიანი დევი" კლდეებსა და მდინარეებს შეაჭიდონ. ეს გზა რომ ისე კეთილმოეწყოს, ბუნების სისადავე არ დაირღვას, მაინცდამაინც ძვირი არ დაჯდება, მეტადრე აფეთქებებს და განსაკუთრებულ ღონისძიებებს არ საჭიროებს.

ისტორიულ ძეგლებს მიწის ზედაპირზედაც უნდა მივხედოთ და მიწის ქვეშაც. გეგმაზომიერი გათხრების შედეგად ისინი მკვდრეთით უნდა აღდგნენ, გაიწმინდონ და საჩვენებელი სახე მიეცეთ. შარშან ფიცრიხულაში ერთი სამარე გაიხსნა, მთელი ველი გორასამარხებითაა მოფენილი, თუ გნებავთ ზორფასაში წმინდა მინდორს რომ ეძახიან, ანდა რომელი ერთი ჩამოვთვალო?

რაც ახლა უტყეო ადგილებს ხედავთ, თითქმის სამოციან წლებამდე, ყველა იხვნებოდა, საუკეთესო ქერი და კარტოფილი მოდიოდა. აქაური კარტოფილის გემო საიმერეთოს ახლაც ახსოვს. ქვემო რაჭის სოფლებში ღებელები კარტოფილს ღვინოზე ცვლიდნენ. ქუთაისსა და სხვა ქალაქებში ფულზე ყიდდნენ. ვაი სირცხვილო, მთის რაჭაში ახლა კარტოფილი ქუთაისიდან მოაქვთ! იყო დრო ღებელი ჩოდრები (პირუტყვით მოვაჭრენი) ამიერ და იმიერ კავკასიაში პირველობდნენ; ჩვენებური დიდროვანი, ტანოვანი საქონელი ხომ საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ. ისევ გამექცა სიტყვა...

აი იმ მთების „გარეყანებში" ბევრი მხვნელი ნახულობდა ბრინჯაოს იარაღს, სამკაულებს და თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს. აქაურობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და ძველ ნასახლარებს შერჩევით თუ აღვადგენთ, შეიძლება ტურისტებმა ბრინჯაოს ხანაშიც იმოგზაურონ. უძველესი მაღაროებიც მნახველებს ელიან. ვინ დაზოგავს ფულს, ოღონდ ასეთი საკვირველება იხილოს. მოსალოდნელ მოგებასთან შედარებით კაპიკებია დასახარჯი. მთლიანად ეს ხეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს. ღებელები და ჭიორელები, ძირითადად, ნაკრძალის მომსახურებაზე უნდა დასაქმდნენ. ჯერჯერობით ამ ჭიუხებში თანამედროვე ტექნიკა მაინც ვერაფერ შედეგს აღწევს, ამიტომ ისევ მამაპაპური, ტრადიციული მეურნეობა უნდა განვავითაროთ. ყველა ოჯახს უნდა ჰყავდეს ულელი ხარი, ცხენი. ხვნა-თესვა, თიბვა-მკა, კალოობა. შეშის მოტანა თუ

ზოსაელის ბილაგება ძველებურად, ჩვენებურად უნდა მიმდინარეობდეს; ტანსაცმელიც აქაური უნდა ეცვათ, რათა უცხო თვალმა ნახოს და მიხვდეს, გარემოს როგორ ამკობს ადამიანი. სასურველია, ნაგებობანი, კერძო თუ სახელმწიფო, ადგილობრივი არქიტექტურული სტილის გათვალისწინებით აიგოს, რათა ბუნებისა და მცხოვრებთა მრავალათასწლოვანი შეთანაწყობა არ დაირღვას. კოშკი, დუროიანი ციხესახლი, სამეურნეო ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში — ქოხ-ბოსელი ციდან არ ჩამოვარდნილა, რაჭველმა მშრომელმა კაცმა შექმნა — მაღალი გემოვნებით და გამოყენების საოცარი მოხერხებულობით. სწორედ ამიტომ შემოგარენს ხალხურ ნაგებობათა სტილი იგავ-მიუწვდომელი სრულყოფილებით ეხამება. მოცემულ რელიეფზე ფუნქციისა და სილამაზის მსგავს შერწყმას ვერცერთი გენიალური ხუროთმოძღვარი ვერ მიაღწევს, თუ მან მკვიდრთა ცოდნა-გამოცდილება არ გაიაზრა და გაიზიარა.

გორიბოლოდან ფასის მთამდე გზატკეცილის გაყვანა არ არის აუცილებელი. ეს რვაკილომეტრიანი მონაკვეთი საცალფეხო და საცხენოსნო ბილიკად უნდა დარჩეს, რათა მოგზაურმა მთაში ფეხით სიარულისა და ცხენოსნობის სიამოვნება სისხლხორცეულად განიცადოს. არ შეიძლება ეს მომაჯადოებელი ფიანდაზი სწრაფად განვლო, სიამოვნების ტკბილი ნექტარი ნელ-ნელა შესვა, ქარაფ-წალკოტთა ცქერით თვალი და ფული დაიამო.

რიონის ჩქერებით დასველებულ ბილიკს აღმა მივყვებით. ხელმარჯვნივ ჩდილი-ედენას ღრუბლის საბანი წამოუხურავს და თვლემს, შხიურენდენას მზე ადგას და პიტალი კლდის ვერძის შუბლზე დაშაშრული ყინულიდან, რომელსაც რაჭველები „სკორეს“ უწოდებენ, სამ ნაკადად მოსჩქეფს ჩანჩქერი.

— კლდესა და საჩქეფს შუა იმხელა არეა, ადვილად გადაიწვიმებ, — ეტყვის ბაგრატ ბოლოდიშვილი, — აქაური ყოველი ლოდი, ბუჩქაველი მიწა რომ იცის და მაინც პირველმხილველის ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს, ესათუთება, ესიყვარულება გარემოს.

— ოცდასამი წელია, აქ ვტრიალებ, — განაგრძობს ბაგრატი — და ედენას სკორე თვალნათლივ ილევა, კლდე გაქაჩლდა და ვერძისშუბლებმა წინ წამოწიეს. მათი სიმრავლე კი ყინულეთის სიკვდილის დასაწყისია. სკორეს გაქრობა მდინარეთა მკვებავი წყაროების დაშრეტას ნიშნავს. ბუნების წონასწორობა ირღვევა და ჩვენ ჯერჯერობით მაყურებლის როლში ვართ, თუმცა შეუძლია კი ადამიანს რაიმე ილონის? ნეტა რაც კაცს ძალუძს იმას აკეთებდეს და ედენას სკორე მოითმენს, მილიონ წელიწადს მაინც იდგაფუნებენ მისი ჩანჩქერები.

ბილიკი საარწივეს ტყიანებში შეგვიძლია, ედენას რუს კიპორეზე გადავგვიყვანა და ჭარიქვაბის უკავილნარს გვაზიარა. აქ წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების მეცხვარეთა ბინებია. ნაგაზები ბოზოქრობენ და თათარი მწყემსები მათი შემოტევებისაგან ძლიესლა გვიცავენ. გამარჯვება ქართული სოფელია, ფარების მწყემსებად ვერცერთი ქართველი მეცხვარე ვერ უშოვიათ და საგარეჯოს რაიონის იორმუღალნოს მკვიდრთ უკისრიათ ეს ძნელი, მაგრამ ფრიად სასარგებლო საქმე. თითოეულს თვეში საშუალოდ 400 მანეთამდე აქვს ხელფასი. თან საკუთარ ცხვარძროხასაც აქვე აძოვებენ. ამ საბალახოებზე ძველად მალყარელებს ცხვარი „ქედს გადალმიდან" გადმოჰყავდათ, ლებელები საბალახო გადასახადს იღებდნენ, რომელსაც საერთო-საოფლო საქმეს ახმარდნენ. ამჟამად ღების მთებში ცხვრის ფარების ძოვებას ადგილობრივთათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით „ნაცხვრები მინდორი" მსხვილფეხისათვის უვარგისია, თან მარჩენალ სათიბ-საძოვარს სარეველა მოერია, რომლის წინააღმდეგ არავითარი ბრძოლა არ წარმოებს.

ჭარიქვაბების თავში რიონს მზიურიედენას წყალი უერთდება და მდინარე ერთბაშად წყალუხვი ხდება. რიონი მცირეა, სუფთა, კამკამა, არასდროს არ იმღვრევა, ნამდვილი საკალმახეა, თუმცა ზღვის დონიდან დიდი სიმაღლის გამო, იქ უკვე კალმახი აღარ ბუდობს. ედენას ნაეური მღვრიე, ჩაისფერი და რიონზე გაცილებით წყალუხვია, მაგრამ ფასის მთამდე ჯერ კიდევ შორსაა და ამდენად რიონი სიგრძით უპირატესობას ინარჩუნებს. მის ჭორომიან ხეობას ერთჯერზე ლეკის ტყიანები მოსავს, შემდეგ ზორფასას მდელოებია, აღმართს აივლი და ფასის მთის პირისპირ აღმოჩნდები.

ფასის მთა — ალბათ ასეთი იყო აიეტი, იქნებ მეგრული — ჩქვალერული ნაბადი ემოსა, შავ-ერუნი ფერისა, კოლხური ვერძის საწმისისა.

აიეტივით წარბშეუმუხნული დგას ფასის მთა, მარცხენა მხარი ჩამოვარდნია და ზედ სწორედ ფასის ულელტეხილია, მარჯვნივ მაჩხაფარის მწვანით მოსილი. დაბალი გადასასვლელი.

ფასის მთას დაკოერილ, დაწახნაგებულ მკერდიდან უამრავი წყარო სდის. შეიძლება მას წყაროსთვლების მთაც ეწოდოს და „ფასიც" ქართულად ამას ნიშნავს. მე და ბაგრატი წყაროებს ვითვლით. ერთი ულმოაკვრესი ზედ მწვერვალის ყელთან იწყება, მის მკერდს ზუსტად შუაზე კვეთს, მთელ სიგრძეზე ეშვება, შეუიარაღებელი თვალით კარგად შესამჩნევ კალაპოტს ქმნის და ნაყარ „თიშში" (თიშს ღებელები მთის დაძრულ ნაშალს ეძახიან) უჩინარდება. გვერდით უფრო მომცრო წყაროს ვერცხლის ძაფი ჩანს, ხოლო გადასავლელის ძირას — ერთმანეთზე თანმიყოლებით შვიდი წყარო გადმოსჩქეფს. ყველანი

თიშებში უჩინარდება, ის უკიდურესიც პიტალოზე ჩანჩქერად რომ ღვრება.

ზეკარზე გადასასვლელი ბილიკი წავარნად იქცევა, მთაგრეხილზე დაბეჯითებით მიიკლაკნება, წინ წამოწეულ „კოდებს" („კოეებს", „კბოდეებს") თავზე მოევლება და „ღარტაფში" ლეჩაქივით ჩაფენილ თოვლს ლაქად დააჩნდება, შემდეგ თითქმის ბუნებისაგან საგანგებოდ ადამიანის სასიარულოდ გამოკვეთილ დერეფანს გაივლის. ესაა ფასის უღელტეხილი, გამოყენებული იმ ჟამიდან, როდესაც კაცობრიობის მოდგმამ ფეხი აიდგა, მთებს შეეჭიდა და მოგზაურობა დაიწყო. მიმოსვლის მაშინდელი საშუალებებით, მიუდგომელი მთა ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა, მთა გახდა პირველქმნილი კულტურის აკვანი. რა არ უნახავს ფასის ყოვლისმხილველ თვალს, მრავალგზის სმენია უმეცარ ველურთა („ველურები" საქართველოში ველიდან მოდიოდნენ) აღტკინებული ყიჟინი, მეცართა — ქვის თუ ლითონის იარაღების აღმომჩენთა შთამაგონებელი ლოცვა-ჩურჩული. უნახავს მიწაზე ჩამოსული ღმერთები და ზენაარამდე ამაღლებული მოყვასი, ბარბაროსთა კოცონები და კოლხთა ტანკენარი ტაძრები...

— ფასის მთაო, დიდებულო ფასის მთაო, თაყვანისსაცემლად მოვედი, შენს ფერხთით, შენი მრავალტანჯული მკერდის ნაშალზე, გრძნობამოჭარბებული, თვალცრემლიანი დავემხე, ვიგემე წყაროთა ნექტარი, იმ წყაროთა, აგერ თიშების ბოლოს რიონად — ფასისად რომ იკრიბებიან. ბედნიერი ვარ. ბედნიერი, ისტორიაში მქუხარე, ძველთაძველი მდინარის დაბადების კიდევ ერთი მოწმე რომ გავხდი. ვისაც მითის თილისმა მოსდებია, ვინც ლეგენდის სიტკბოება იცის, ვინც მატიანეთა ჩაყვითლებულ ფოლიანტთა სურნელით გაჟღენთილა— აქ მოსულა. ფასის მთის წინაშე ქედი მოუდრეკია და ფასისის წმინდა წყლით განწმენდილა. თუ აქ არ მოსულა, მოსვლის ოცნებაში ჩაფერფლილა. ვაი, რომ მისთვის ფასის მთა უცვლელებასავით მიუწვდომელი გამხდარა.

1986 წლის 9 აგვისტოა. ცხრათვალა მზე ფასის მთის ცხრაწყაროს გვირგვინად ადგას. უნაზეს ზეფირს ზორფასას ზურმუხტოვანი ველობებიდან თაფლის თუ საკმევლის დამათრობელი სურნელი მოაქვს. ლოდზე ვდგავარ, სწორედ მის უბეში ერთდება წყაროთა ნაკადური და მძლავრ რუდ — რიონად სახელდებული ახალ სიცოცხლეს იწყებს.

— რატომ უნდა დარქმეოდა ფასისს რიონი? — ფიქრებში წასულ კითხულობს ბაგრატ გობეჯიშვილი და ჩემთან ერთად მსჯელობს:

— ფასი — ფასა ამ მდინარის მშობელი მთის სახელია. ეს რომ შემთხვევითი არ არის, აი ამ ტაფობს, რაც მწვანითაა მოსილი ზორფასა ჰქვია. ზორფასაში უმყინვარო ფასის მთის ყველა წყარო იკრიბება და ასე წარმოიშობა ფასისი, შემდგომ რიონად წოდებული. რი-

ონი ფასისის წყალია, „ის“, რამდენადაც ვიცი, ქართულში კუთვნილებას გამოხატავს, მაგრამ ვინ დაამტკიცა რიონი ფასისზე გვიანდელიაო. მახსოვს ბატონო, ამ სიტყვას ნამეტანი ჭკვიანი მეცნიერები ინდოევროპულობას აბრალებენ, იქნებ ეს ასეა, არავის ვეკამათები, ოღონდ რაჭაში გაბატონებულ „რუს“ რა ვუყოთ“, „რუ“ ჰქვია ღელეზე მოზრდილ და მდინარეზე მომცრო ყველა ბუნებრივ ნაკადს. ქართული ენის კანონების საიდუმლოებას დაუფლებული არა ვარ, თუმცა სიცოცხლესავით მჯერა, რომ რიონი „რუონია“ — ჩვენებურ რუთა ნამრავლია; ფასისიც ძველი ქართული სიტყვაა და რიონიც. მჯერა, მჯერა და ამ რწმენას ვერავინ წამართმევს, რომ ფასის მთა და ქართველი კაცი ერთად გაჩნდნენ. მათი სიხარულისა და ტკივილის ცრემლებია ეს წყაროები, ფასის-რიონად რომ ერთდება და თავისთავადი, სრულიად ორიგინალური კულტურის დასტურად შავ ზღვას უერთდება. ასეა, ბატონებო, ეს, მე არც მეცნიერი ვარ და არც ხელოვანი, ერთი უბრალო ღებელი კაცი ვარ, ამ მთებში დავიბადე, ამ მთებში გავიზარდე, აქაური წყალი მისვამს და ჰაერი მისუნთქავს. ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნება ზამთარ-ზაფხულს აქ ყოფნაა. ვინც აქედან მიდის, სულმოკლეს ვეძახი, მაგრამ ვაი რომ ძალიან მომრავლდნენ ასეთი სულმოკლენი. თუმცა სხვა სხვის ომში ბრძენიაო! შთელი დღე რომ მაღალმთის ციცაბოზე ჩაუმუხლავად იშრომებს, სულ ცოტა ათი მანეთის საკუთარ სასმელ-საჭმელს შესვამს და შეჭამს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს გასცვეთს, ჯანზე აღარას ვამბობ, დაზარჯულის შესამედს ვერ აინაზღაურებს, რა ქნას? თუ გასაქცევი იშოვა, წავა და რაპირით უნდა უკიჟინო, რად გაიქეციო!

გორიბოლოზე ფერმა ნახეთ ხომ? ახლა ზამთრობით იქ მშრალ პირუტყვს ინახავენ. მათ მოსავლელად ორიოდე კაცი რჩება, სამმეტრიან თოვლს მაინც დადებს და რამდენიმე თვით ქვეყნიერებას წყდებიან... განა რამდენი სიცოცხლე აქვს ადამიანს?!

ეე, ჩემო კეთილო, ჩვენი მამა-პაპანი ამ მშვენიერ ბუნების წიაღში ჭირის პურს ჭამდნენ, მიწიდან მოწეულს იმიტომ დაარქვეს ჭირნახული, მაგრამ მძიმე შრომას იმით ინაზღაურებდნენ, რასაც მოიყვანდნენ შინ მიჰქონდათ. მაინც არ ჰყოფნიდათ, „სხვისშვილებად“ — მოჯამაგირეებად, ხელოსნებად თუ ვაჭრებად ქვეყნიერებას ეფინებოდნენ და ღები ღებობდა, ფასისის სათავეებს ადგილობრივ მკვიდრთა სითბო არ აკლდა, ისეთი ხალხმრავლობა იყო, ფეხისდასადგამ მიწას დაუმუშავებელს არ ტოვებდნენ. ახლა კი ხნული სანატრელი გაგვიხდა, თან გადამთიელნი მოგვძალებიან, ჩვენ ვსუსტდებით, ვუძლურდებით, მასპინძლობა გვიჭირს. ძველებური კერძ-მოკეთეობით, მცნაურობა-პურ-ღვინით ფონს ვეღარ გავალთ,

მიბუმეტეს ყოველივე ეს მოხუცების ხსოვნასლა შემორჩა. თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიას სხვა ძალა და მასშტაბები სჭირდება. რაჭა კი მოსახლეობისაგან იცლება, საქართველოს ერთ-ერთი სიცოცხლისუნარიანი კუთხე იშრიტება, ობლდებიან თვალშეუდგამი მთები და წარმტაცი ხეობები, ვინ უნდა იყოს მათი პატრონი თუ არა ჩვენ? ჰოდა, სანამ უცხო თესლი იხარებდეს, თავს უნდა ვუშველოთ, შემოქმედებითად გამოვიყენოთ წინაპართა გამოცდილება, უმდიდრესი, საამაყო ისტორია თანამედროვეობის მოთხოვნებს შევუხამოთ და არაფრით არის დასაძრახი — შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ. ამას დღეს ბევრი კულტურული ერი აკეთებს და მისაღწეველსაც აღწევს. გული მიკვდება ამ ბალნარს გაპარტახებულს რომ ვხედავ, რამდენი მოგზაური გაიელის და რა ვერჩება: ნამუსრევი, ცონსერვის ქილების გროვები, დაბინძურებული წყაროსთვლები, ქერქგაღლეტილი და ნაჩეხი მცენარეები, ამოწყვეტილი და დამფრთხალი ნადირ-ფრინველი...

რიონის სათავეებში მიღებული ზეშთაგონება ყოველდღიურობის საჭიროებამ დათალხა. ფასის ზეკარზე ტურისტთა ლაშქარი გამოჩნდა, ციცაბოზე დაკიდებული წავარნით, დაწალიკებულნი ეშვებოდნენ. ჩამოივაკეს, იქ, სადაც იბადება რიონი. დასხდნენ, დანაყრდნენ, დარწყულდნენ და ხუნტრუკით აიშალნენ, ზორფასას მწვანედ მოხასხასე ხალიჩას სიცილ-კისკისით მოედვნენ. არავითარი კრძალვა, არავითარი ვაცნობიერება მხცოვანი ისტორიისა, მხოლოდ მოგზაურობის სურვილის მოკვლა და უბიწო ბუნებით ვნებიანი ყინის დაცხრომა. ჩაქოლილიყოთ დგას ჩაგრატი:

— თქვენ ახლა ნახეთ და განიცადეთ. მე კი ოცდასამი წელია ასე ვიტანჯები, მაგრამ რა ვქნა? ერთი მერცხალი გაზაფხულს მოიყვანს? ვაზეთ „თბილისს“ აქვს ასეთი რუბრიკა — „მე რომ თავმჯდომარე ვიყო“, იცით რას ვიზამდი?!

..და ხმამაღლა ვოცნებობთ მე და ბაგრატი:

— აი აქ, სადაც რიონი რუდ გამოდის, დიდი სვეტი უნდა აღიმართოს მრავალენოვანი წარწერით:

„აქ იბადება თვით ფასისი — ღმერთების სიხარული და მოკვდავთა სიამაყე“.

ზორფასას წმინდა მინდორზე ერთი შემაღლებული ადგილია, როგორც ჩვენებურები იტყვიან „ბეკი“, რომელიც რიონის სათავეზე ბატონობს, თითქოს განგებამ ქანდაკების კვარცხლბეკად შექმნა. და აჰა, მე და ბაგრატმა სკულპტურის თემაც შევარჩიეთ: „მედეა დაუბრუნდა აიეტს“.

— არა ბატონო, არა! მედეას სამშობლოსა და მამისათვის არ უღალატნია, ბერძნებმა არ დაინდეს მისი ქალობა და კდემამოსილება! — ანაზდეულად გაცხარდა ბაგრატი და უძველეს მითს თავისი

გულწრფელობით თითქოს საფუძველი გამოაცალა. ჩემს წარმოსახვაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა და აი, კვარცხლბეკზე ფასის მთასავით აღმართულა აიეტი, საავდროდ გამზადებული მწვერვალივით მრისხანე და შეუდრეკელი, აშკარა შეწუნარების თვალით უცქერის მის ტურფა, გრძნეულ ასულს. ძეგლის დევიზია — „არსად არ არის ბედნიერება ხამშობლოს გარდა!“

ქანდაკების ლიბოზე მონუმენტური ასოებით აწერია:

„ბედნიერი ხარ, მგზავრო!

შენ იხილე მდინარეთა შორის უპირველესი ფასისის სათავე.

დიახ, აქ, საქართველოს მკერდში იბადება რიონი — კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი დედამდინარე.

იგემე მგზავრო მისი ანკარა, მაცოცხლებელი წყალი, ირწმუნე, ამ წყაროსავით განიწმინდება შენი სული, მიხვდები, რომ ცხოვრების აზრი მხოლოდ შრომაში და მოყვასის სიყვარულშია.

წინ იარე მგზავრო, დატკბი ფასისის ხეობის მომაჯადოებელი სილამაზით. დაე, ყოველთვის იყოს ქვეყნად მშვიდობიანი მგზავრობა!“.

ქანდაკების კვარცხლბეკი იმდენად დიდი იქნება — შიგ მუზეუმი მოთავსდება — საქართველოს რელიეფური რუკით, ისტორიული და თანამედროვე ყველა მონაცემით. ერთი კედელი რაჭას — ფასისის მშობლიურ კუთხეს დაეთმობა.

დიახ, ქანდაკება ძალიან დიდი უნდა იყოს, ფასის მთის დიდებულების შესაფერისი და საქართველოს, იგივე აიეტის ღირსების გამომხატველი. დაე, მან აღძრას მოკრძალება ყველა გამვლელს შორის, რათა შესაფერისი პატივი მიაგონ იმ ისტორიულ მიწას, რომელზედაც აბიჯებენ. ამ მუზეუმში ოქროთი დაფერილი ასოებით უნდა წაიკითხონ ჩვენი ისტორია, არგონავტების მითი და სინამდვილე, პრომეთე-ამირანის ღმერთთან ჭიდილი, ცეცხლის დაუფლება და კოლხეთის მთებიდან ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის გამოშუქება. მეტი რაღა ექნათ ხატოვნად მოაზროვნე ძველ ბერძნებს, მათ ხომ მითისმთხზველობით ასახეს საქართველოს ჭეშმარიტი წარსული. მითებს სინამდვილად აქცევს აქაური მთაგრეხილების პირველადი მაღაროები, ლითონის ნამზადი, ძველთაძველი საცხოვრისები და სამაროვნები.

დღეს, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, წინაპართა განუზომელი ღვაწლი მრავალათასწლოვანი დაკონებით ღირსეულ დაფასებას მოითხოვს, ჩვენ თუ იმდენს ვერ შევქმნით, მამაპაპათა ნაღვაწის შესაფერისად აღნუსხვა მაინც უნდა შევძლოთ! ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მთის რაჭა ადგილობრივ მოსახლეობას არათუ შეინარჩუნებს, არამედ ძველებურად გაამრავლებს. ისტორიამ იცის სხვისი მემკვიდრეობის მითვისების აღმაშფოთებელი ფაქტები. მემკვიდრეობის დაცვა რომ შესძლო, უნდა არსებობდე!

— ხელი სჭირდება, ხელი აქაურობას! ხარჯი იმდენად არა, რაც მონდომება! — ფიქრიანობს ბაგრატი და შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ ბევრისგადამტან ბრძენკაცს. უცხოელებს რომ თავი დავანებოთ, არც ქართველებს აწყენთ საკუთარი ისტორიისა და ყოფის შეცნობა. მეტადრე იმან, ვინც მშობლიური ერის სასიქადულო თავგადასავალი სადღეგრძელოებითღა იცის, ასეთნაირს წიგნში ვერ ჩაახედებ, მაგრამ კარგად გააზრებულ თვალსაჩინოებას სად წაუვა? სტუმრებს პატივს სცემ და გაისტუმრებ, ჩვენ კი ჩვენი წარსულით, აწმყოთი და მყოფადით უნდა ვიცხოვროთ. ღებელი ქალები ოჯახს რომ ტოვებენ და დღესაც სამთეურ ქოხებში მეძროხეებად მიდიან, ვაქკაცები ღრუბლებს ზემოთ მოქცეულ სათიბებში თიბავენ, სწორედ ასეთ შრომას უნდა მოფრთხილება და დაფასება. აქ უშრომელი შემოსავლით იოლად ვერავინ გავა. ღებელები ჯერ კიდევ მამაპაპური გარჯით, ოფლის ღვრით, დღეღამ მუშაობით არსებობენ. და თუ ეს ტრადიცია დაიკარგა, მთები დაობლდებიან; კვლავ დაქინებით უნდა გავიმეოროთ: ბარიდან ამობრუნებული უმწეო იქნება და მიუსაფარი, ხელახლა ამ შრომითი ჩვევების გამომუშავების საუკუნე არ ეყოფა. ფრთხილად თუ არ ვიქნებით ისეთ საუნჯეს დავკარგავთ, რომელსაც ვერაფრით ვერ დავიბრუნებთ.

ზორფასას ბეკიდან, სადაც მე და ბაგრატმა ოცნებით ლეგენდარული აიეტის ქანდაკება დავდგათ, ერთხელ კიდევ თვალს ვავლებთ ფასის მთის დაღარულ გულმკერდს, პიტალოში სასწაულებრივად დაბადებულ წყაროებს, ცის სილაჟვარდეში დაბინდულ, ლაბირინთივით იდუმალ ზეკარს, მაჩხაფარისა და ვაციწვერას უღელტეხილებს, ძირს, ღრმა ხეობაში, რუებით რიონის გარიონებას, ამ სიმაღლიდან მაინც ვერცხლის ძაფივით რომ ჩანს. მის ანკარა წყალს გადასაშუადღებლად ჩარეკილი ცხვრის ფარა ეწაფება; თათარი მწყემსის გაუთავებელ ბაიათს ნაგაზების ყეფა-გნიასი ერთვის. ხეობაში ვეშვებით, აგერ სასვანო გორას მიღმა „ჯამათას ღელეს“ მივადექით. ავკაცობით გახდა ჯამათა ცნობილი. ისეთი საფარ-საშზერი ამოირჩია, საიდანაც ჩრდილო კავკასიიდან და სვანეთიდან მიმავალი მგზავრები ვერსად დაემალებოდნენ, დაუხვდებოდა და ძარცვავდა. შეწუხდა ქვეყანა, გადაღმელი თუ გადმოღმელი. შეითქვნენ ღებელები და საკადრისად დასაჯეს. მორწმუნენი ამბობენ: — მოკლული ბოროტმოქმედის სული საიქიოს, როგორც ყველა ცოდვილისა, ჯოჯოხეთის კუპრის ზღვაში იტანჯებაო, ხოლო სააქაოს დარჩა „ჯამათას ღელე“ და „ჯამათას ლექსი“. სანამ ღები იქნება, ერთიც იცოცხლებს და მეორეც, ასე მოიპოვა ყაჩაღმა ჰეროსტრატული უკვდავება.

ეს იმიტომ ჯამათაო,
არ გვიშვებდი მგზაურადაო,
წაგვართმევდი ჩოხა-ნაბადს,
დაგვადებდი ვალათაო.

მთის რაჭის ერთ-ერთი უკანასკნელი მეჭიანურე, ღებელი ვასილა გავაშელი, ახლაც აკვნესებს ჭიანურსა და გატაცებით მღერის ჯამათას ლექსს თუ ღების ცხოვრებიდან სხვა ხალხურ პოემებს. მთიელთა პოეტური ბუნება აქაც ყვავილობს, ოღონდ გულდასაწყვეტია, რომ ღებმა ჯერჯერობით თავისი ვაჟა-ფშაველა ვერ წარმოშვა.

თათარი მწყემსი ძალლებით უცან აგვედევნა, დაჟინებით გვთხოვდა მისგან მატყლი, ბატკანი ან ცხვარი შეგვეძინა, ბაგრატმა მოახერხა და თავაზიანად ჩამოიშორა.

ორხიდიანი დეგგმირი გზადწოდებულ ბედისწერას შებმია. მძღოლი — ნამდვილი ხელოვანი გურამ გავაშელი ისეთ ილეთებს აკეთებს თვით ჯადოქარსაც შეშურდება. ასე ვბრუნდებით ზღაპრული სამყაროდან. ყოველ მოხერხებულ ჩრდილსა და მდელოზე კარვებია გაშლილი, ვეებერთელა ზურგჩანთამოკიდებული მოგზაურები ყელგამოშვერილნი გვეხვეწებიან — წაგვიყვანეთო. ძარა ისეა გაჭედილი, ნემსი არ ჩავარდება. ფიცრიხულას ხასხასა მინდორს გათხრილი სამარე ყომრალ ლაქასავით დამჩნევია. შიუკაჭალის მექოხე ქალები ხელს გვიქნევენ, გულიანად გვემშვიდობებიან. ბრილს რძისფერი ნისლი დაუფლებია. ზოფხითურას შესართავი და ცაცოსხიდიც არ ჩანს. აგერ თევრეშო — „კაი სოფელი". გურამ გავაშელის საოცრად ზუსტი თვალზომის წყალობით, უხიფათოდ გადავედით მეტად მოუხერხებელ ხიდზე და ღებიც გამოჩნდა. მის სანახებთან მთავრდება რიონის რომანტიკა. აქ უხუცესი და მარად ჭაბუკი ფასისი მთის წყალუხვი, გიჟმაჟი მდინარეა, რომელიც ფართო კალაპოტში არ ეტევა, ბობოქრობს და ნაპირებს ანადგურებს. ახალუბნის გზას ახლაც მტრად მისდგომია და ადგილ-ადგილ ნაგზაურად უქცევია. თუ ასე გაგრძელდა, კარმიდამოებსაც დაითრევს და სახლებშიც შეეკარდება. წყალდიდობა ივნის-ივლისის კვირაძალზე იწყება (ამინდს, მზის ძალას და თოვლის დნობას გააჩნია) და ოქტომბრის დამლევამდე გრძელდება. ხანდახან ფაფარაყრილი ტალღები ისეთი ზათქით და ზრიალით წამოვა, ღმერთი გწამს თუ არა, მუხლებზე დაეცემი და ილოცებ:

უფალო! რიონის რისხვისაგან რაჭა დაიხსენი!

1987 წლის ზამთრის დიდთოვლობამ და წყალდიდობამ ღების ახალი უბანი (ჭალის უბანი) აყრამდე მიიყვანა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გორიბოლოს მისასვლელში ერთი პატარა ღელეა, ხალხი „გადარეულს" ეძახის. ლოდებში ისეა ჩაკარგული, დედოფლის ცრემლები

გეგონება. უცებ, დღისით მზისით, ღვარცოფად წამოვა და დაგიფარა ღმერთმა, ლეკავს ყველაფერს, სანამ არ ჩადგება, მისი გადამლახავი ძეხორცეული არ არის. უნდა იჯდე და ელოდო. აქეთ თუ დარჩი სახლში მაინც წამოხვალ, „იქით მთისკენ მოეტნევი და შეიძლება სამი დღე, ერთი კვირაც ქვე იყვინტილო მშიერ-მწყურვალმა".

ახლა რიონს სხვა რამდენი შლეგი წყალი ერთვის? სათავიდან პირველი მარჯვენა შენაკადი ჯამათას ღელეა, არც სათავე წყაროებმა და არც ამ ღელემ ადიდება არ იცის, ქვეყანა რომ დაიქცეს. იქ წყალი არც მოიმატებს და არც აიმღვრევა. დავიდარაბა ედენადან იწყება, მარცხნივ პირველი მზიური ედენას წყალია — სკორეს (მყინვარის) ნაჟური, პიტალოზე ჩანჩქერად რომ გადმოდის, დუღს და მკვახე ფერს იღებს, მას „შხივი" ჰქვია და ხშირად ცოფიანდება. დიახ ბატონო, მდინარე კი არა, მყინვარის ბოღმაა, რიონს ამღვრევს და აგიჟებს. მერე ჩდილი ედენას რუა, არც ისაა დალაგებული. ხელმარჯვნივ სასვანოს ცხვირთან, გორიბოლოს ლუხუმი ჩამოუდის, ნახე კალაპოტი? იმხელა ქვები აქვს ნაზიდი დეკებს შეშურდებათ. აქედან მოკიდებული რიონის შენაკადები სულ მარჯვნიდან ჩამოდის: ბართუზელის რუ, მერე ი ოხერი გადარეული — შავწყაროს მთაში აქვს სათავე. ადიდება, შავია და ვერაგი; ფიცრიხულას რუ იგივე გოგრიჭიანთ ნატეხის რუა, მანდ მოსული პირველად გოგრიჭიანი; მუსხურის რუ მუსხურის მთას გამოსდის, ფაცხევრის რუ რუბოძალას მთის პირმშოა, ამისთანა რუებისაგანაა რიონი; მერე ქვემოთ, ხელმარცხნივ ზოფხითურაა, რიონს წყალუხვობაში ტოლს არ უჯდებს. მარჯვნივ ჯიჯიშორია, დაიწვას მისი სათავე, 1953 წელს, აგვისტოში გადარეულასავით მოვარდა. არქეოლოგიური ექსპედიციის ავტომანქანა გაიტაცა და თორმეტი კაცი იმსხვერპლა. პატრონი არ გაჩნდა, თორემ იმ ადგილას დაღუპულთა გვარებით ნიში მაინც უნდა გაკეთებულიყო. ხუმრობაა, ჩვენი მხარის შესწავლას თორმეტი სიცოცხლე შეეწირა.

მარცხნითაა დიდღელე, მარჯვნივ ხვრელიეთის რუ; მარცხნივ მდინარე ფორთხიშულია, იგივე თევრეშოს რუ, ბარხატივით ხავსი იცის — საკალმახეა პირველი; ამავე მხარეზეა კოდიძირის რუ, ღების ბოლოს კი ჩვეშურაა — ბობოქარი მდინარე, მარჯვნივ, ღების მთაზე, ზეხენიერის რუა უკანასკნელი, „გაღმა სოფლის" (პატარა ღების) დასალიერზე მდინარეები ლათქიშორა, მუხამეუშურა, შოდურა და ლოლორულია, ამიტომაცაა ჭიორის ჭალაზე რიონი გალაღებული. ღების ზემოთაც „ჭალებში" ლამის მოსახლეობა აყაროს. ბორის ლობჯანიძეს მთელი კარმიდამო წაართვა, სახლის წაღებას ხომ არ დაუცდიდა, „სადაც არ ჯობს, გაცლა ჯობსო", ზევით აესახლა. ადვილად ვამბობთ, ცოტა სჭირდება ასახლება-დასახლებას?!

ზეხენიერის ქედს რიონი ვერაფერს აკლებს, სამაგიეროდ მარცხენა მხარე აიკლო და გაატიალა: „ვაკიბოლოზე“ გზა გაწყვიტა, სამი მოსახლე სოფელს გააშორა. ბევრს წვალობს ტრაქტორისტი ხალიკო გავაშელი, ხეებს მოათრევს, ხერგავს, მავთულბადეებით ქვაყრილი ჯებირებიც გააკეთეს, მაგრამ ამაოდ ირჯებიან, რიონი ადიდდება თუ არა, მათ ნაცოდვილარს მაშინვე აცამტვერებს, ძვირფასი სახნავ-სათესი შეჭამა. ორ კილომეტრზე მაინც სამაგრი კედელი რომ გაკეთებულიყო, ჭალის უბანსაც ეშველებოდა და ოცამდე ჰექტარი ვაკე ფართობიც გადარჩებოდა.

დიახ, ღები და რიონი არა მარტო ერთმანეთის დამამშვენებელი მეგობრები არიან, არამედ, როგორც ვნახეთ, ხშირად მტრებიც. რაც მართალია, მტრობას რიონი სოფელს არ უშლის, თორემ ღებელებს დედამდინარესთან მუდამ მეგობრობა სწყურიათ. ადრე, როცა სოფელი საკუთარი თავის იმედად იყო, თავაშვებულ რიონს ჯებირების ჭდეებში აქცევდნენ და მეტნაკლებად იმორჩილებდნენ, რაც მთავარია, „უადგილო ადგილას“ არავინ დაესახლებოდა, არც გზას გაჭრიდნენ, მუდამ მამა-პაპათა გამოცდილებას ითვალისწინებდნენ, ახლა ძველი ცოდნა დავიწყებას ეძლევა, რაც ხშირად ძვირად უჯდებათ.

ღების ბოლოს, ფართოდ გაშლილ ჭიორის ჭალაზე, რიონი დღემდე დაუსჯელად თარეშობს, ზაფხულშიც კი გზა იკეტება და ღებიდან ბილიკებით თუ გააღწევ. ძველად სოფელს ყველაფერი თავისი რომ ჰქონდა, იოლი გასაძლისი იყო, ახლა უგზოობის ატანა შეუძლებელი გახდა. მოსახლეობა, ძირითადად, ამ უბედურებას გაურბის. ჭიორაში 60-იან წლებში სამანქანო ხიდი რომ არ გაეკეთებინათ, ახლა იქ არცერთი მოსახლე არ იქნებოდა. თუ დროულად არ ეშველა, გაუკაცრიელების მწარე ხვედრი ღებსაც არ ასცდება. გონაში საბთამადნო წარმოების აღდგენა გეოლოგებს იმედიან საქმედ ესახებათ. ასევე ღების სანახებში ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვების პრაქტიკულად ულევი მარაგია, რაზედაც ხშირად წერს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გიორგი ტოგონიძე, რომელმაც თითქმის მთელი სიცოცხლე რაჭის მთების შესწავლას მოანდომა. მთის რაჭის ხსნას ბატონი გიორგი ქვის დამუშავებასა და გატანაში ხედავს. ოღონდ ეს ყველაფერი საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს, ადგილობრივმა მრეწველობამ უკვე დაამტკიცა, რომ მას ძალა არ შესწევს რაიმე არსებითი გააკეთოს, ღების ქვის ქარხანა უმოქმედოთაა. ონში ღვინის ქარხანა გააუქმეს და ადგილმრეწველობას გადასცეს, ამით მკვლევარი-მეღვინე შამილ (კუკური) გოცირიძე იძულებული გახდა საყვარელ საქმიანობასა და მეცნიერულ ცდებზე ხელი აიღო, ქარხანა ცდებისათვის მეტად საჭირო ინვენტართან ერთად გაპარტახდა და ამჟამად უქმადაა. ძველი ოსტატის სერგო მაჩაიძის გარდაცვალებამ ონის

კერამიკის საამქროს გაუქმება გამოიწვია; ახლა რაჭველებმა თიხის ნაწარმის შესაძენად ზესტაფონში უნდა იარონ. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მოსახლეობის ადგილზე დასაქმება-დამაგრების მიზნით ათასნაირ გეგმებს ვსახავთ.

ჩემთვის გაუგებარი და აუხსნელია — თუ ახალს ვერაფერს შეექმნით, აშენებული და გაკეთებული რატომ უნდა დაეღუპოთ?! საქართველოს სსრ მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამაოდ ეცადა ონის ღვინის ქარხანა საკუთარ საექსპერიმენტო ბიზად ექცია, რათა ზემო რაჭაში ვაზი არ ამოვარდნილიყო; ადგილმრეწველობამ აჯობა, დასძლია და რისთვის?.. ალბათ თავიდანვე ცუდს არავინ ფიქრობს, მაგრამ, როგორც წესი, უსახსრობა ანდა სახსრების არადანიშნულებით გამოყენება და ზედ დართული არაკომპეტენტურობა, გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა; სწორედ ამიტომ შედეგიც სავალალო გვაქვს...

ცხოვრება უფრო მკაცრია, ვიდრე კალმოსნებს წარმოუდგენიათ. ენას ძვალი არა აქვს და ფანტაზიას საზღვარი. არსებული სინამდვილის მიუხედავად, იმაზეც კი ვოცნებობ, ღების მთების ძველი მაღაროები ვავაცოცხლოთ და ბრილში ბრინჯაოს უძველესი წესით დაწურვა განვაახლოთ. იქ დამზადებული ბრინჯაოს ხელოვნების ნიმუშები, ქანდაკებანი, ბალთები და სხვა კავკასიაში უძველესი და უნიკალურია. მათ მხატვრული ღირებულება არასდროს არ დაეკარგებათ. ასევე აღვადგინოთ წედისის რკინის მაღაროები, წედისელ „რკინის კაცებს" კვლავ დავაწყებინოთ მჭედლობა, რათა კაცობრიობას არ დაეუკარგოთ მეტალურგიის ის საწყისები, რომლის სუნთქვა რაჭაში დღესაც ძალუმად იგრძნობა. დიახ, დიდია ცდუნება. მეტადრე არცერთი კულტურული ქვეყანა ამ საშვილიშვილო საქმეზე უარს არ იტყვის, ტურისტების მისაზიდად არაფერს იშურებენ. ჩვენ კი ყველაფერი მზამზარეული გვაქვს. ოღონდ ხელის განძრევა გვჭირდება...

რაც შეეხება გონაში მოლიბდენის მოპოვების განახლებას და მოსაპირკეთებელი ქვების ფართო მასშტაბით დამუშავებას, აქაც საათანადო დაკვირვება და სიფრთხილე გვმართებს. რაც მთავარია, ისედაც შეჭირვებული ეკოლოგიური თანაფარდობა არ უნდა დაირღვეს. ქვაილის, ირის და განსაკუთრებით ურავის წარმოებებმა ნათელი გახადეს, ადგილობრივ ბუნებას და ადამიანებს რა ძვირად უჯდებათ ძვირფასი მადნეულის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აზრი წყლისა და ჰაერის საბედისწერო გაჭუჭყიანების წინააღმდეგ კარგა ხანია იბრძვის, შედეგი თითქმის არ ჩანს. ბიუროკრატი, მე ვიტყოდი ხალხის მტერი, პოზიციას არ თმობს, გამწმენდი ნაგებობანი მეტწილად არსად არ მოქმედებენ. თავი რომ და-

ვანებოთ მსხვილ საწარმოებს, თვით კურორტები შოვი და უწერა, ყოველი მოქმედი მესაქონლეობის ფერმა გარემოს აბინძურებს. ერთი სიტყვით, შეიძლება პირდაპირ ვაღიაროთ, რომ დღეს რაჭაში ბუნების დაცვის არავითარი თანამედროვე კულტურა არ არსებობს.

...გზად ჭიორლები აგვემგზავრნენ კიდევ კარგი, მათმა ალღომ და თვალის სიმარჯვემ გადაგვარჩინა:

— შეჩერდი, შეჩერდი! — უყვირეს მძღოლს, მუხრუჭებმა მანქანა გააქვავა, ცხვირით მინას მივეჯახე. ახლადგაფართოებული ბ'ის მონაკვეთზე ფესვებგამოთხრილი ტანკენარი ნაძვი შეტორტმანდა და ზედ მანქანის წინ ლაწანით დაენარცხა. გაოგნებამ გაგვიარა და ახლა-ღა შევამჩნიეთ — კიდევ რამდენი ხეა აფეთქებისაგან საბედისწეროდ ძირგამოთხრილი, დამოკლეს მახვილივით მგზავრებზე დამიზნებული. რას აკეთებს უსაფრთხოების სამსახური?!

ტრაქტორს ველოდებით და დროს საუბარში ვკლავთ.

— უმარჯვო და ხიფათიანი გზაა, ღმერთმა დასწყევლოს! — ბუზღუნებს ჭარმაგი ჭიორელი, — აღმართი და გლახა დასამხრისია. ზამთარს ისე გაილიპება, კატა კანჭს ვერ მოიკიდებს; შხიროლურიც როდის მოვარდება და ამოქოლავს, კაცმა არ იცის, არც ბოგირი ეხერხება და არც ჯებირი; დიდთოვლობაზე ჭონიშურს ზვავი დაარტყამს და კარგად მეყოლე, ჩაიკეტება... არ დაგვიჯერეს ჭი და რა ექნათ? ჩვენი მამაპაპანი ასე არ დადიოდნენ, სერვი მაკალათია რომ წერს — მთის რაჭა ღებს, ჭიორას და გლოლას აერთიანებსო. მართალია ი ოჯახშენებული. სამივე სოფელი ერთად ვიყავით, ოღონდ ამ უკუღმართი საკალით კი არა, ნოწარულის შარათი გლოლას მზიკულსა და სიმშრალეში გორიბოლოთი გავდიოდით. სულ ორი ხიდი უნდოდა — ერთი რიონზე და მეორე ნოწარულზე. სამაგიეროდ არც კლდეებს სჭირდებოდა აფეთქება, არც ხე-ტყეს გაჩეხვა. ძველთაძველი, უხსოვარი დროიდან საიმედოდ დამდგარი გზა გაფართოვდებოდა, ჰოდა ჩვენც გვეშველებოდა და მთავრობასაც. ეჰ, ჩვენი რჩევა ყურად რომ ეღოთ, რამდენ სარგებლობას ნახავდა სოფელი. ჭიორისათვის ნოწარულის ხეობა კინაღამ ისეა, როგორც ღებისათვის რიონის სათაკეები. მარტო ჩვენ კი არა, მისადგომი რომ იყოს, მოლისის სათიბ-საძოვრები მთელ რაჭას ეყოფა. ახლა ვწვალობთ, ვჯახირობთ, ზამთრობით რიონი რომ გონს მოვა და ჩადგება, სახელდახელო ხიდუკას ჩავდგამთ, ნოწარულის ხეობის ხე-ტყით და მოლისის მთის თივით ჰაინც ვსარგებლობთ, რიონი გაზაფხულზე გადაირევა, ჩვენ ნაცოდკილარ ხიდს წაიღებს და ქვე ვართ გულხელდაკრებილები. ე გზა რო კეთდებოდა, ჩვენი სატკივარი დავწერეთ, მთელმა სოფელმა მოაწერა ხელი, ნოწარულზე გზის გაკეთება მოვითხოვეთ, მარა ვინ გიგდო ყური, პასუხიც არ მოუციათ...

გამოცდილი, ადგილის მცოდნე კაცის მსჯელობა, ჩემი აზრით, ყურადსაღებია რა თქმა უნდა, გზის გაყვანის სპეციალისტებს დავას ვერ დავუწყებთ, ოღონდ ისტორიულად ცნობილია, რომ ნოწარულის ძველი შარა მთის რაჭას ერთ რეგიონად კრავდა, საგლოლო რიონისა და ჭანჭახის ხერთვისია, ცოტა ზემოთ რიონისა და ნოწარულის შესართავია. ნოწარულის ხეობით გზა ჩრდილო კავკასიაშიც გადადის. ეს ორმაგი ხერთვისი ორმაგად უნდა ყოფილიყო გამაგრებული, რის კვალსაც, თუ დაინტერესდებიან, არქეოლოგები უსათუოდ იპოვნიან. ნოწარულის გზა ულამაზეს ადგილებს გაივლის და მთის რაჭის ერთიანობას აღადგენს. ორი არც ისე დიდი ხიდი მარტო ამისთვის ღირდა გაკეთებულიყო, აღარას ვამბობ სავარგულებით სარგებლობაზე.

მაგონდება ცნობილი პოეტის კონსტანტინე ჭიჭინაძის პოემად დაწერილი რიონისა და მისი შენაკადების ქებათაქება. მართლაც დაუსაბამო შთაგონების წყაროა ფასისი, მარად ლეგენდარული და იდუმალებით მოცული. მეც არ შემიძლია ხელთ კალამი არ ამეღო და შთაბეჭდილებები არ დამეწერა. ასეთია რიონის სათავეები ზაფხულობით, ხოლო ზამთარში, როცა ხვავრიელი თოვლი მთებს დაფარავს, ხვავები აბობოქრდებიან. წყალდიდობას გადარჩენილ ბუნებისა და კაცის ნაკეთებს, სადაც მისწვდებიან, წალეკავენ. მერე პირველქმნილი მყუდროება გამეფდება, თოვლის სპეტაკ საბანში დედა-ბუნება მშვიდად დაიძინებს. რიონი დამცხრალია, ანკარაა და უწყინარი, ალაგ-ალაგ თოვლი ისე წარმოეძალება, ლამის დაფაროს. ირვლივ სამოთხისებური სიწყნარეა, სითბო და სიამეა მთების უბეში ჩაღვრილი, სუფთა ჰაერი ფილტვებს ახალისებს და ჭაბუკებს ძალაუნებურად თხილამურებისაკენ მიუწევთ გული.

მთის რაჭის ზამთარი არანაკლებ დიდებული და სასიამოვნოა, ვიდრე ზაფხული, მაგრამ ზამთრობით აქეთ წამოსვლას ჯერჯერობით ვერავინ ბედავს, მშობლიურ მთებს მხოლოდ მთის რაჭველები აცოცხლებენ და მომავალს იმედით ელიან...

მეოთხე წელია რაჭაში მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის ექსპედიცია. ალბათ დადგა დრო ოთხი წლის გამოცდილება შეძლებისდაგვარად განვაზოგადოთ და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. ჩვენი საქმიანობის საერთო სახალხო სამსჯავროზე გამოტანა ორმხრივი სარგებლობის მომტანია და, რაც მთავარია, სწორი საზოგადოებრივი აზრის შემუშავებას შეუწყობს ხელს.

მაინც რა ხდება რაჭაში? რამ გამოიწვია მიგრაციის ასეთი ტემპი? რატომ არის მოსახლეობის ბუნებრივი კლება ყველაზე მაღალი

და ამდენად ფრიად საგანგაშო? რატომ კარგავს რაჭის სოფელი ტრადიციულ სახეს? რატომ უკაცრიელდება? გვაქვს თუ არა ამ მწარე კითხვებზე მზამზარეული პასუხი?

სამწუხაროდ, მეცნიერებას ცხოვრების მოთხოვნილებამ ძალიან გაასწრო, ალარას ვამბობ მომავლის პროგნოზირებაზე, რაც მეცნიერული კვლევის უპირველესი ამოცანაა. თვით არსებული ვითარების ფიქსირებასაც ვერ ვასწრებთ, ამიტომ შესასწავლი რეგიონის შართვაში ემპირიზმია გაბატონებული, თუმცა შემეცნებითი მონაპოვრის პრაქტიკაში გამოყენებისათვისაც დიდად არავინ ირჯება.

რაჭა, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო კუთხეა და მისი ყოფნა-არყოფნა ამ დარგზეა დამყარებული. მთიანი რელიეფი, ღრმა, ვიწრო ხეობები, იმთავითვე, ქრონიკულ მცირემიწიანობას განაპირობებდა. დასამუშავებელი მიწა ოქროს ფასი ღირდა და შეიძლება თამამად ითქვას, სახნავ-სათესი და საკენახე მსოფლიოში ასე ძვირად არსად არ იყიდებოდა. საშოვარზე წასულ რაჭველს, ევრაზიასა თუ ამერიკაში ბედის მაძიებელს, ერთი ფიქრი და ოცნება ჰქონდა — როგორმე იმდენი თანხა მოეგროვებინა, რომ საკუთარ სოფელში შვილებისათვის სამოსახლო და მარჩენალი საკარგული შეეძინა. ადგილის დედის, მშობლიური საცხოვრისის სიყვარულმა რაჭა მდიდარი და ხალხმრავალი გახადა. მძიმე გლოვის ზარი დარისხდებოდა ხოლმე, როცა მაინც იძულებულნი გახდებოდნენ, დიდი ბუნებრივი მატების გამო, თანამოძმენი სხვაგან გადასახლებულიყვნენ. ადგილობრივი მთაბარი და მიწა-წყალი ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდათ ათვისებული. მასაზრდოებელ მიწას არა მარტო ამუშავებდნენ და იცავდნენ, არამედ „ვარცხნიდნენ", „აგვირისტებდნენ". ერთი ზედმეტი ქვა შიგ არ ეგდო. საწაპიროებს და „საშვაევებს" (სადაც მიწის ჩამოწოლაა მოსალოდნელი) „მოჭიკჭიკებული" ყორეებით ამაგრებდნენ. ყორეების თავზე „გირგლური" ღობეები ნიკორწმინდის ტაძრის ჩუქურთმასავით იყო ჩაწნული. ცოცხალ ღობეებს, საბელავებს ადგილს მზის ნათების მიხედვით შეურჩევდნენ, რათა ნათეს-ნარგავები არ დაეჩრდილათ.

საკარგულებით უზრუნველყოფილ მეურნეს — „ეზოს გადაღმა გადასვლა" არ სჭირდებოდა, არსებობისათვის აუცილებელ ყველა მსხვილმანს თუ წვრილმანს საკუთარ კარმიდამოში მოიპოვებდა. მაგრამ ერთ ოჯახს რაც ჰყოფნიდა, სამ-ოთხს ვეღარ გასწვდებოდა, ამიტომ საარსებო გარემო სხვაგან უნდა ეძებნათ. ცხოვრება აიძულებდა მამა შვილს გაჰყოლოდა და ძმა ძმას. საყოველთაოდ ცნობილი რაჭული დიდი ოჯახები, სადაც 50—60 ან მეტი სული ერთად ცხოვრობდა, დროის ცვალებადობისა და ახალი მეურნეობის მოთხოვნის კვალობაზე ნელ-ნელა იშლებოდა. რაჭა იქცა გამრჯე, უაღრესად შრომისმოყვარე, ალალ, პატიოსან, მარჯვენადალოცვილ ოსტატთა საბადოდ. სა-

დაც მიდიოდა რაჭველი, შთამომავლობით მომადლებული სიკეთე მიჰქონდა.

ხალხმოჭარბებული სოფელი სანახშოზე შეიკრიბებოდა და მოლაპარაკებდნენ, მოახალშენები სად უნდა დასახლებულიყვნენ. სამოსახლოს შესარჩევად მცოდნე, გამოცდილ მამაკაცებს აგზავნიდნენ. უპირველეს ყოვლისა, ეცდებოდნენ თვით რაჭაშივე გამოენახათ თავისუფალი ადგილი. ძველად საკმაოდ იყო მტრისაგან ნაოხრალი ბეითალმანები, ანდა სახადის, ჭირიანობის გამო გაჩენილი პარტახები. „დუშმანის გადანაძოვი" შედარებით მალე შეივსებოდა, ხოლო „ნაჭირვალები" რამდენიმე თაობის შემდეგ, როცა იმ გადატანილი უბედურების ხსოვნა წაიშლებოდა. საუკუნეთა მანძილზე შესაფერისი ვითარების გამოწვეული მოსახლეობის მოძრაობა რაჭაში და საერთოდ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო (ნ. ბერძენიშვილი) და ქვეყნის უკვდავებას უზრუნველყოფდა. მკვიდრი და მოსული, ხიზნობა და ამანათობა (ე. ერიაშვილი, მ. კანდელაკი), ნაყარ-განაყოფთა, გვართა გადანაცვლება დ ა. შ. გამოწვეული გამრავლების, საარსებო სივრცის უკმარობის, სოციალური თუ პიროვნული ბედუკეთმართობის, დანაშაულის და სხვათა გამო, ქვეყნის შიგა ან გარე მიგრაციების მრავალ თავისებურებას ქმნიდა, რისი შესწავლაც რაჭაში ამჟამად ჩვენი ექსპედიციის მიერ თითოეული სოფლის მიხედვით ხდება, რასაც საფუძვლად საგანგებოდ შემუშავებული გეგმა-პროგრამა უდევს, რომლის გავრცელება, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეშვეობით, წინასწარ შერჩეულ მცოდნე პირებთან, ყველა ადგილობრივ სოფელში მიმდინარეობს. ამრიგად, რაჭის სოფელი მონოგრაფიულად, არა მარტო მეცნიერების მიერ შეისწავლება, არამედ თვით მცხოვრებთაგანაც, რომლებიც თავიანთი გვარისა და სოფლის ისტორიისადმი საოცარ სიყვარულსა და ინტერესს იჩენენ. როგორც წესი, თითოეულ გვარს თავისი წარმოშობის საინტერესო თავგადასავალი აქვს თაობიდან თაობაზე გადმოცემული და, რაც მთავარია, ახლაც სათუთად შენახული. ხშირად სოფლის ისტორია, რომლის შესახებაც წერილობითი წყაროები დუმან, მნიშვნელოვნად ისხამს ხორცს ეთნოგრაფიული მონაცემებით. ამ მხრივ საგვარეულო გადმოცემებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის სახელწოდებანი — მიკრო და მაკრო ტოპონიმიკა, სადაც შესაშური სრულყოფილებით არის ასახული სოფლის სახე და თავისებურებანი, ბუნებრივი მონაცემები, წარსული და აწმყო, შრომა-საქმიანობა, მეურნეობის ფორმები, განსახლების სისტემა, ტრადიციები, სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები და ა. შ.

თავდადებული შრომა და ძალისხმევაა საჭირო ამ უზარმაზარი მასალის შეკრება-დამუშავებისათვის, სამაგიეროდ ჯერ კიდევ შე-

მორჩენილი მკვიდრი მოსახლეობისაგან ფასდაუდებელი მასალა იკრიბება, რომელიც სათანადო მეცნიერული კლასიფიკაციის შედეგად ძვირფას საისტორიო წყაროდ გადაიქცევა. ჩემი ღრმა რწმენით, რაჭის სოფლის გადარჩენა მისი ამომწურავი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-სოციოლოგიური შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს. არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ სოფლის შემთხვევით გაჩენა გამორიცხულია, მისი წარმოშობა განპირობებულია ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-ისტორიული პირობების სინთეზით. მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა სოფელი ისტორიულ კატეგორიად. და თუ დღეს რაჭის სოფელი ისპობა, წარსულს, მისი ავბედითობის მიუხედავად (მხედველობაში მაქვს შინაური და გარეშე მტრის განუწყვეტელი მძლავრობა, ერის ნორმალური განვითარების შესაძლებლობას ყოველთვის რომ არღვევდა), ნაკლები წვლილი მიუძღვის. მთელი XIX საუკუნის მანძილზე, ტლანქი, რუსიფიკატორული რეჟიმის მიუხედავად, მარად ნანატრი მშვიდობის მეოხებით, ქართული სოფელი მაინც მოშენდა და მან ჩვეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახე მიიღო. რაჭაშიც ნატვრის თვალი დატრიალდა, მისმა მოსახლეობამ, იაკობ გოგებაშვილის მონაცემებით, 100 ათას მიაღწია. სწორედ ამ დროს გაცხოველებით ივსებოდა ძველი და იქმნებოდა ახალი სოფლები, ამასთანავე რაჭველები ამიერ და იმიერ საქართველოს ნასოფლარებსაც ავსებდნენ. ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებისათვის რაჭა ხალხმრავალი, დოვლათმოჭარბებული და ბედნიერი გახლდათ. სწორედ ამ დროს დაიწყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნა. თვით კომუნისტ თავკაცთა შორის თანხმობა არ იყო. რაჭის ადგილობრივი პირობების მცოდნენი, ხალხის ყოფაში შედარებით ღრმად ჩახედულნი ამტკიცებდნენ, რომ კოლექტიური მეურნეობანი ამ მთიან მხარეში ვერ გაამართლებსო, რადგან საეარგულთა უაღრესი დანაწევრება, დაქანებული ფერდობები თანამედროვე ტექნიკის ეამოყენებას გამორიცხავსო. მაგრამ ენთუზიაზმმა იმძლავრა, უფრო სწორად, ძალადობამ, რაჭის სოფლებს მაუზერისტები შეესივნენ, არათუ სასოფლო-სამეურნეო არტელები, არამედ მაღალმთიან სოფელ ხიდეშლებში და რაჭის ერთ-ერთ კულტურის კერაში, სახელგანთქმულ სოფელ სორში კომუნებიც კი შექმნეს...

გამრჯე, მშრომელი გლეხი, რომელმაც მკაცრ ბუნებასთან ჭიდილში, მთელი ოჯახის ოფლისღვრის შედეგად, გარკვეული დოვლათი შექმნა, მიზანში იქნა ამოღებული. მას კულაკი შეერქვა და დაიწყო სოფლის მამოძრავებელი ღერძის გადაჭრა — ე. წ. „კულაკთა გეგმაზომიერი განკულაკება". ახლა უკვე ფართო მკითხველისათვის ცნობილია, თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სოფლის მაშინდელმა

„გარდაქმნამ“ რა შედეგი მოიტანა, ქვეყნის აუცილებელი ინდუსტრიალიზაცია გლეხობის ხარჯზე მოხდა: „ფაქტიურად კოლმეურნეობათა შექმნა იყო ხერხი სახელმწიფოს მიერ პროდუქციის სარფიანად და უკონტროლოდ ამოღებისა ისე, რომ არავითარი ანგარიში გლეხობის პირად ინტერესებს არ ეწეოდა. ხუთი წლის განმავლობაში 1933 წლამდე სამ მილიონამდე საგლეხო მეურნეობა გაუქმდა და დაახლოებით 15 მილიონი სული გაკოტრდა, ორ მილიონამდე გლეხი ინდუსტრიულმა საწარმოებმა შეიწოვეს და მილიონამდე განკულაკებულნი საკონცენტრაციო ბანაკებში „იღვწოდნენ“. „დღევანდლამდე შემორჩენილ კოლმეურნეობას სოციალიზმის პრინციპებთან საერთო არაფერი აქვს და სოციალური სამართლიანობის არავითარ ნიშანწყალს აქამდე არ ატარებდა“. ხსნა საიჯარო სისტემის შემოღებადამკვიდრებაშია და, რაც მთავარია, მიწა — მის ნამდვილ პატრონს — გლეხს უნდა დაუბრუნდეს (ლიტერატურული საქართველო, 1988, № 36, 2 სექტემბერი, გვ. 4).

ყველა ეს მონაცემი, ძირითადად, რუსეთის სინამდვილიდან არის აღებული. იქაური თვალუწვდენელი სახნავ-სათესი ახლანდელი ტექნიკისათვის შესანიშნავი სარბიელია. ამიტომ ოცნებობდა ვ. ი. ლენინი ტრაქტორთა სიუხვეზე, რათა ხვავი და ბარაქა დატრიალებულიყო, მიეღოთ ხორბლის, კარტოფილის, მზესუმზირას და სხვ. უხვი მოსავალი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, მარჩენალი პური უცხოეთიდან შემოსატანი გაგვიხდა. მიგრაციის მსახვრელმა ხელმა ვაკეზე ნებივრად გაშლილი რუსული სოფელიც გააჩანაგა. სწორედ ამიტომ საჯარობის პირობებში დაუყოვნებლივ შემუშავდა გარდაქმნის კურსი და წარსული შეცდომების მძაფრი კრიტიკით „ხსნის ახალი ჰორიზონტები ისახება“. მოსალოდნელი იყო სპეციალისტები ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის არსებულ მდგომარეობას კრიტიკულად გადასინჯავდნენ და თითოეული რეგიონის შეფერადებულ, სრულ სურათს მოგვცემდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ასე არ მოხდა. რაც უფრო დავაგვიანებთ, მით უფრო უარესია. საქართველო უალრესად რთული რელიეფის მქონე, მცირემიწიანი ქვეყანაა და ყველაზე მეტად დაზარალდა იმ თვითნებობისაგან, რასაც 30-იან წლებში „სოფლის სოციალისტური გარდაქმნა“ ეწოდა. კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე წარმოშობილი, ათასწლეულთა მანძილზე დახვეწილი ქართველი ხალხის მიწათმოქმედება და საერთოდ მეურნეობა, იდეალური სრულყოფილებით გამოირჩეოდა და განუწყვეტელი შემოსევების მიუხედავად, მწარმოებლის კეთილდღეობას ყოველთვის უზრუნველყოფდა. საქართველოს გადარჩენის სასწაული სწორედ მისი მეურნეობის, შრომა-საქმიანობის სრულყოფილებაში იყო, რაც მშვენივრად დაასაბუთეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე ჯავა-

ხიშვილმა და, ბუნებრივია, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. 30-იან წლებში „ნაჯახით ჩატარებულმა ქირურგიულმა ოპერაციამ" რა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ეროვნულ სოფლის მეურნეობას, ამის შესახებ ტომები უნდა დაიწეროს და ვიმედოვნებ დაიწერება კიდეც. ქართული სოფლის ფუძე რომ მოიშალა. უხსოვარი დროიდან მიწის მესაიდუმლე გლეხობამ შვილივით საყვარელი, თვალისჩინივით ნასათუთევი ყანა-ვენახი, ბოსტანი, ხილის ბაღი, წალკოტი-საფუტკრე, მხვნელი ხარი და მეწველი ფური რომ მიატოვა, ყოველივე 30-იანი წლების ძალადობამ ქნა. 30-იანი წლები საბედისწერო თარიღია ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს არის მიჯნა და საწყისი ეროვნული კულტურის (ფართო გაგებით) უმაგალითო კრიზისისა. რაც მტრის ძალადობას გადაურჩა, 30-იან წლებში სწორედ ის დაღუპა: მარჩენალი მიწის სიყვარული და საუკუნეთა მანძილზე სიცოცხლის აზრად ჩამოყალიბებული შრომითი ჩვევები, ეროვნული ტრადიციები. ქართველმა კაცმა სოფელი სისხლის წვიმების ჟამს არ დათმო, გაჩეხილი ვაზი და თუთის ხეები, გადამწვარ-გადაბუგული სახლ-კარი, ამოწყვეტილი ცოლ-შვილი და საქონელი, ყველაფერი აღადგინა და სოფელი სოფლად შეინახა. 30-იანი წლებისათვის საქართველო აღორძინებულია. ამერკავკასიაში ქართველები ყველაზე მეტნი არიან, გამრავლების ტემპი სხვა ხალხებზე მაღალი აქვთ. ნანატრმა მშვიდობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, ბუნებრივი ნამატი სოფლებში აღარ ეტევა და ქალაქებშიც უკვე ქართული მოსახლეობა სჭარბობს, ასეთია ერის ზრდა-განვითარების ნორმალური პროცესი. სოფლის სიმძლავრე ქალაქის კეთილდღეობასაც უზრუნველყოფს; მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე რევოლუციამ, პირველმა მსოფლიო ომმა, დამოუკიდებლობის დაკარგვამ და 1924 წლის გამოსვლებმა ქვეყანა კიდევ რამდენჯერმე გააჩანაგა. საოცრად სიცოცხლისუნარიანმა ქართველმა ერმა ეს ჭრილობებიც მოიშუშა და 30-იან წლებს საღ-სალამათი შეხვდა. სოფელი კვლავ ლაღობდა, სოციალურმა თავისუფლებამ გლეხის შრომას ბარაქა მოუმატა, გამრჯე, მშრომელმა ოჯახებმა სული მოითქვეს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო არტელების ჩამოყალიბებამ მძაფრი წინააღმდეგობანი გამოიწვია. მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს შეძლებულთა განკულაკების დროს. სისხლიც დაიღვარა, ურჩების ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი შორეულ გადასახლებაში გაამწესეს. მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, მრავალტანჯულმა ქართულმა სოფელმა ამ უბედურებასაც გაუძლო. ბუდემოშლილმა კომლებმა ასე თუ ისე არსებობა შეინარჩუნეს და გადარჩენილნი ნებით თუ უნებლიეთ საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაებნენ. ცხოვრების ლოგიკამ კომუნები მალე დაშალა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო არტელები რაჭაში მაინც, ძალაუნებურად, მრავალსაუკუნოვან ტრადი-

ციას გაჰყვნენ, თითოეული სოფლის მიწა-წყალი ისტორიული საზღვრების გათვალისწინებით „დამიჯნეს-დაყორღნეს-დაასამანეს". მამაპაპური სასოფლო-სამეურნეო კულტურები ოდითგანვე მიჩენილ ადგილებში გააშენეს, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და წინაპართა შრომითი იარაღების გამოყენებით, საკმაოდ მაღალი მოსავალი მიიღეს. პირველ ხანებში კოლექტიურ შრომას უთუოდ ჰქონდა წარმატება და ამის დაუნახაობა უსამართლობა იქნება. რგოლები და ბრიგადები ხშირად ერთ „განაყოფებს", „ბაბუიშვილებს", „მამათაშვილებს", „ძმათაშვილებს", „ბიძაშვილებს" — სისხლით ნათესავებს აერთიანებდა. განზოგადებული სავარგულები, სამეურნეო ნაგებობანი, გამწევი ძალა კვლავ ოჯახური სიყვარულის საგანს წარმოადგენდა, ხოლო „ალო-მუწუხზე" ერთად, უღალატო შრომა ხომ ოდითგანვე მოსდგამდათ. სოფლის ტრადიციული სამართალი, მუშაობის დაწყება-დამთავრების ვადების დაცვა, სავარგულთა შეღობვა და „კაროკლების" (ყანა-ვენახების და სათიბების გზათა ჭიშკრები) შეკვრა, გზების მოვლა-შეკეთება, მოსავლის აღება, რთველი, პირუტყვის მწყემსობა და ეულობა (საქონლის თავისუფლად გაშვება) და ა. შ. კვლავ ძველებურად ხდებოდა. მოსავალი საერთო კალო-ბეღელსა და მარანში მიჰქონდათ, იქვე ანაწილებდნენ, იმის მიხედვით, ვისაც რა ჰქონდა ნაშუშევარი. გამორიცხული იყო აღმრიცხველ-მოანგარიშეებს, მრგოლურ-ბრიგადირებს მშრომელი მოეტყუებინათ, რადგან ყველა სამუშაო ყველას თვალწინ სრულდებოდა და არც მოსავალი იყო გადამალული. კოლმეურნე გლეხი მარცვალთან ერთად იღებდა საკმაო ღვინოს, თაფლს, ხორცს, ყველს, ბოსტნეულს და ა. შ. მოუსავლიანობის შემთხვევაში სარჩოს ორგანიზებული წესით საერთოდ შოულობდნენ სამეგრელოში, კახეთში, არცთუ იშვიათად ჩრდილო კავკასიაში. კვლავ მოუშლელი იყო რაჭის სოფლების შიგაეკონომიკური კავშირი, რაც უხსოვარი დროიდან არსებობდა და მოქმედებდა. უვენახო ზოლის მცხოვრებნი ვენახიანი ზოლის მცხოვრებლებს მარცვლეულსა და საკლავს ღვინოში უცვლიდნენ. გარდა ამისა, არ იყო სოფელი, რომელსაც მიწათმოქმედების გარდა სხვა რაიმე დამატებითი შემოსავალი არ ჰქონოდა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით (ხის, ქვის, თიხის, რკინის, ტყავის, ქსოვილის და სხვა მისთანათა დამუშავება). ამასთანავე, მუდმივი შემოსავლის დაუშრეტელი წყარო იყო საშოვარზე, როგორც რაჭაში ამბობენ — „მოსაგებში" წასვლა.

ასე ცხოვრობდა რაჭა სამამულო ომის წლებშიც, ოღონდ მოსაგებში წასვლა, გასაგები მიზეზების გამო, მოიშალა. მრავალჯერადი, ტოტალური, მობილიზაციის შედეგად მამაკაცთა უმრავლესობა ფრონტზე აღმოჩნდა. ქალების, ბავშვების და მოხუცების ამარა დარ-

ჩენილი სოფელი არსებობას არავცოუ ინარჩუნებდა, არაფეო საკმაო ჭირნახულიც მოჰყავდა, სამხედრო გადასახადსაც ისტუმრებდა და ათასნაირ ფონდებს ამარაგებდა, აგრეთვე დაჭრილთა და ლტოლვილთათვის შეწირულობებსაც აგროვებდნენ, „სოფელი ღონიერია“ — ალბათ ამიტომ უთქვამთ. და აჰა, როგორც იქნა დამთავრდა ოთხწლიანი მტანჯველი ომი. მებრძოლებიდან უკან ბევრი აღარავინ დაბრუნებულა, ხეიბართა და გაუთხოვარ ქალთა რიცხვმა იმატა. სანატრელი გახდა საღ-სალამათი მამაკაცი, ენთუზიაზმიც ნელ-ნელა დაიშრიტა, მუშახელის სიმცირემ კოლმეურნეობები გააღარიბა. თავი იჩინა ანგარებამ — თავმჯდომარე, ბუღალტერი, ბრიგადირი, საწყობის გამგე, შოფერი ერთგვარ პრივილეგიურ წოდებად იქცა. საერთო ბეღელში შეუსღუდავად დაიწყეს ხელის ფათური. ხალხმა მაშინვე იგრძნო მომხვეჭელობისა და უკანონობის მტანჯველი სიმწარე. საყოველთაო შიშისზარის მიუხედავად, ფოლკლორმა მაინც ასახა შექმნილი ვითარება:

დამტიტარო, დიმტიტარო,
თავმჯდომარეს დიდი ტარო.
ეაი მუშას, უი მუშას,
ბრიგადირებს არა უშავს...

საერთო კალოზე ჭირნახულის განაწილებამ ჭირი მოგუამათ. მუშის თვალთახედვის არეს აცდა მისი ნამუშევრის ბედი. კოლმეურნემ საკოლმეურნეო შრომაზე გული აიყარა, ეკონომიკურ შემოუსავლიანობასთან ერთად მოეწყინათ სხვის ჭკუაზე სიარული. დაიწყო ფარული, მძაფრი დუელი, ვინ ვის?! საბოლოოდ კოლმეურნეობები გაჩანაგდა. მთავრობამ ექსპერიმენტებს მიმართა — ათ ჩამორჩენილ კოლმეურნეობას ერთი არჩია, 50-იანი წლებიდან ხელალებით დაიწყო მათი დამსხვილება და საბჭოთა მეურნეობების შექმნა, რის შედეგადაც რაჭული ტრადიციული სოფელი მოიშალა. ხალხი ქალაქებისაკენ ნიალვარივით დაიძრა. მიგრაციის ტემპი 60-იან წლებში უფრო გაცხოველდა, ამჯერად ყველა ქართველის მექად დედაქალაქი თბილისი იქცა. ჰოდა, უქეეყნოდ დარჩენილი დედაქალაქი სად გაგონილა?!

ჩვენს დემოგრაფებს ჯერჯერობით ამომწურავი პასუხი არ გაუციათ იმ საკვალალო კითხვაზე — თუ ქართული მოსახლეობის ბუნებრივი კლება მაინცდამაინც რაჭაში, სახელდობრ ამბროლაურის რაიონში, რატომ დაიწყო! ალბათ იმიტომ, რომ რაჭა, საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი კუთხე იყო და სწორედ იქ დაირღვა ტრადიციული ცხოვრების წესი, რომელიც ერის კვლავწარმოებას განაპირობებდა. ამბროლაურის რაიონის ძირითად საარსებო ძარღვს მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უხსოვარი დროიდან გამოიმუშავეს ვაზის ორიგინალური ჯიშები, განლაგებული მტკიცედ განსაზღვრულ მიკროზონებში. ამათგან ალექსანდრეულმა, შუჯურეთულმა, კეთილშობილურმა საფერავმა და მრგვალმა კაბიშტონმა მოგვცა იშვიათი ღირსების ღვინო, რომელიც ამჟამად „ხვანჭკარის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ვაზი და ღვინო ძველთაგანვე სიმდიდრისა და კეთილდღეობის წყაროდ იქცა. ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება ისეთივე შთამომავლობითი სპეციალობა, ხელობა იყო, როგორც ხუროობა, მჭედლობა, მზარეულობა და სხვა. ძნელი შრომა ათმაგად ნაზღაურდებოდა, ღვინის მუშტარი შინ მიდიოდა და ოჯახი ყოველგვარ ხარჯს მისი გაყიდვით ფარავდა, მნიშვნელოვანი მოგებაც რჩებოდა და უვენახოდ ერთ მტკაველ შესაფერის ადგილსაც არ ტოვებდა. უცხოელი მოგზაურები გაოცებულნი იყვნენ რაჭველთა მალალი სასოფლო-სამეურნეო კულტურით და მეტადრე, საუცხოო ზვარვენახებით. შრომის უაღრესად დახვეწილი ორგანიზაცია, დასაქმების სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპის მიხედვით ზუსტად განსაზღვრა და ალოთა გონივრული განაწილება, მევენახე კომლებს მყარ საარსებო საშუალებას უქმნიდა. სხვათა შორის, ისინი მოსაგებში არ მიდიოდნენ, რადგან არ სჭირდებოდათ. წლის ყველა დროს ნასათუთევ ვენახებში ტრიალებდნენ, თითოეული ვაზის სუნთქვა ესმოდათ და მას ადამიანივით ესაუბრებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ იქაურები ვენახს დღესაც ისე მოიკითხავენ, როგორც ცოლ-შვილს და მოყვარე-მოკეთეებს.

30-იან წლებში ძალიან გაჭირდა ვენახების განზოგადება. იმ დროიდან დამკვიდრდა ავბედითი გამოთქმა: — როგორ ხარ?

— ჩამორთმეული ვენახივითო... მოუვლელობით გადახმა მარჩენალი ზვარი. რაჭულში ვაზმა კოლექტიური მოვლა-პატრონობა ვერ აიტანა, ის დაკნინდა და გადაშენების პირას მივიდა. შვეტ ფერდობებზე დაკიდებული ვენახები, რომლებიც სურნელოვან, ბადაგივით ტკბილ ღვინოს იძლეოდნენ, დაიღვარნენ და გამოიფიტნენ. სამუდამოდ დაიღუპა ოქროდ ღირებული ნეშომპალა, თირი ნიადაგები — ძუძუ ღვინოთა მეფე-ხვანჭკარისა. მოივლი იმ ადგილებს და მტრის ნაოხარი პარტახი გეგონება. წლობით გრძელდებოდა ეს საჩოთირო ვითარება. ვენახები ხმებოდა, ნარგაობასთან ერთად ძვირფასი მიწა ნადგურდებოდა, რადგან ნიადაგის მოვლის ხალხურ წესებს „საარტელო“ სავარგულზე არავინ იცავდა. ხატზე გადაცემულივით, ახალ ვენახებს აშენებდნენ, ამჯერად მამაპაპური წესით კი რა, მიწას მძლავრი ტრაქტორებით აბრუნებდნენ. ისედაც მეწყრიანი, დაძრული შე-

მოგარენი მთლად დაიღუპა და უსარგებლო, კლდოვან ქანებზე დადგა. ვითომდა გაშენებული ვენახების ფართობი აღირიცხებოდა და რაიონს ყურძნის ჩაბარების გეგმა ამის მიხედვით ეწერებოდა. ყველას კარგად მოეხსენება, გეგმის შესრულებისათვის თუ რა გაწამაწია იყო. საზოგადოებრივი ზვრები თითქმის არაფერს იძლეოდნენ, ამიტომ კერძო ვენახებს დაადეს ყადაღა, გლეხს უკანასკნელ მტევანს ართმევდნენ და აბარებინებდნენ. ბაბუას არ შეეძლო ქალაქს შვილიშვილისათვის ერთი პატარა კალათა ყურძენი წაეღო, გზები ხერგილებით იყო ჩაკეტილი. ფელამუში, ჩურჩხელა და მაჭარი სანატრელი გახდა, სამაგიეროდ სახელმწიფო ღვინის ქარხნიდან მსურველებს ჭაჭას აძლევდნენ, სწორედ ამ დროს, რაიკავშირის მაღაზიებში შაქარი ბლომად მოჰქონდათ და გაჩაღდა ღვინის ფალსიფიკაცია. ძველ აფთიაქებში წამლად შეტანილი „ყიფიანის ღვინო“ სამარცხვინო სუროგატად იქცა. შედეგმაც არ დააყოვნა, რაჭველმა გლეხმა ვაზი, ვენახი შეიძულა. ჭურ-მარანი დაუცარიელდა. ბუნებრივია, „შაქრით ნატყამპალები ნარეცხი“ მრავალწლობით დაძველებულ, ნაფერებ-ნასათუთებ თავღვინოს ვერ შეედრებოდა. მევენახეს ეკონომიკურად ხომ მოეცარა ხელი (სახელმწიფო უძვირფასეს ყურძენს კაპიკებში — „ტყემლის ფასად“ იბარებდა. როცა ფასი მოუმატეს, ტრადიციული, უნიკალური ჯიშებით გაშენებული ვენახების უმეტესობა უკვე გადამხმარი იყო), სულიც შეებღალა: მისი სახლ-კარისა და კერის სიმყარე ხომ ოდიდგანვე მარანზე გადიოდა. მევენახის მასაზრდოებელი, სიმინდი და სიამაყე — მარანი ზედმეტი გახდა, ჩასავალ ქვევრებს გველ-ბაყაყი დაეპატრონა, ხოლო ვეება ხორგო-საწნახელები — თვალსაჩინო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლები, უპატრონობით ლპებიან, კარგა ხანია ისინი რაჭაში აღარავის სჭირდება, სიძველეთა მესვეურნი კი მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ, დღეს თუ არ მიეშველნენ, ხვალ გვიან იქნება... ახლა რაჭა ერთი მოზრდილი ნავენახარი და ჭურ-მარანთა ნამუსრევია. აქა-იქ მესაფლავეებივით დადიან მხცოვანი, ხელდაკოჟრილი მევენახენი, უდიდესი ეროვნული კულტურის უკანასკნელი მოჰიკანები. აი რატომ დაიწყო ამბროლაურის რაიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება. ამჟამად ეს მდგომარეობა ისევ გრძელდება. ახლოწარსულის ავბედითი ინერცია კვლავ დარჩენილია. „ხვანჭკარის“ გადასარჩენად 70-იან წლებში სოფელ ჭყვიშში ვაზის სანერგე მეურნეობა შეიქმნა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახალი ვენახების გაშენება გრძელდება, პატრონი და მომვლელი კი თითზე ჩამოსათვლელია. ერთხანს საზოგადოებრივ ვენახებში სიმინდისა და ლობიოს გამოთესვა დაიწყეს. მცირემიწიან რაჭაში ეს წესი ოდითგანვე იყო დამკვიდრებული. ამჯერადაც სცადეს ორი კურდღლის დაჭერა: ვაზის ნაყოფი სახელმწიფოს უნდა ჩაბარებოდა, ხოლო ნათესები დამმუშავებლის

კუთვნილება ხდებოდა. ამ წამახალისებელ ღონისძიებას თითქოს შედეგი უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ გლეხის კერძომესაკუთრულმა მიდრეკილებამ იმძლავრა და ნათესებმა ვენახი დაჩაგრა. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ვაზი სულ გაიმეტა და ისედაც ნავენახარი აბეჩხერად აქცია. ამ დანაშაულს ადმინისტრაციული ჩარევა მოჰყვა, გლეხები მკაცრად გააფრთხილეს, რათა საზოგადოებრივი ზვრები პირად ყანებად არ ექციათ. ვინც არ დაიჯერა, დატაროებული ნედლი სიმინდი აუკრეს. რა თქმა უნდა, ასეთმა უკიდურესმა სასჯელმა შესაფერისი გულისწყრომა გამოიწვია. მშრომელ კაცს ერთხელ კიდევ გაუტყდა გული და მიგრაციის მსახვრელ ხელს სიმძლავრე მოემატა. ამჯერადაც ფრიად სამწუხარო შეცდომა იქნა დაშვებული — სიმინდი და ლობიო კი არა, მშრომელთა კეთილდღეობის წყაროდ ვენახი, ვაზის ნაყოფი უნდა ექციათ და მას არავინ გაიმეტებდა. კახეთში რომ ვაზი საზამთროს ანაცვალეს, მევენახის დაბალი შეგნების გამო კი არ მოხდა, არამედ მამულის სიყვარულს საზამთროს სარგებლიანობამ დასძლია, აქედან იწყება ეროვნული ტრადიციების მოშლა და გადაგვარების საფრთხე. მხოლოდ შეგონებებით ამ სატკივარს არაფერი ეშველება, ერთადერთი გამოსავალია ვენახმა, ღვინომ, ყურძენმა, ყურძნის წვენის ტკბილეულმა და სხვა სიკეთემ ქართველთა ყოფაში კუთვნილი ადგილი კვლავ დაიპიროს, კვლავ იქცეს მათი მომყვანის ერთ-ერთ ძირითად საარსებო წყაროდ. საზამთროსა და კიტრის სიიაფემ ძველ ანდაზებში შეისხა ხორცი. ყურძენი და ღვინო კი ყველა ხილთა ქებაში უბადლო და შეუდარებელია, „დრონი მეფობენო...“ ნათქვამია, ახლა პირიქით მოხდა. მევენახეს ნუ დავადანაშაულებთ, ის არ ტყუის, იძულებულია ასე მოიქცეს, შვილივით საყვარელი ვაზი საკუთარი ხელით აჩეხოს. გეთანხმებით, შემაძრწუნებელი ფაქტია, მაგრამ უარესია გლეხის ამ ზომამდე მიყვანა...

ღვინო „ხვანჭკარა“ რომ შევინარჩუნოთ, ბუნებრივია, მისი სავანე სოფლები უნდა გადავარჩინოთ, იმ თითო-ოროლა გლეხს უნდა მივხედოთ, რომლებიც ჯერ კიდევ იღვწიან და მომავალს იმედის თვალით შესცქერიან, იქნებ საჯაროობამ და გარდაქმნამ ჩვენც გვიშველოს და შეღავათი მოგვცესო. ვიყოთ ბოლომდე გულახდილნი და ვაღიაროთ: აქამდე რაც ღონისძიებანი გატარდა, გლეხმა ვერავითარი სარგებლობა ვერ მიიღო. ერთადერთ იარაღად კვლავ მამაპაპური თოხი რჩება, სწორედ ისეთი ჩვენს წინაპრებს ბრინჯაოს ხანაში რომ ჰქონდა. თანამედროვე ტექნიკა ადგილობრივ სავარგულებს ზარალს თუ აყენებს, თორემ ჯერჯერობით არავითარ შეღავათს არ იძლევა. რაკველი მევენახის შრომა ისევ პირველქმნილი, ძალიან მძიმე და რთულია. ძალაუნებურად კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ვენახის შესაწავლი შაბიამანი და აპარატი XIX საუკუნის დამლევს გაცილე-

ბით უკეთესი იყო, ვიდრე დღეს არის. ამიტომ სოკოვანი დაავადებანი ვაზს გამოუსწორებელ ზარალს აყენებს და ხშირად ოფლისღვრა, გარჯა წყალში იყრება. ამანაც განაპირობა, რომ ბევრს საკუთარი ვენახიც მოუძულებია და, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, ვაზის მოვლა-პატრონობაზე ხელი აიღო. ასეთია მწარე სიმართლე, რომელსაც ვერსად გავექცევით. კახეთსა და სხვაგან, სამექანიზაციო ზერებში, იჯარამ გაამართლა. შესაძლოა რაჭაშიც გამოინახოს თითო-ოროლა ნაკვეთი, მაგრამ იქ „ხვანჭკარას" ვერ მოვიყვანთ, რადგან მას მხოლოდ სამხრეთისაკენ დამხრობილი, თრონალი ფერდობები სჭირდება, სადაც თანამედროვე პროექტირებით ვენახების გაშენება დაუშვებელია. გამოსავალი ერთადერთია, თუ ვინმე მსურველი გამოჩნდება და ფაქტიურად ამ მიგდებულ მიწებს იჯარით აიღებს, ყოველგვარი პირობები უნდა შეექმნას: მიეცეს ხელსაყრელი სესხი, სათანადო ტექნიკა, ნერგები, ნიადაგის გასამაგრებელი და შემოსაღობი მასალები; დაეხმარონ გზებისა და წყლის გაყვანაში; ხალხური მდიდარი ცოდნა-გამოცდილება აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს უნდა მიუსადაგონ, რათა რაჭველი კაცის ნიჭიერების მწვერვალი — ალექსანდრეული და მუჯურეთული კაცობრიობას არ დაეკარგოს. მათი ყურძნისგან დაყენებული დიდებული ღვინო, არა მარტო სამთვრალო და სალაღობოა, არამედ წამლად აუცილებელი უძვირფასესი სასმელია, სიცოცხლის ნამდვილი ელექსირია. უსამართლობა იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქამდე არავინ ცდილობდა წინაპართა ამ მონაპოვრის გადარჩენას. ცდილობდნენ და თავგამოდებულადაც, მაგრამ ოცდაათიან წლებში დაშვებული საბედისწერო შეცდომები ვერაფრით ვერ გამოასწორეს. ბოდეზე „ტულაპივით დაკიდებული", „წმინდა ჯიშების" — ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის (ქვემო რაჭველი მეურნე ყურძნის სხვა ჯიშებს დამამცირებელ სახელს — „ალეშს" ეძახის...) ვენახი ჩვილი ბავშვივითაა, პატრონს წაართმევ და ან დაიღუპება, ანდა ისე დაცოდველდება, როგორც საზოგადოებრივი მეურნეობების „ზერები". ქალალდზე მსხმოიარე ნარგაობად რომ აღირიცხება, სინამდვილეში კი ნავაზარ-ნავენახარია. მაშასადამე, როგორც დიდი ილია იტყოდა, „გზა ხსნისა" ერთადერთია: რაჭველი მევენახე გლეხის უმძიმესი შრომით მოყვანილი ყურძნის მოსავალი მთლიანად მას უნდა დარჩეს. სხვანაირად ყურძნის გადამამუშავებელი სახელმწიფო ქარხნები ან დაიკეტება. ანდა მხოლოდ ალეში ვენახების ნაყოფს მიიღებს, „წმინდა ჯიშები" კი ამოვარდება, რასაც შთამომავლობა ვერაფრით ვერ გვაპატიებს. ასევე მომავალი თაობა არ შეგვინდობს ხალხური მეღვინეობის დაკარგვის ცოდვასაც. მარანი ქართველი კაცისათვის მარტოოდენ სამეურნეო ნაგებობა, როგორც რაჭა-ლეჩხუმში ამბობენ — „შრა-

მელ-ბურული" კი არ იყო, არამედ საოჯახო ტაძარი, სიწმინდისა და სულიერი სრულყოფის განსახიერება. კარგად შენიშნეს იტალიელმა მისიონერებმა — თუ ეკლესია მოშორებითაა, ქართველები ღვთის მსახურებას მარანში არსულებენო. და ახლა ეს მარანი გვეკარგება, ხალხური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში, ორიგინალური სახურავით, ქვითკირის თაღოვანი, თანჩხებიანი კედლებით; დასავლეთ საქართველოში ძვირფასი ხის მეორე სართულით, ჩუქურთმებით დამშვენებული აივან-საფიცხობლებით, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი, სრულყოფილებით გამორჩეული, ინვენტარით და იარაღ-ჭურჭლით. მარანს თან მიჰყვება ხალხურ წესზე ღვინის დაყენების უძველესი ხელოვნება, ათასწლეულების მანძილზე სასმელის ბუნებრიობას რომ უზრუნველყოფდა. ყოველივე აქედან ერთი ჭეშმარიტი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ხალხურ მარანს და ტრადიციულ მეღვინეობას ეროვნული ძეგლების, სახალხო ფასეულობათა დონეზე სჭირდება დაცვა-შენარჩუნება. ამჯერად მაინც ნუ გავიმეორებთ ადრე დაშვებულ შეცდომას თუ დანაშაულს. მევენახეს ნუ ვაიძულებთ უკანასკნელი მარცვალი ყურძენი სახელმწიფოს ჩააბაროს. ნუ დაირღვევა ნებაყოფლობის პრინციპი, მოსახმარი ღვინო თვითონ დააყენოს, იქნებ გასასყიდიც. ძველი მევენახე ოჯახები ხომ ძირითად საარსებო საღსარს საკუთარი ღვინით იღებდნენ. თან თავსაც იწონებდნენ, ღვთაებრივ სასმელს ვაჟის სახელზე აძველებდნენ და პირმშოს ქორწილს 15—20 წლის ღვინით იხდიდნენ. ზოგიერთი ბერიკაცი ღვინოს თავისი ქელეხისთვისაც აძველებდა. სანამ ეს წეს-ჩვეულებანი კვლავ ცოცხლობს, სანამ ვაზისა და ღვინის მამაპაპური სიყვარული არ გამქრალა, მივცეთ მევენახე გლეხს სრული თავისუფლება, ნურაფერს დავიშურებთ, დავეხმაროთ, რათა აღადგინოს, კვლავ ტრადიციულ წესზე გამართოს წინაპართა მეურნეობა. თითოეული ასეთი კომლი საამაყოც იქნება და საჩვენებელიც. თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტურიზმისათვისაც ყოველივე ამას, ისედაც ნათელია და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

დროა თავი დავანებოთ ყოვლად გაუმართლებელ ექსპერიმენტებს და ხსნა იმ საწარმოო ცოდნა-გამოცდილებაში ვპოვოთ, რამაც ეროვნული თავისთავადობა მოგვცა და დღემდე მოგვიყვანა.

* * *

ექსპერიმენტები ვახსენეთ და შეუძლებელია თვალი დავხუჭოთ იმ არცთუ წვრილმან თაღლითობაზე, რომელიც პატიოსან მშრომელ კაცს გულს უტეხავს, ხასიათს უფუჭებს და ხშირად მშობლიურ სოფელს, კუთხეს მიატოვებინებს. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში

არსებობს ერთი მოარული დანაშაული, რომელიც სახადივით რაიონიდან რაიონში ვრცელდება და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მუსრს ავლებს. ასეთი ჭირი ამბროლაურის რაიონს 70-იან წლებში შეეყარა. გამოჩნდნენ „მარჯვე, მარიფათიანი ბიჭები" და იოლად გამდიდრების მოსურნენი ხილ-კენკროვანთა წვენების ფალსიფიკაციაში ჩაითრიეს. მათი რიცხვი ათეულობით განისაზღვრება. ცოდვის კითხვა დატრიალდა. დამნაშავენი გაასამართლეს და მკაცრ სასჯელდადებულნი ციხეში გაგზავნეს. ისედაც სისხლისგან დაცლილ რაიონს მრავალი, შრომისუნარიანი მამაკაცი მოაკლდა, გაუბედურდა ოჯახები, პიროვნებანი... ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის რექტორატმა, იურისტთა დახმარებით, საგანგებოდ შეისწავლა ეს საქმე, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ასე იქცა რაჭული ტყის სიუხვე და სიკეთე გამოუსწორებელი ბოროტების სათავედ. ვინ იცის, ბუდემოშლილი ოჯახები ამ ტკივილს როდის გადაიტანენ, ანდა გადაიტანენ კი?!

რაჭას მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მოსურნენი, ასეთი გაჭირვების ჟამსაც არ დალევია. ერთ ხანს, ფაბრიკა-ქარხნებს საშუალება მისცეს დამხმარე მეურნეობები მოეწყოთ, რათა მუშები ახალი რძით, ხორცით, ბოსტნეულით და ხილით მოემარაგებინათ. გეთანხმებით. შესანიშნავი ჩანაფიქრია. ალღოიან და მოხერხებულ კაცებს ქვეყანაზე რა გამოლევს. რაც მთავარია, თანხები გამოიყო და დამხარჯავიც მაშინვე აღმოჩნდა. ამჯერად, დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად შეირჩა რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ საზღვრად მიჩნეული მდინარე ასკის თვალწარმტაცი ხეობა. ჭრებალოს კოლმეურნეობის სანახებში დიდი საქმიანობა იჩაჩალდა. გაახსენდათ, რომ თხა ძალიან სასარგებლო ცხოველია, ზამთარ-ზაფხულს ბალახობს, თან ისეთ ადგილებში გადის, სხვა არსება ფეხს რომ ვერ მოიკიდებს. ოდესღაც თხის არვე მეგრელ მწყემსებს რაჭის მიუვალ მთებშიც მოჰყავდათ. მართლაც სარფიანი საქმე გახლდათ. თორემ ასეულობით კილომეტრს რატომ გამოივლიდნენ? გემრიელია თხის ხორცი, რძე ხომ სასწაულმოქმედი, ყველიც თავისებური, მაწიერი, ტყავი და რქები ყოველმხრივ გამოსაყენებელი... თბილისელი მუშები ასეთ საცდურზე აბა უარს როგორ იტყოდნენ. მართლაც ფული და ტექნიკა არავინ დაიშურა. ქვემო სვანეთში გაგზავნილმა მოციქულებმა ასეულობით თხა შეისყიდეს და არვეებად ასკის ხეობაში გადმოლალეს, ზედ ღორებიც ფერმაც მიაყოლეს. ერთი სიტყვით, რამდენიმე კურდღელი ერთად დაიჭირა, რამდენიმე კაცი დასაქმდა, მაგრამ მალე ნატვრისთვალი უკუღმა დატრიალდა, თხები და ღორები ერთიან ამოწყდნენ, ტყის ნადირი და ყვავ-ყორნები მძორებს ველარ ერეოდნენ, ანკარა მდინარე ასკი გაბინძურდა. მთელ ხეობაში საშინელი ანტისანიტარია გამეფდა. ხალხს ეგონა დამნაშავეებს დასჯიდნენ — „ვადაკარგავდნენ", მაგრამ თქვენც

არ მომიკვდეთ, ბუზი ვერავინ აუფრინა. ეგ არის, რომ ზარალის მცირე ნაწილი იმათ აზღვევინეს, ვინც ამ უმაქნის საქმოსნობაში მოტყუებით იყვნენ ჩათრეულნი და არაფერი უსარგებლიათ. მუშტების ტრიალით, კბილების ღრჭიალით მათ გადასახადი გადაიხადეს და ყველაფერი მიწყნარდა, „ინტრიგანობას" და „საჩივარს" მოერიდნენ, როდის ყოფილა აქლემის კუზი ან ძაღლის კუდი გასწორებულა. ის-ის იყო „თხების ექსპერიმენტი" ჩაინავლა, დავიწყებას მიეცა და მის ორგანიზატორებს „კურდღლების დაშერამ" ბოცვერი გაახსენა. ბოცვერი — საოცარი ცხოველი, მშვენიერად მრავლდება, ხორცს და ტყავს რომ თავი დავანებოთ, სამეცნიერო-ექსპერიმენტული ცდებისათვის ძვირფასია. აი კეთილდღეობისა და სიმდიდრის უშრეტი წყარო. დატრიალდნენ იგივე ჯადოქრები, ვინც თხებს ყოფა უტირეს და შეუძლებელი შესძლეს, ამჯერად სოფელ სხვავაში გახსნეს საბოცვრე მეურნეობა...

უძრაობის პერიოდის გაბატონებული გიგანტომანიის ქამს, რაჭაშიც ვეებერთელა ფერმების აგება გადაწყვიტეს. ეს 70-იანი წლების, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, კიდევ ერთი დამღუპველი „გატაცება", რომელმაც მილიონები შთანთქა და ხალხს არავითარი უკუგება არ მისცა, ამხილა და მკაცრად შეაფასა გაზეთმა „პრავდამ" (1988, № 236, 23 აგვისტო, გვ. 3). რაჭის ორივე რაიონის ხელმძღვანელობამ რატომღაც დაივიწყა ცნობილი სიბრძნე — „აჩქარებითა სოფელი..." და ამჯერად „საკავშირო მოძრაობის" ავანგარდში აღმოჩნდნენ, რატომღაც უხერხულ და გაუაზრებელ ადგილებში უზარმაზარი ფერმები ააგეს. თუ აუცილებელი მშენებლობანი ათწლეულობით ჭიანურდება, აქ შესაშური სიმკვირცხლე გამოიჩინეს და უსახური გრძელი შენობებით ღვთაებრივი ბუნება ერთხელ კიდევ დაამახინჯეს. სულ ცოტა ხანი გავიდა და ასეთი „მატერიალურ-ტექნიკური ბაზები" უკვე აღარავის სჭირდება. თუმცა რატომ? სხვავაში ათას სულზე აშენებული ფერმა ხომ ვერ გამოიყენეს?. ხიხამთაზე ბევრი ადგილია, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს ორი „უბრალო" რამ: მოსახლეობისაგან დაცლილ სოფელში მუშახელის არარსებობა და ათას სულ მსხვილფეხა პირუტყვს ათასი პირი აქვს და ტონობით საკვები სჭირდება. ასეა თუ ისე, ფერმა აშენდა, მისი გამომყენებელი კი აღარავინ აღმოჩნდა და აი, სხვაველებს მხსნელ ანგელოზებად მებოცვრეებად გარდაქმნილი თხათა გამანადგურებელნი მოევლინენ, დარჩენილ საზოგადოებრივ საქონელს ყოფა უტირეს, თუმცა, როგორც ვიცი, „მებოცვრეებს" ბოცვრები არ მოუყვანიათ. კიდევ კარგი, თორემ კრიხულის — ამ ერთბაშად თვითნაბადი, ულამაზესი მდინარის ხეობა მათი გვამებით წაიბილწებოდა. მომხდარმა ალქიმიკოსობამ სხვავის მოსახლეობა, გან-

საკუთრებით რესპუბლიკაში ცნობილი ინტელიგენცია, ძლიერ აღაშფოთა. გარნა მშვიდობის მტრედმა ჩამოიქროლა და „ბოცვრების ექსპერიმენტმაც“ მშვიდობიანად ჩაიარა... აღარას ვამბობ „ჯებირების საქმესა“ და სხვა უმსგავსოებაზე, ეფიქრობ საკმარისია.

ბუნებრივია, ასეთი „გამოგონებებით“, „მიღწევებით“ და ვაიექსპერიმენტებით მიგრაციას ვერ შეეაჩერებთ. ისედაც აშლილ უამრავ სატკივარს დოყლაპიობით თუ ანგარებით გამოწვეული დანაშაულებანი არ უნდა ემატებოდეს. ხალხი ავსაც და კარგსაც გულისფიცარზე იწერს. ასე იქმნება საზოგადოებრივი აზრი, რომელიც შენდობისა და პატიების მიუხედავად, არაფერს ივიწყებს, მწარე სიმართლეს როდი ჩქმალავს, შთამომავლობას გადასცემს...

* * *

დროა ხმამაღლა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ საზოგადოებრივი მესაქონლეობა რაჭას ულვთოდ აჩანაგებს. შვიდიათასხუთასი მსხვილფეხა პირუტყვი ონის რაიონს ჰყავს, ამდენივე ამბროლაურს. ათასჯერაა ნაანგარიშევი, რომ ადგილობრივ მათ გამოსაკვებად სავარგულები საკმარისი არ არის, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ზამთარში. საქონელი შიმშილობს, ჯოგი დაკნინებული და ნაკლებპროდუქტიულია. რაჭაში ყოველი გლეხი გეტყვით — „ჩვენი სოფელი ფერმამ ამოაგდო“. სრული ჭეშმარიტებაა. წლების მანძილზე საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა „ზევიდან“ იგეგმებოდა. ფერმის შენახვას ეწირებოდა ის უკანასკნელი სახსარი, რის გამომუშავებასაც ვაი-ვაგლახით მეურნეობები ახერხებდნენ. ეს მდგომარეობა ახლაც გრძელდება, მაგრამ გაცილებით უარეს ვითარებაში, ვიდრე ადრე. სანამ სოფელს ასე თუ ისე სახე ჰქონდა და მუშახელი ჯერ კიდევ „ბოგინობდა“, ფერმას როგორღაც თავს ართმევდნენ, ოღონდ მაშინაც საზრუნავი დიდი იყო, ხოლო სარგებელი თითქმის არაფერი. ჭირი მოგჭამათ ძველად — „არტელობის დროს“ მიღებულმა ორიოდე კილოგრამმა ყველმა. ფერმის რძე და ყველი, ბარემ ოთხი ათეული წელია სოფლის მშრომელს აღარ უნახავს. მათი მიღება ყველკარაქის რაიონულ საამქროებში ხდება და კილოგრამი ასტრონომიული ციფრი ჯდება. ასევე კატასტროფულად მაღალია ხორცის თვითღირებულება. ვის რად უნდა ასეთი ფერმა და მესაქონლეობა?! სამწუხაროდ, მავნე ინერცია გარდაქმნის სადაგ დღეებშიც დაუძლეველია. სოფლის გამაჩანაგებელი ფერმა ძნელი გასატეხი კაკალი აღმოჩნდა. გეგმიან სახელმწიფოში, ბუნებრივია, რესპუბლიკას და ყოველ რაიონს საქონლის სულადობის გეგმა აქვს და, როგორც ირკვევა, საქართველოს ამ მხრივ არცთუ კარგი მაჩვენებელი მოეპოვება,

შემცირებულია ჯოგის რაოდენობა. ასეთ ვითარებაში 15 ათას სულ პირუტყვს რაჭის რაიონებს სახელმწიფო არ ჩამოაწერს, არა და მისი შომველელი მოსახლეობა სწრაფად მცირდება. ფერმებს შემორჩენილი თითო-ოროლა მშრომელი წელში წყდება, საქონელი მაინც დაძშეული და დაჯანდაკებულია. განსაკუთრებულ შესაბრალის დღეში ხბოები არიან, ნამდვილი აგონიაა. არ ვიცი, სპეციალისტები რას აპირებენ, მე კი საკუთარი თვალით ნანახმა და განცდილმა დამარწმუნა, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია. თავი რომ დავანებოთ მეურნეობრივ სარგებლიანობას, ცხოველის მსგავს პირობებში ჩაყენება ყოვლად გაუმართლებელია. ეს ხომ არაჰუმანურობაა. ჩვენში ცხოველთა დამცველი საზოგადოება რომ არსებობდეს, ამას ხომ არაფერით დაუშვებდა. შეჭირვებულმა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ რა ქნას? ცდას არ აკლებენ, ნაირნაირ ხავსს ეჭიდებიან, მაგრამ წინამორბედთაგან უკვე ყველაფერი ნაცადია—„15 ათას მჭამელს რა აუვა?!“ სოფლის პატარა საავადმყოფოს რომ ოც ტონა თივას შეაწერ, აქედან რა უნდა გამოვიდეს?! გლეხობა თითქმის განითესა, ვის როგორც შეეძლო, თავს იმის მიხედვით უშველა. ახლა ცუდ დღეში მუშა-მოსამსახურენი — „ჯამაგირის ხალხია“. რაიონის ყველა საჭიროება მათ დააწვა კისერზე. დაუსრულებლივ გრძელდება შაბათობანი, არამი და არაფრის მომცემი შრომა. თუ ბოლომდე გულახდილნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ — აღარც ყანა-ვენახსა და სათიბში კეთდება საქმე და აღარც სამსახურებში. საკუთარი სინდისიდან გამომდინარე, ყველა მოვალეობას იხდის, რა თქმა უნდა, შრომისნაყოფიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მართალია, რაჭაში ამჟამად მეტად პოპოლარულია სიტყვები — „იჯარა“ და „არენდა“, თუმცა მათი დანერგვა გამოუსწორებლად დაგვიანდა. სანამ რაჭის სოფელი სუნთქავდა, ყური არავინ გაიბერტყა, კვლავ ძველი, დახავსებული მეთოდებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მოსახლეობა რომ გაზაფხულის თოვლივით დნებოდა, ამას ნაკლებად აცნობიერებდნენ. მეცნიერთა ქოთქოთი და ვიშვიში „ძლიერთა“ გაღიზიანებას იწვევდა და პირადი წყენინების დონეზე ქვეითდებოდა. სვანეთის ცნობილმა ექსპერიმენტებმა რაჭაში ვერ იბარტყა. „მოცვეთილი წისქვილის ქვა ქვე ყვირის და არ ფქვავს...“

* * *

1988 წელსაც ჩვენი ექსპედიცია ონის მეორე საშუალო სკოლის ინტერნატში იყო დაბანაკებული. 13 აგვისტოს, საღამოთი, საველე სამუშაოდან რომ დავბრუნდით, ჭიორლების დელეგაცია დაგვიხვდა, სოფელში გვიწვევდნენ:

— მეცნიერებმა კეთილი ინებეთ, მობრძანდით და ჩვენს სოფელში რა ხდება, საკუთარი თვალით ნახეთ და ყურით მოისმინეთო.

მეორე დღეს, დილით საქართველოს ტელევიზიის კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფთან ერთად (ხელმძღვანელი მ. ბორაშვილი) ჭიორაში ავედით. სოფლის ცენტრში — სანახშოზე ხალხი უკვე შეგროვილიყო. რაღა დაგვრჩენოდა, კამათში ძალაუნებურად ჩავებით. სოფლის საყოველთაო უკმაყოფილება გამოუწვევია არენდის ახალი ფორმის დანერგვას. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „არენდა“ — პოლონური სიტყვაა და ქართულად იგივეა, რაც „იჯარა“ (ტ. I. თბ., 1950, გვ. 559), ხოლო „იჯარა“ არაბული წარმოშობისაა და ასეა განმარტებული: „1. უძრავი ქონების (შენობის, მიწის...) დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით, — არენდა... 2. ვადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით“ (ტ. 4. თბ., 1955. გვ. 996).

ჭიორაში ვერც არენდას და ვერც იჯარას თავი და ბოლო ვერ გაუგეს. იმიტომ კი არა, რომ იქაურებს დაინტერესება ან განათლება აკლიათ. თითქოს მთებს ჯანღი მოედოო, რატომღაც ისე გაბუნდოვნდა სრულიად მარტივი საკითხები. რა ფასი და მნიშვნელობა აქვს დღეს იჯარის სხვადასხვა ფორმებს (კოლექტიური, ოჯახური, პირადი) გინდ მეველეს ჰკითხე და გინდ მოსწავლეს, ყველამ მშვენივრად იცის. ისიც კარგად იციან, რომ არენდა გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას, როცა არენდატორი ხანგრძლივი სარგებლობისათვის იღებს გარკვეული საფასურით მიწასა და სხვა ძირითად საშუალებებს პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების, რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით. არენდა ქონებრივი დაქირავება, ხელშეკრულებაა, რომლის დროს ერთი მხარე კოლმეურნეობის. საბჭოთა მეურნეობის ან სხვა მიწათსარგებლობის სახით მეორე მხარეს — არენდატორს აძლევს მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებს გარკვეული ქირით, ხანგრძლივი სარგებლობისათვის. მუშაობს რა სრული ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკ

დან ამოღებული მიწების ათვისებით ან არარენტაბელური მეცხოველეობის ფერმების გამოყენებით, მეურნეობას შეუძლია შეღავათიან პირობებში ისინი საარენდოდ გასცეს, საარენდო ქირის შემცირებით ან იმ პერიოდის მანძილზე ქირის გადაუხდელად, რომელიც საჭიროა წარმოების ეფექტიანობის მოსაგვარებლად.

რაღაც ამის მსგავსი ვანხორციელდა ჭიორაში, თუმცა მოვლენების წინ ნუ ვაუსწრებთ. ჯერ კიდევ ინსტრუქციის ფურცლებთ თვალი: დაშვებულია დამატებითი მუშახელის მოზიდვა როგორც გამონაკლისი, სეზონური სამუშაოების პერიოდში. მათი შრომითი ანაზღაურება ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ იმაზე ნაკლებად არა, ვიდრე მეურნეობაში ანალოგიური სამუშაოსათვის ანაზღაურება. და ბოლოს კიდევ ერთი ხაზგასმა: არენდატორი და არენდის მომცემი, ხელშეკრულების მიხედვით, თანასწორუფლებიანი პარტნიორები არიან. მათ ყველა ურთიერთობას აწესრიგებს ხელშეკრულება, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს („სელსკაია ჟიზნ", 31 აგვისტო, 1988).

ჭიორელები სწორედ ამ ნანატრი ხელშეკრულების გარეშე დარჩნენ და ყველაფერი აირია. ერთი შეხედვით უბრალო საკითხი რატომღაც გართულდა და ობობას ქსელივით ჩაიხლართა...

ჯერ იყო და საოჯახო იჯარის შემოღებას აპირებდნენ. ფერმის საქონელი 220 სული ცალკეულ კომლებზე უნდა გაენაწილებინათ. ჭიორაში მუდმივი მაცხოვრებელი — ე. ი. როგორც ადგილობრივ ამბობენ — „მოზამთრე კომლი" მხოლოდ სამოცია, ამათგან შრომისუნარიანი მამაკაცი. რომელსაც თიბვა და „სახლის ამარობა" შეუძლია, ორმოცდახუთი ჰა. დიდი-დიდი ორმოცდაათია. ყველა კომლს თავისი პირუტყვი ჰყავს, თვით დავრდომილებსაც კი, სხვანაირად ამ მაღალმთიან სოფელში ვერავინ იარსებებს. „აგორებული ქვა ხავს ვერ მოიკიდებსო", „მოაგარაკენი" ყველა ვალდებულებისგან თავისუფალნი არიან, „სოფელში დახავსებულებს უშვერენ ქანჩს". უბრალო მათემატიკაა: 220 სული საქონელი 50 კომლზე რომ გაყოთ, ზოგს ოთხი მოუწევს, ზოგს ხუთი. დაახლოებით იმდენივე ან მეტი შინ დახვდება. ზამთარში ათი სული საქონლის გამოკვებას სულ ცოტა ოცი ტონა თივა მაინც სჭირდება. ჭიორელთა სათიბები ღრუბლებში თავშერგულ ფრიალო მაღალმთებშია. ერთადერთ სამუშაო იარაღად კვლავ მამაპაპური ცელი რჩება. გამოჩენილი ქართველი მწერალი რევაზ ჯაფარიძე წერს: „აბა, სადღა, რომელ ქვეყანაშია ნახავთ ცელსა და ღვარეულის თავში წაკუზულ მთიბავს. ცხელი ოფლი ღვარად რომ ჩამოსდის და შუა ზაფხულის თაკარა სიცხეში დილიდან საღამომდე ჯოჯოხეთური ომის გადახდა უხდება" („კომუნისტი", 1988, № 159, 8 ივლისი, გვ. 3). ბევრი ადგილიდან თივა ზურგით უნდა ჩამოიტა-

ნონ, აბა სცადეთ მისი ტონობით მოგროვება?! უკიდურესი დაძაბვის გამო ფრჩხილებში სისხლი რომ წაგვსკდება. უფსკერო უფსკრულების თავზე, ერუანტელის მომგვრელ ქარაფთა მისაქციელში. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ქანცის გაწყვეტამდე რომ გაირჯები. როგორია?! ბევრი წავიდა და ეწვალა, ვინც დარჩა ახეთ დღეშია. საკუთარი საქონლისათვის კიდევ შეიძლება თავი გასწირო, მაგრამ ფერმის „დამუნიანებულ-დამიქტიანებული", უჯიშო პირუტყვისათვის რად უნდა გაისარჯო?! იქნებ შინაური მარჩენალი საქონელიც დაანებოვნოს, ზარალს ზარალი მიემატოს, საკუთარი რომ არ იჯავრო, მთავრობის ვალების გადახდას რა აუვა?!

—„რატომ, ბატონო, რატომ?! დავაშავეთ ამ სატიალე მთას რომ არ ვშორდებით?!"

— „არა, არ გვეცხოვრება, უნდა წავიდეთ. გადასახლებაზე დავწერეთ კიდეც კოლექტიური განცხადება, წესიერ პასუხს ვერ ვეღირსეთ... ძველი გზა-ბილიკები და ზეკარ-უღელტეხილები არ დაგვიწყებია, ჩრდილო კავკასიაში გადავალთ და იქ დავმკვიდრდებით...

როგორც რაჭაში იტყვიან — „სანახშო ზიზინობს". მოაგარაკენი ცალკე დგანან, ქალაქელი ბავშვები დაფრთხნენ და ატირდნენ. მთიდან მობრუნებულმა მთიბავებმა ცელები დაატრიალეს. ხალხმა ფერმის საქონელი არ მიიღო. მაშინ 1988 წლის 20 მაისს ექვსმა ჭიორელმა საიჯარო რგოლი შექმნა. ადგილობრივ ფერმას შეუბნის საბჭოთა მეურნეობიდან 70 სული საქონელი დაემატა და თითქოს სოფელმა ამოისუნთქა, თუმცა სიხარული ნაადრევი გამოდგა. ეს ექვსი კაცი ჭიორის ბატონ-პატრონად იქცა:

— მიწა, წყალი და ჰაერი მთავრობის არისო, ჩვენ მთავრობის წარმომადგენლები ვართო და, თუ არ დაგვემორჩილებით. არ დაგვიჯერებთ, ფეხს არსად დაგადგმევინებთო.

სოფელს რაც ვააჩნდა — სახერხი ქარხანა, ტრაქტორი. ავტომანქანა და მისთანანი ამ ექვსეულის ხელთ გადავიდა. ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და გამწვავდა. ალესილმა ენებმა იმძლავრეს, აქეთ ექვსი ოჯახი და იქეთ მთელი სოფელი.

— წლის ბოლოს „ვოლგებს" დავიყენებთ ეზოშიო! — დაუტრაბახია რომელიღაც მოარენდე დედაკაცს. ხალხი ასეთ ლაპარაკს კიდევ მოითმენდა, მაგრამ აღშფოთება ვერავინ დაიოკა, როცა არენდატორებმა სოფელს მოსთხოვეს თითო ოჯახიდან თითო ტონა თივის ფერმაში უფასოდ, აუნაზღაურებლად ჩაბარება. სამაგიეროდ სოფლის ქველა სიკეთით გასარგებლებთო.

— თქვენ ვისი ტიკი-ტომრები ხართ, რა ბატონებად დაგვიჯექითო! — ატყდა ერთი ალიაქოთი და ამ დავიდარაბის ჟამს მეცნიერები მოიწვიეს. მთავრობას საგანგებო კომისია რომ დაენიშნა, უკეთეს

სპეციალისტებს ვერ მოუხმობდა: რაჭის კომპლექსური შესწავლის ექსპედიციის წევრი, საქართველოს აგრარული ურთიერთობის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი; ჭიორის მკვიდრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომისტი, სწორედ საიჯარო ურთიერთობის სპეციალისტი აკაკი რეხვიაშვილი; ისტორიკოსები — დოცენტები მიხეილ და სპარტაკ რეხვიაშვილები. რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად ხანგრძლივი სჯა-ბაასი გაიმართა. აღმოჩნდა, რომ ხალხი საარენდო რგოლის ხელშეკრულებასაც არ იცნობდა და მსგავსი დამოკიდებულება კანონიერ გულისწყრომას იწვევდა. ბუნებრივია, ჭიორის მაცოცხლებელი, მკვიდრი სამოცი კომლი ასეთი გაუგებრობით არ უნდა შეწუხებულიყო. საკმარისია, რაც მიუტევებელი შეცდომები დავუშვით და რაჭის სოფელი დაკრობის პირამდე მივიყვანეთ. „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო", — ახლა მაინც მივუგდოთ ყური შრომაში მოუღლელ, მკაცრ ბუნებასთან ვაჟკაცურ ჭიდილში ჩაბმულ „მოზამთრე ჭიორლებს" და მათ თავიანთ საყვარელ სოფელში ცხოვრების საშუალება მივცეთ. არცერთი მათგანი არ ამბობს უარს საზოგადოებრივი დავალებანი შეასრულოს. გული დამწვა რამდენიმე ქვრივ-ობოლის განცხადებამ:

—ხუთ სულს ვერა და ერთ სულ ფერმის საქონელს რაღაცნაირად შევინახავთო.

— ყველა გადასახადს დროულად ვიხდითო, — ხაზგასმით აღნიშნავენ ჭიორლები, — მძვინვარე სტიქიას, დიდთოვლობას, ზვავებს, ღვარცოფებს, წყალდიდობას, ყინვა-სიცივეს ვიტანთ, ვერ მიგვიტოვებია ეგ ოხერი, მამა-პაპათა საძვალე, — შვილებივით საყვარელი მთები და გადარეული რიონი. მოგვეცით წინაპართა მიწაზე ცხოვრების თავისუფლებაო. გავიპიროვნებთ სახნავ-სათესს, სათიბ-საძოვარს, ტყე-გასატევარს, თავსაც შევინახავთ და მთავრობასაც შესაფერის სარგებლობას მოვუტანთო.

მჯერა ჭიორელთა სიტყვისა. ჩავწვდეთ, გავიგოთ მათი გულისთქმა და ჭიორა კვლავ ხალხმრავალი, ბედნიერი სოფელი გახდება. რეხვიაშვილები და ჩაგელიშვილები როცა იმდენად მომძლავრდებიან, რომ საკუთარი სოფლის სანახებში ვერ დაეტევიან, ფუტკრის სკასავით იყრიან და საქართველოს დაობლებულ ნასოფლარებს ტრადიციისამებრ გააცოცხლებენ. დაე, 220 სული ფერმის საქონელი ამ საშვილიშვილო საქმეს ზვარაკად შეეწიროს.

ჭიორლები იმასაც ირწმუნებიან, რომ თითოეული ჩვენთაგანისათვის ხელსაყრელი იჯარის ფორმა გამონახონ და რაიონს არაფრით დავაზარალებთ, არც პირუტყვის სულადობით და არც ნაწარმითო. უეჭველია, ისინი პირობას შეასრულებენ!

* * *

კეთილმოწყობილი გზა რაჭველი კაცის ოდინდელი ოცნება იყო. XIX საუკუნის დამლეგს, მამისონის უღელტეხილზე, „საფოსტო შარას" გაყვანამ რაჭა ფართო ასპარეზზე გამოიყვანა. მაგრამ დღეს ჩრდილო კავკასიასთან კავშირი, მითუმეტეს ეკონომიკური ხასიათის ტრადიციული ურთიერთობა, აღარ ხორციელდება, რის გამოც საუკუნეებით დამკვიდრებული კეთილმეზობლური და ორმხრივ სასარგებლო დამოკიდებულება დაბრკოლდა. აღარ მოქმედებს ძველთაძველი კერძ-მოკეთეობა — ხალხთა საქმიანი და სარგებლიანი მეგობრობა. ის, რაც ხალხებს ცხოვრების გამოცდილებით და აუცილებლობით შოუპოვებიათ, ბუნებრივია, დღეს არ უნდა დავკარგოთ, თორემ აუნაზღაურებელი ზარალი მოგვივა.

რაჭველები მწვავედ განიცდიან შიგასარაიონო გზების მოუწყობლობას. სოფლის აყრის ერთ-ერთი მიზეზიც ესაა. ამ მხრივ, ამბროლაურის რაიონში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თუ არ ჩავთვლით ასკისა და შარეულას ხეობების ძალიან ცუდ სამანქანო გზებს. რაც შეეხება ონის რაიონს, შემაშფოთებლად კრიტიკული ვითარებაა. რიონის მარჯვენა სანაპიროზე გაყვანილმა გზატკეცილმა ძველ გზებს შნიშვნელობა დაუკარგა, მითუმეტეს 40-იანი წლების შემდგომ, როდესაც მიმოსვლის, უმთავრეს საშუალებად ავტომანქანა იქცა. სოფელი. სადაც საავტომობილო გზა არ შედის, სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა. სწორედ ამ გარემოებამ დაარღვია რაჭის იდეალურად სრულყოფილი, მთა-ბარის ყოველმხრივ სრულფასოვნად გამოყენებასთან შეხამებული, განსახლების სისტემა და მივიღეთ გზისპირა ნაჩქარევი დასახლებანი, რომელთაც არც სოფლის სცხიათ რამე და არც ქალაქისა. ამრიგად, მთავარმა გზატკეცილმა, დადებითთან ერთად, ერთგვარად უარყოფითი როლი შეასრულა. ადრეც ვწერდით და ახლაც უნდა გავიმეოროთ: მის მოვლას და შეკეთებას უამრავი თანხა და ძვირფასი მიწა ეწირება. ადგილი აქვს ისტორიული ძეგლების ხელყოფასაც. მაგალითად, ხიდიკარის კლდეკარს გზის გაფართოების შემდეგ, სამუდამოდ დაეკარგა სახე.

უძრაობის პერიოდის გიგანტომანიას, უადგილო ადგილას გზათა მშენებლობაც მიემატა. ვითომდა სათიბების ათვისების მიზნით, ალპურ ზოლშიც კი შეიჭრნენ და მთამაღლის უბიწოება დაარღვიეს. ე. წ. „სატყეო გზებმა" ხომ უფაქიზესი ხეობები გააჩანაგეს. ამბროლაურის თავზე აღმართული სალოს მთაც მკერდის გაფატვრას ვერ ასცდა, წუთუ ზნაკვის გზით არ შეიძლებოდა სამშენებლო ქვის გამოტანა? მცხოვრებთა გაკვირვებას ახლაც იწვევს თლულის მიღმა გაყვანილი შარა, რომელიც მხოლოდ ერთ უბანს ემსახურება და ა. შ. ერთი

სიტყვით, ამ საქმეშიც წესრიგის დამყარებაა საჭირო. მთიან რელიეფზე გზის გაჭრას ეკოლოგიური თვალსაზრისით დიდი სიფრთხილე სჭირდება, ეკონომიკური შესაძლებლობაც რომ იყოს, სადაც ძალიან აუცილებელი არ არის, იქ ბუნება არ უნდა დავაზარალოთ, მას პირველქმნილობა უნდა შევუნარჩუნოთ.

ასეა თუ ისე, ამბროლაურის რაიონმა შესძლო და საავტობუსო მიმოსვლის გარეშე თითქმის სოფელი არ დატოვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემო რაჭის სოფლები კი დიდ გაჭირვებას განიცდიან. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია რიონის მარცხენა სანაპირო. ოდესღაც იქეთ ონიდან საურმე შარა მიდიოდა — კომანდელ-სხიერიდან ხირხონისს გაივლიდა და ქორთას გადავიდოდა, ჯოისუბნის ქედზე აივაკებდა და უდაბურებში (ძველად ისეთი მჭიდრო დასახლება ყოფილა — კვაშხიეთიდან თურმე ჭიბრევამდე თხა სახურავებზე გადადიოდა. ეს თქმულება პოეტმა მურამან ლებანიძემ ლექსში გამოიყენა) გაივლიდა: ჭიბრევს, მრავალძალს, ზემო ბარს და სხვავა — ფუტიეოს ხოტევ-ნიკორწმინდასთან აკავშირებდა. მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის ხსოვნა ხოტევის ქალაქობისა, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილა, რასაც ვერ ვიტყვით ამბროლაურზე. აი, რას წერს ვახუშტი ბაგრატიონი: „ქრიხულას და ხოტევის წყლის შესართავს ზეით, ხოტევის წყლის აღმოსავლეთით, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ციხე კვიტაიშვილისა, ფრიად მაგარი. ამ ციხის ზეით, ხოტევის წყლის დასავლით, არს ხოტევი და ციხე მისი დიდი, დიდ-შენი, და სახლობენ აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ.

ხოტევს ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარის ჭევი. ამ ჭევზედ არის ნიკოლაწმინდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭისა“ (ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 764).

ეთნოგრაფიული მონაცემებითაც, რაჭის ქედის კალთებზე შეფენილი სოფლების მცხოვრებნი სავაჭროდ ხოტევს მიდიოდნენ, ხოლო „ეპისკოფოსის შემოსალოცად“ ნიკორწმინდას. მიმოსვლა უდაბურების შარაგზით ხორციელდებოდა. ეს იყო „ქვემოთთან“ დამაკავშირებელი ზემო რაჭის უმთავრესი არტერია. ამ გზის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ქორთა გახლდათ, სადაც თავს იყრიდა რიონის ზემო მხრისა და ჯეჯორის ხეობის სოფლების გზები. აქედან ქვაგახეთქილას კანიონის და შქმერის გავლით, იმერეთს მიდიოდნენ, ხოლო ჯოისუბან-უდაბურზე ქვემო რაჭას, ოკრიბას და ქუთაისს. საავტომობილო მიმოსვლამ ეს ტრადიცია კარგა ხანია მოშალა და საბოლოოდ სოფელი ქორთა უგზოოდ დარჩა. თვით ზაფხულშიც კი იქ ტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. შუა აგვისტოში ექსპედიციის წევრები იძულებულნი

გავხდით, ქორთაში ფეხით ავსულიყავით. მრავალძალაშიც ნაწვიმარზე ვერავითარი ტრანსპორტი ვერ აღწევს. ასევე სამყაროსაა მოწყვეტილი ნაკლებად ცნობილი, უმშვენიერესი სოფელი ჭიბრევი. იქ, თვით ზემძლავრი ყველგანმავალიც ვერ მიდის. ორიოდე „მოზამთრე კომლი" უკიდურეს მდგომარეობაშია. არ არის ტელეფონი, რადიო-ტელევიზია, სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ყოფილა შემთხვევა, როცა მძიმე ავადმყოფი ონში ტრაქტორით წაუყვანიათ და გზაში გარდაცვლილა. მიუხედავად ასეთი უკიდურესი გაჭირვებისა, ზაფხულობით ქორთა, მრავალძალი და ჭიბრევი მოაგარაკეებით მაინც ივსება და სამივე სოფელში სიცოცხლე სჩქეფს. მართალია, ხალხი განაწყენებული და აღშფოთებულია, მაგრამ მშობლიური კარ-მიდამო მაინც არ ეთმობათ. ყველანი ერთხმად აცხადებენ:

— არაფერს არ დავიშურებთ, ვინმემ მოგვხედოს და გზის გასაკეთებლად არც ხარჯს დავერიდებით და არც შრომასო.

ონიდან ამ სოფლებში ამოსვლა უდიდეს სიძნელეებთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული. ადგილის დედის განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა და თვით სოფელთა განუზომელი სილამაზე რომ არა, ქორთა, მრავალძალი და ჭიბრევი ნასოფლარებად იქცეოდნენ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ იმედით არსებობენ, იქნებ ეშველოთ და ორიოდე კილომეტრზე, წლის ყოველ დროს თუ არა, ზაფხულში მისასვლელი გზა მაინც გაკეთდეს.

ჭიბრევი მაჩაიძეების „ბუდესოფელია". რამდენიმე წელია იქაურმა მაჩაიძეებმა საგვარეულო დღეობაც კი დააარსეს. ყოველი წლის აგვისტოს ბოლო კვირას იკრიბებიან. ზემო ბარიდან ისეთ გზაზე გადმოყავთ „ნივები" და „კოლხოზნიკები", ჟიური რომ ჰყავდეთ მსოფლიო რეკორდსმენებად ჩათვლებიან. რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე, თითოეული სოფლისათვის გზის პრობლემა ასე ადვილად არ გადაწყდება. მე პირადად გამოსავალს უდაბურების უძველესი შარაგზის აღდგენაში ვხედავ. ამ გზას კრიალოსანივით ჰყავდა აკრებილი რაჭის ქედის კალთებზე მდებარე ყველა სოფელი, ნიკორწმინდიდან წედისის ჩათვლით და რაჭის როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის მთლიანობას უზრუნველყოფდა. დღეს სწორედ ეს ერთიანობა უნდა შევინარჩუნოთ, თუ გვინდა რაჭა რაჭად დარჩეს. მთავარი გზატკეცილიდან, რაჭის ქედის კალთების გავლით — უდაბურების გაცოცხლებული შარაგზით, ავტობუსებმა წრიული მარშრუტით უნდა იმოძრაონ. მაშინ გაჭრობის პირას მისული ბევრი სოფელი სულს მოითქვამს და სანამ ხალხს მშობლიური კერა არ მიუტოვებია, იქნებ ეშველოთ.

ხხეათა შორის, ლუხუნის ხეობის სოფლები — ურავი, ლიხეთი და აბარი „ონქალაქს" შხეფურის გზით დადიოდა. სონტარულის ხეობა-

ში გადამშ-ჭვებარს გაივლიდნენ და ჭალულას სანახებით ონში მივიდოდნენ. რაჭული ფრჩხილეებიანი ურემი სად არ გაივლიდა, არასაურმე ბილიკებიც ხომ წარსულში სრულფასოვანი მიმოსვლის საშუალება იყო. ამიტომ მდინარეთა ყველა ხერთვისში, შემაღლებულ, თვალსაჩინო ადგილას, ციხე-კოშკია წამომართული. კოშკი კოშკს უცქერდა და მტრის შემოსევის ან სხვა რაიმე საგანგაშო ვითარების ჟამს, კოცონს დააგზნებდნენ და მყისვე მოსახლეობა ფეხზე დადგებოდა. ასეთი იყო ძველი კომუნიკაციები, დროის შესაფერისი და იმდენად გამოსადეგი, რომ ხალხს უკმაყოფილების გრძნობა არ უჩნდებოდა. ახლა ცივილიზაციის სიკეთემ რაჭის მთებშიც შემოანათა, მაგრამ მას იმდენი დარღვევა, უთავბოლობა, დაუდევრობა და განუკითხაობა მოჰყვა, რომ, სულო ცოდვილო, ხომ არ აჯობებდა ის პატრიარქალური კეთილგანწყობა არ დარღვეულიყო. გლეხს გლეხურად ემუშავა, ყანა-ვენახს მოჰფერებოდა, საქონელი გაეზარდა, მოსაგებში წასულიყო, უხვად მომრავლებული მოსახლეობა დასასახლებელ ადგილს თვითონვე გამონახავდა, არც შამპაპურ სამკვიდროს დაიობლებდა და არც წინაპართა საძვალე-სალოცავებს მოიძულებდა. რას ვიზამთ. ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს, რაჭის ბედი ასეთი ყოფილა. ამ კუთხის ხსნა, მხოლოდ და მხოლოდ, ტრადიციული ცხოვრების წესის კულტურის თანამედროვე მიღწევებთან მიზნობრივ შეხამებას შეუძლია. ოღონდ. როგორმე, თავი უნდა დავაღწიოთ იმ ნაკლოვანებებს, რაც, სამწუხაროდ, საერთოდ საქართველოს მთიანეთის და, ამჯერად, რაჭის ყოფაშია ფეხმოკიდებული.

* * *

ამას წინათ საქართველოს ტელევიზიაში მიგვიწვიეს. რაჭის შესახებ კრიტიკული გადაცემა უნდა გვენახა და სათანადოდ შეგვეფასებინა. გამოაცა დოკუმენტურმა კადრებმა, სადაც ასახულია სასმელი წყლის მოპოვებისათვის ნამდვილი გაწამაწია. თითქოს საჰარის უდაბნო იყოს, ჩაფებით, დოქებით, სათლებით და სხვა ნაირნაირი ჭურჭლებით აღჭურვილი ადამიანები, ისე ეძებენ მაცოცხლებელ წყალს. რა მოხდა? რა დაემართა რაჭის განთქმულ წყაროებს? იქაური სოფლის ყველა უბანს ხომ თავისი დედოწყარო ჰქონდა — მეღერი, დამახასიათებელი სახელით (ცივწყარო, მტრედის წყარო, ირმის წყარო, კოდის წყარო. ბინულა, შავბინულა, ლომოიდო, აშხაპირა, ჩხატურა, წინწკილა, ხარხალა და ა. შ.) და წარმტაცი შემოვარეულნი. სუფთად ნათალი ბაღდადის ან შირიმის ქვის ფასადი, ჩუქურთმებად ეროვნული სიმბოლოები რომ ამშვენებდა; სპილენძის მილებზე გადმომჩქეფარე მძლავრი წყაროსთელები, ვეებერთელა, გრძელ ქვითკირის ან მორის გოჯბ-ჯიროლებში ჩამდინარი. ჯიროლებთან გუნ-გუნდად ისხდნენ

მოსარეცხე ქალები. თაკარა შუადღისას კი წყურვილს ნახირი იკლავდა-წინ ნებივრად იყო გაშლილი ხალხის თავშესაყარი მოედანი. ცალკე ცაცხვის, მუხის ან კოპიტის ჩრდილში გრძელი სკამები ჰქონდათ ჩარიგებული. წყარო ხომ სოფლის, უბნის გული და შესაკრები ადგილია, რაჭველები რომ სანახშოს ეძახიან. არცერთი ტრადიციული სოფლის არცერთი უბანი წყაროს გარეშე არ არსებობდა, რადგან უწყლოდ ვერც ადამიანი იარსებებდა და ვერც საქონელი. ამიტომ სოფელთა წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორი წყაროც იყო.

რა მოხდა? ნუთუ რაჭის სოფლებში ასე ხელაღებით დაიშრიტა ცივი, გემრიელი წყაროები?

კარგა ხანია რაჭაში სოფელთა ტრადიციული განსახლება დაირღვა. მოსახლეობამ მამაპაპური საცხოვრისი ხელაღებით მიატოვა და მთავარი გზატკეცილის შემოგარენში დასახლდა, სადაც სასმელი წყალი ნაკლებადაა. ფირზე სწორედ ეს ახალი დასახლებანია აღბეჭდილი. უფორმო და შეკოწიწებული, მიწა-წყლისა და გასატევარის გარეშე დარჩენილი, სოფელი კი არა, რაღაც გაუგებრობა, რომლის ერთადერთი უპირატესობაა მანქანებით ახმაურებული, გამონაბოლქვებით მოწამლული ცხელი შარა. რაჭის ბევრი სოფელი შეიწირა იოლი მისვლა-მოსვლის ცდუნებამ, შორეული ქალაქებიდან იაფად მოსვლის შესაძლებლობამ, ხოლო გზატკეცილს ორიოდე კილომეტრით მოშორებულ სახლში მიღწევა ხომ დაუსჯელი ძარცვის მიზეზი ხდება. ყაჩაღად ქცეული მძღოლი ნამუსს გზის გაუმართაობით იწმენდს. ათმაგს მისცემ და წაგიყვანს, არა და იჯექი მტვერსა და სიცხეში, მშობლიურ სახლს დანატრებული. ამ „წვრილმანმაც“ დაათმობინა რაჭველს წინაპართაგან იდეალურად შერჩეული საცხოვრებელი — მშობლიური სოფელი, სადაც არც წყალი აკლდა და არც ჰაერი. მარჩენალ ყანა-ვენახსა, სათიბ-საძოვარსა და ტყეზე აღარაფერს ვამბობ. ძველებს ხომ არ შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინებინათ, მათი შთამომავალნი ცხენსა და ხარს ასე უდროოდ და იოლად თუ მოიძულებდნენ. შეუძლებელია ავტომანქანით ყველგან მიხვიდე, ხოლო საბაგირო გზის დანერგვამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. სხვათა შორის სოფელ შექმერის სათიბებში გააკეთეს საბაგირო გზა, რომელსაც ერთი დღე არ უმუშავია.

სოფლებით დაყურსული რაჭის მთების ფუძეები, ზეგნები და ხეობები ნასოფლარებად იქცნენ. ცუდად შეხორცებული ჭრილობებივით დააჩნდა ამ ბუნებრივ წალკოტებს ნასახლარები, როგორც რაჭაში ამბობენ — „ნამოსახლები“. განწირულ, უპატრონოდ დარჩენილ კარმიდამოში, ადამიანებთან ურთიერთობის, სიმბიოზის დაკარგვის გამო, შინაური ხეხილი თაბდათან გადაგვარდა და გადახმა. მოუვლელობით წყაროებიც დაშაობდნენ და როგორც მკვიდრნი გვარწმუნე-

ბენ, ზოგიერთი „გაიპარა“ კიდეც. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, უწყლობა ადგილობრივ მცხოვრებლებს ძლიერ აწუხებთ, ხოლო წყალსა და მეწყერს მთელი რაჭა მიაქვს. ადამიანის მზრუნველი ხელი წყალსაც მოაკლდა და შედეგმაც არ დააყოვნა — ღვარცოფებმა და მეწყრიანობამ იმატა. ისედაც „დაძრული“, ეროზირებული ნიადაგებისათვის დამღუპველია „უადგილო ადგილას“ გაშვებული წყალი, რაც რაჭის თანამედროვე სოფლებში ასე მრავლადაა.

ტექნიკის წინსვლამ და წყლის ადვილად გამოყვანის შესაძლებლობამ ადგილობრივ დასახლებებს მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა. სოკოებივით მომრავლდა წყალსადენები, რომლებიც ვერავითარ ტექნიკურ ნორმას ვერ აკმაყოფილებენ, ხოლო ჰიგიენური თვალსაზრისით, სათავე ნაგებობების დაცვა-გამართვაში ისეთი დომხალია, ყველა მათგანი დასახურია. ამაოდ იბრძვის რაიონული პრესა. რაჭაში ყოველ წუთს შეიძლება განმეორდეს ცხინვალის კურიოზი. ცუდად დამარხული და გადაბმული მილები უამრავ წყალს ატარებენ. ღიად დარჩენილი ონკანებიც თირნალებზე ისედაც აცურებულ ნიადაგს წყლით აჯერებენ, გამკითხავი და მშველელი კი ჯერჯერობით არ ჩანს. კვაშხიეთში (ონის რაიონი) ცხოვრობს პედაგოგი-პენსიონერი ვალერიან გოშაძე — ეროვნული სიძველეების ქომაგი და ისტორიული ძეგლების აღმდგენელი, რომელიც სამართლიანად ტეხს განგაშს:

—მთელი რაჭა წყალს მიაქვს, ძეგლებიც დაგვეღუპება და სახლებიც!.

მართლაც მძიმე მდგომარეობაა. წყალსადენების გამყვანნი და შესვეურნი ფრიად საეჭვო რეპუტაციისანი არიან. მე ვისაც შევხვდი, წვრილმან მოგებას გამოდევნებულნი ჩანან. ერთიანი მეცნიერულ-სახელმწიფოებრივი კონცეფცია ვერსად დავინახე. გამოძალვებისა და უხარისხოდ შესრულებული, მიფუჩეჩებული სამუშაოს ფაქტი უამრავია. შეიძლება კვლავ დაბეჯითებით ითქვას, რაჭაში მოქმედი თითქმის ყველა წყალსადენი გასაუქმებელია. ხელმძღვანელი ამხანაგები თანახმანი არიან წყალთა მეურნეობის საარაიონთაშორისო სამმართველო შექმნან, მაგრამ ჯერჯერობით პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. ამბროლაურისა და ონის რაიონებში იმდენი მწვავე პრობლემაა, ალბათ წყლისთვის ვერ მოიცალეს. ვალერიან გოშაძისა არ იყოს — რაჭა წყალს მიაქვს...

წყალი! ამ საოცარ სითხეს რამდენი ბედნიერების მოტანა შეუძლია. რაჭის წყლებით უცხოური ფირმები ამაოდ არ დაინტერესებულან, როგორც მინერალურით, ისე ჩვეულებრივი. თუმცა ნურავინ იფიქრებს „ოქროს წვიმა“ გაურჯელად წამოვა, წყალს მოვლა-პატრონობა და, რაც მთავარია, ბუნებრივი სადინარების მიჩენა სჭირდება. თუ ასე გაგრძელდა, რაჭას საბოლოოდ წყალი დაღუპავს.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას მოვახმარე და ყოველთვის მაკვირვებდა ერთი გარემოება: შეუდარებლად შრომისმოყვარე, მუყაითი რაჭველი მეურნე, მიწის უბადლო მესაიდუმლე, მსოფლიო სახენელ იარაღთა შორის ყველაზე საუკეთესოს, სრულყოფილის — რაჭული სახვნელის შემქმნელი, განსაკუთრებულ გამონაკლისს გარდა, სარწყავად წყალს არ იყენებდა. სარწყავი წყალი კი უხვად ჰქონდა. რიონს რომ თავი დავანებოთ, უამრავი მდინარე, ღელე, რუ, ნაკადული, წყარო ყველა სარწყავად გამოსაყენებელი იყო, მაგრამ ერჩია მოსავალი გვალვით დაზარალებულიყო, ვიდრე თირნალ, დამრეც ნიადაგებზე წყალი მიეშვა. წყალს სარწყავად მხოლოდ აქა-იქ, ვაკე-დაბლობებზე, საბოსტნე ქვიშრობებში თუ გამოიყენებდნენ, ისიც იშვიათად, აუცილებელი საჭიროების გამო. მიზეზი გასაგებია. რაჭის ნიადაგები რწყვას ვერ იტანდა. ამიტომ არცთუ იშვიათად გვალვას მოსავალი ეწირებოდა. წინაპართა ცოდნა-გამოცდილებას სრულფასოვნად დაუფლებულ რაჭველ მეურნეს მარჩენალი მამულის სამომავლო დაღუპვას დღევანდელი ზარალი ერჩია. წყალი თავისი გზით უნდა წასულიყო, ყოველი საღვარული, არხი, კვალი თუ საწრეტი წყლის დინება-დაქანების უტყუარი ცოდნით კეთდებოდა, რითაც ზედმეტი წყლის მოშორება ხდებოდა. წყლის სადინრად მიწის სიღრმეში ქვაყრილებს აწყობდნენ, რათა წყალს სასურველი მიმართულებით თავისუფლად ედინა. ქვაყრილი შქერის ან თხმელის „ჯარჯებით" — კონებით დაიფარებოდა და ზედ მიწა დაეყრებოდა. დაჭაობებულ — „ჭარ" მიწებს ასე აშრობდნენ და ადგილს ეკონომიურად იყენებდნენ.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ქართლში წყლის დასაკუთრების გამო ხშირად სამეზობლო დავები იმართებოდა. რაჭაში კი პირიქით, საკუთარი ადგილიდან სხვის მიწაზე წყლის მიშვება საშინელ გულისწყრომას იწვევდა. ახლა, როცა კარმიდამოებში გამოყვანილი წყლის ონკანები მომრავლდა, უმეთვალყურეოდ, დაუდევრად გაშვებული წყალი ნამდვილ განხეთქილების ვაშლად იქცა.

* * *

რაჭა-ლეჩხუმის საზღვართან, იქ, სადაც ასკი რიონს უერთდება, შედარებით ვრცელ ტაფობზე, გაშენებულია სოფელი ჭრებალო. სადაც საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა რწყვის კულტურა. ასკიდან გამოყვანილი იყო მობრდილი არხი, რომელიც კრამიტის ქარხანას ამუშავებდა. სხვათა შორის, ჭრებალოური კრამიტი მთელ იმერეთში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა, რაც ცნობილი მწერლის ოტია იოსელიანის შემოქმედებაშიც აისახა. იგივე არხი სოფლის აღმოსავ-

ლეთ უბანს ჩაუდიოდა, ზედ რამდენიმე სამინდო წისქვილი იდგა, რაც ირგვლივ მდებარე დასახლებათა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ამ არხიდან მცირე ნაკადულები გამოდიოდა და ჭრებალოს ლარივით სწორ მთავარ ქუჩას, საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვით, ლამაზად ამოშენებულ კალაპოტში, ანკარა წყალი ორივე მხარეს, ჩუხჩუხით ჩაუდიოდა, იქაურობას აგრილებდა და ასუფთავებდა. სოფლის ბოლოს ვრცელი ბოსტნები ჰქონდათ, სადაც უხვად მოჰყავდათ მწვანილი, ბოსტნეული, მტილეული, კიტრი, პამიდორი, ნესვი, საზამთრო და ა. შ. მოწეული მოსავალი ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ასე იყო მე-19 საუკუნის დამლევიდან, თვით სამამულო ომის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ ჭრებალოს მიგრაცია ნაკლებად შეეხო, ვინაიდან ეს სოფელი გზაჯვარედინზე მდებარეობს და დაბის ტიპის დასახლებაა, 50-იანი წლებისათვის წისქვილები და კრამიტის ქარხანა აქაც მოისპო, განადგურდა და გატიალდა სოფლის დამამშვენებელი, მაცოცხლებელი არხი. წყლის სადინარები ნაგვით ამოივსო და ანტისანიტარიის ბუდე გახდა.

ნარუალებში სახლებიდან გამონაყონი ამაზრზენ მწვანე ფუბეებად დგება და საშინელ სუნს აყენებს. იქაურობას ათასში ერთხელ თუ „დაასუფთავებს" ანაზდეულად მოვარდნილი ნიაღვრები. ამაზე იტყვიან — „ზოგი ჭირი მარგებელიაო". ნიაღვარი და ღვარცოფი აქ არცთუ იშვიათადაა, რადგან ფერდობებდან ჩამონადენი წყლის მასა, ბუნებრივი სადინარების ხელოვნურად გადაკეტვის გამო (ვინ სად დაესახლა, ღმერთმა უწყის, ამიტომ 1987 წლის მძვინვარე სტიქიამ ყველაზე მშვიდობიან ადგილას გაშენებულ ჭრებალოში გამოიწვია საცხოვრებლების ნგრევა და ადამიანის მსხვერპლი), ქუჩებს ტბორავს და ქვაღორღით ავსებს. შუა სოფელზე გზატკეცილი რომ არ გადიოდეს, მისი გამწმენდიც არავინ გამოჩნდებოდა. აქვე დავძენთ, რომ გზატკეცილზე ავტომანქანების თავაწყვეტილი სრბოლის გამო, ჭრებალოში ხშირია უბედური შემთხვევები, მეტადრე ბავშვთა და მოხუცთა სიკვდილიანობა.

სოფლის კეთილდღეობისათვის აუცილებელია ფერდობებიდან ჩამომდინარე წყლების საწრეტების მოწყობა, საავტომობილო გზის გადატანა და მეტადრე ძველი სარწყავი სისტემის აღდგენა, რაც ეკოლოგიურ წონასწორობასაც დაამყარებს და თან მებოსტნეობის განახლებით საკმაო სარგებლობასაც მოიტანს. სარწყავი წყალი ესაჭიროება, აგრეთვე, ჭრებალოს ქვემოთ მდებარე ჭყვიშის სანერგე მეურნეობას. დაინტერესებულმა პირებმა იანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ თანამედროვე სარწყავი სისტემის მოწყობით 200 ჰექტარი ძვირფასი საბოსტნე და სანერგე — სავენახე მიწა გასარწყავდებოდა. თან ჭრებალოს ყველა მცხოვრები სარწყავ წყალს საკუთარ ბოსტანსა და

ბალჩა-ვენახში მიიღებდა, რისთვისაც სასმელ წყალს ხმარობენ, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ქუჩების ირგვლივ აღდგენილი არხები ნაწური წყლის ბუნებრივ სადინარებად იქცეოდნენ. სავარვულების რწყვა დასაწვიმებელი აპარატებით განხორციელდებოდა და ნიადაგი დაუზიანებელი დარჩებოდა.

იდეამ ხორცი შეისხა. პროექტი მომზადდა და 1985 წელს რაჭაში პირველი თანამედროვე სარწყავი სისტემის მშენებლობა დაიწყო. ეს სასიხარულო გამარჯვება და სახელმწიფოებრივი ზრუნვის გამოხატულება იყო. სრულყოფილად მოწყობილი სარწყავი სისტემა რაჭველ კაცს უახლესი ტექნიკის უპირატესობაში დაარწმუნებდა. უპატრონოდ მიტოვებული, ნაყოფიერი მიწები კეთილდღეობის, ბედნიერების წყაროდ იქცეოდნენ. ბოსტნეულისა და მტილეულისათვის ქუთაისში აღარ დასჭირდებოდათ წასვლა, შემოსავლიან დასაქმებას, საჭირო მოსავალს და შესაფერის მოგებას „კარიყურში“ მიიღებდნენ.

სარწყავის მშენებლებმა მილები და სხვა მასალები მოზიდეს, ტექნიკა გამართეს, მუშები დაიქირავეს და აჰა, ჭრებალოს ეშველა. თუმცა სიხარული ნაადრევი გამოდგა. ნავთობის მოპოვების (ერთმა თაღლითმა — გვარად რატიანმა — „მათეევიჩად“ ცნობილმა, ასკის ხეობაში გასამრჯელოს გარეშე, ხალხი მოტყუებით ამუშავა, ვითომდა ნავთობის აღმოსაჩენად) და ზემოთ აღწერილი თხების ამბავი განმეორდა. პროექტი ხელაღებით დაირღვა, მილები ასკის შესართავიდან რატომღაც რიონს ჩააყოლეს, სარწყავის სათავე ისეთ ადგილას გამართეს, წინ წყალი აქვს და უკან მეწყერი; ადიდებულმა ასკმა იქაურობა რამდენჯერმე მილეწ-მოლეწა, ყველაფერი წაიღო და გაატიალა. მაინც არ დაიჯერეს, შენობა ჩადგეს, უზარმაზარი მილი ჰაერში ისე უხერხულად დაჰკიდეს, ახლო მცხოვრებლებს საავარიო მდგომარეობა შეუქმნეს. გულდათუთქულმა ჭრებალოელებმა იქოთქოთეს, იდავიდარაბეს, მერე დაიღალნენ და გაჩერდნენ. სარწყავს ერთ დღეს არ უმუშავია. ძვირად ღირებული მილები და ტექნიკა ოხრდება, დამნაშავე ისევ მოუხელთებელია... ზოგჯერ კომისია გამოჩნდება, მიივლიან, მოიკლიან, აქტებს ფაფორმებენ და წავლენ. როგორც ამბობენ— ბრალეულად ის კი არ მიაჩნიათ, ვინც სახელმწიფო სახსრები გაანიავა, მშენებლობა ჩაშალა და რაჭველ მეურნეს რწყვისადმი ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა, არამედ იდეის ავტორები, სად რაჭა და სად რწყვაო, რად მოგვახვიეს თავს ეს სისულელეო...

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, — ჭრებალოს მიწაში დარჩენილია, უფრო სწორად განისვენებს ფოლადის მძლავრი მილები, როგორც ადამიანთა უსულგულობის და უპასუხისმგებლობის ნიშანსვეტი. ჟანგმა ჭამა რკინა, მიწამ ჟანგი, დრო ყველა-

ფრის მკურნალია, შენდობა და დავიწყება კი ბოროტი ბიუროკრატიზმის უებარი მალამო. მაგრამ რა ეშველებათ ჭრებალოელებს?! როდემდე იყვნენ სიბინძურესა და განუკითხაობაში?! ამ „ბაღდავან სოფელშიც“ იკეტება სახლები, უქმდება კომლები. იქ, არცთუ დიდი ხნის წინათ, ამბროლაურის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი საშუალო სკოლა იყო, წელს კი პირველ კლასში შვიდიოდე ბავშვი მიიღეს...

არ ვიცი, სანამდე მიგვიყვანს ლუარსაბ თათქარიძისეული გულარხეინობა. პირად გამორჩენას ასე უდიერად, ასე უგანაჩენოდ რატომ ეწირება საქვეყნო საქმე?!

მართალია, ჭრებალოში სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი გახსნეს, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. როცა ხოდაბუნი და ზვარი დამუშავებული და მოსავლის მომცემია, ჭრა-კერვას მაშინ აქვს ფასი. რაჭაში შემოსავლის, არსებობის ძირითადი წყარო მიწა უნდა იყოს, მიწამ შეგვინახა დღემდე და მისი უარყოფა უსათუოდ დაგვღუპავს. ღვთის ფშობას გავუძელით, მიწის ფშობა კი აღსასრულს მოგვიმზადებს.

ჭრებალოს გვერდით, პირველი ტოლის სანახებში კიდევ ერთი მშენებლობა მიმდინარეობდა. მეწყერსაწინააღმდეგო არხი გაჰყავდათ, სადაც მიწისქვეშა წყლებს უნდა ედინა, სოფელი და საუკეთესო სავენახე მიწები დაღუპვისაგან ეხსნა. ხალხში ლეგენდები დადიოდა: ფაჩხატის კლდიდან თურმე ფარული მდინარე გამოდის, ჯურღმულში იბნევა, წალიკდება და ქანებს აცურებსო. მის სათავეს მეცნიერებმა მიაგნეს, არხში ჩააგდებენ, მოსახლეობასაც ეშველება და ვენახებსაც. იმ მონაკვეთზე რაჭის თემშარაც რომ „დედაბრის კბილებივითაა დაღრეცილი“, ისიც გასწორდებაო.

„შენს პირს თაფლი და შაქარი, აგაშენა ღმერთმა!“ — ისმოდა იმედიანი ხმები.

„კაი ამბავს გაიგებ და სიცოცხლე შეგემატება. მადლობა ღმერთს, მთავრობას მიტოვებული არ ვყოლივართ!“

„ი, მდინარე მთლად ბინული — ცივი, გემოიანი სასმელი წყალი ყოფილა, ჭრებალოს კი არა, ქუთაისსაც ეყოფაო!“

ზოგმა ოცნებით ზედ, წყალსადენთან ერთად, ელექტროსადგური და წისქვილებიც გამართა.

არხის მშენებლობა, რიონის პირიდან ჟოშკოს მთამდე, სადაც ფაჩხატის კულგამოღადრული კლდე მზის სხივებზე სპილოსძვლისფრად ელვარებს, წინ ნელ-ნელა მიიწევდა. რაჭველებს ერთი სული ჰქონდათ, სასწაული როდის მოხდებოდა, მეწყერები აილაგმებოდა და მტრად მომდგარი წყალი სასარგებლო გახდებოდა. აი არხი მიწაყრილმა დაფარა. მშენებლებიც წავიდნენ და ყველაფერი ამით დამთავრდა, მეწყერი ისევ „მეწყრულად ლივლივებს“, გზატკეცილი

კვლავ „ოკრო-ბოკროთაა და გამვლელ-გამომვლელი ხან კისერს იტეხს და ხან კინჩხს“. იმ უცნაური მდინარის ასავალ-დასავალი კაცმა არ იცის, იყო და არა იყო რა... მტერი გახარებულია და გესლიანად ქირქილებს: „მაგათგან სიკეთე ვის უნახავს, ახლაც აღარ დაიჯერებთ, ქვეყნის დაღუპვა რომ უნდათ?“

ყველაფერ ამას უძრაობის, ვილუნტარიზმის ან პიროვნების კულტის პერიოდს ნუ დავაბრალებთ. შესაძლოა თითოეული დრამა მაშინ დაიწყო, მაგრამ მოქმედება ჩვენს თვალწინ რომ თამაშდება, ეწარე ფინალის მოწმენი რომ ვხდებით, ეს კიდევ არაფერი, ხშირად პარალს საკუთარი ტყავით რომ ვზღავთ, დაუსაფლავებელი მკვდარივით დატოვებული, გაუკეთებელი საქმე წუთისოფელს რომ გვიმწარებს, შეიძლება ასე გულხელდაკრეფილნი ვისხდეთ?! დღისით, მზისით, ჩვენს საცხოვრისში ავაზაკები თავხედურად მოქმედებენ, გვძარცვავენ, გვატყუებენ, სიწმინდეებს გვიბღალავენ, ცოლშვილს გვიწოკებენ და ციხეებშიც გვყრიან (გავიხსენოთ ამბროლაურის რაიონის ტრაგედია), განა ეს მოსათმენია?! ძირეული გარდაქმნა არასდროს არ განხორციელდება, თუ თითოეულმა ჩვენთაგანმა, საკუთარ მოქმედებაზე პასუხი არ ვაგებთ. ის, ვინც პატივზე ამოსული სარეველა ბალახივით ლაღდება, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, არმად ნაშოვნით თავს იწონებს, საკუთარი კეთილდღეობისათვის არაკითარ ბოროტებას არ ერიდება, სწორედ ის უნდა ვამხილოთ, ნუ დავხვრეტთ და ნუ გადავასახლებთ, „ჩინური სამართლით“ მოვექცეთ: ულირს მაღალი თანამდებობის პირს ჩინელები იმ საწყის საფეხურზე აბრუნებენ, საიდანაც აღმოსვლა დაიწყო. რაჭის დაუმთავრებელ მშენებლობათა მესვეურებს, ადგილობრივი მშრომელების წინაშე ჯერ თვითანგარიშით გამოვიყვანდი, შემდეგ ზარალს დავაფარინებდი, ბოლოს ხელთ ბარსა და ნიჩაბს მივცემდი და საქმის დამთავრებამდე დღეღაღამ შრომით სიქას, ღდინს გავაცლიდი. მჯერა, ასეთ სამართალს ხალხი უსათუოდ დაუჭერს მხარს. „ოთხფეხა მავნებლებს კალო-ბეღელი უძლებს, საშიში ორფეხა ვირთხებია, ეადახრეს ქვეყანა, ყუყზე დაიყვანეს...“

* * *

კიდევ ერთ უიღბლო მშენებლობაზე მინდა შევაჩერო ყურადღება. თავის დროზე პრესასა და წიგნებში რაჭის გადარჩენის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს გულწრფელად მივესალმე. მჯეროდა, რომ თითოეული კაპიკი დანიშნულებისამებრ დაიხარჯებოდა. უანგარო დახმარება, აღმშენებლობა გასაქცევად გამზადებულ თანამემამულეებს მშობლიურ სოფელში დაამაგრებდა. იმასაც ვწერდი — ნურავინ იფიქ-

რებს რაჭველს რაჭა არ უყვარდეს, თუკი ცხოვრების პირობები ექნება, იქედან ფეხს არ მოიცვლის და ა. შ.

ეს სტრიქონებიც მე მეკუთვნის: თითქოს სიმბოლურია, რომ რაჭის დასაწყის სოფელ ჭრებალოში პირველი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი სარწყავი სისტემის მშენებლობა გაჩაღდა, ხოლო რაჭის თავად აღიარებულ სოფელ ღებთან, რიონის დამორჩილებისათვის გრანდიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. მალე ახდება ღებელთა ოცნება, ჭიორის ჭალაზე ლაღად მონავარდე რიონს კალაპოტში ჩააგდებენ. ათობით ჰექტარ მიწას სავარგულებად გამოიყენებენ, კალმახთსაშენებსაც მოაწყობენ და, რაც მთავარია, ღებს საიმედო საავტომობილო გზა ექნება, რომელიც ზამთარ-ზაფხულ დაუბრკოლებრივ იმოქმედებს.

დიახ, ამ სტრიქონების ავტორი გახლავართ და ალბათ კარგად გამიგებთ, რა მდგომარეობაში ვიქნები, როცა სამსახურებრივი მოვალეობის გამო, ღებსა და ჭრებალოში იძულებული ვარ, ყოველ წელს ჩავიდე. ზრდილობიანი და თავშეკავებულია რაჭველი კაცი, დინჯი, აუჩქარებელი და მომთმენი. იმდენად გულკეთილი, დამთმობი და პატიოსანი, საყვედურს არ გეტყვის, გარნა თითოეული მათგანის კეთილ, სანდომიან, თუმცა უსაზღვროდ დადარდიანებულ თვალებში ხომ ვკითხულობ სამართლიან წყენას:

— „ბოლოს და ბოლოს, რას გვატყუებთ, რას გვაპამპულებთ. ამაო დაპირებებში ჩაინაცრა ჩვენი წუთისოფელი!“

მართალი ხართ თანამოძმენო, აფერუმ თქვენს მოთმინებას, თუმცა ამაზე მეტი რაღა უნდა თქვათ — „ჩამორთმეული ვენახივით ვართო“ ანდა „კოდალას რო ფუღუროდან მატლი გამოჰყავს. იმ დღეში ჩავცვივდითო“. ვიცი. ლანძღვა-გინებას თქვენ არ იკადრებთ, ჯულში არ გიწერიათ. როცა ჩხუბს გაიძულებენ, მაშინაც უწმაწური სიტყვა არ წამოგცდებათ: — შე ოჯახაშენებულო, შე კაიდედმამიშვილო. შე დალოცვილო, შე გასახარებელო, შე ბედნიერო, ღმერთმა გიშველოს, ღმერთმა აგაშენოს, ღმერთმა გაგიმარჯოს... ჩემგან რა გინდა, რას მერჩიო... აი, რაჭველის „მაგარი“ სიტყვა-პასუხი.

საქართველოს სსრ „წყალმშენმა“ ჭიორის ჭალაზე მუშაობა 1984 წლის 1 მარტს დაიწყო. ამ საშვილიშვილო საქმეს გამოცდილი სპეციალისტი, ენერგიული კაცი გივი ზაქარიას ძე კეკელაშვილი მეთაურობდა. 1986 წლის ივლის-აგვისტოში იქ ვიყავი და ფრიად გახარებული დავრჩი: ჭიორის ხიდის მიდამოები და მის ქვემოთ, რიონის მთელი კალაპოტი რკინა-ბეტონის ფილების ჯავშანში იყო ჩასმული. მშენებლები ღებისკენ შიზანსწრაფულად მიისწრაფოდნენ და 1988 წლისათვის ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო. წყლისათვის წართ-

შეული მიწები სიკეთის წყაროდ ქცეულიყო, კალმახთსაშენებში კალმახს ვერ მოლევდნენ, ხოლო უგზოობით გატანჯულ ღებს საიმედო შარა ექნებოდა. თუმცა საქართველო ვერ დაივიწყებს 1987 წლის ზამთარს. ისტორიას არ ახსოვს სტიქიის მსგავსი გამძვინვარება. გაგიჟებულმა რიონმა ბეტონის ფილები (მათ უხარისხობას უჩიოდა გივი კეკელაშვილი) იოლად მილეწ-მოლეწა და უამრავი ნაშრომი, ამჯერად პირდაპირი მნიშვნელობით, წყალში ჩაეყარა. ღები ისევ უგზოუკვლოდ დარჩა. ჭიორისჭალაზე თავაწყვეტილი რიონი ისევ ძველებურად დაჯირითობს. მართალია, მშენებლობა გრძელდება, მაგრამ რიონის ძალას საეჭვო ღირსების ფილები ჩვეულებრივ ამინდშიც ვერ გაუძლებს. ვფიქრობ, მწარე გამოცდილება საკმარისია, რომ მშენებლობის მთელი ტაქტიკა შეიცვალოს. ღებელები და ჭიორლები მრავლისგადამტანი, დაკვირვებული და გამოცდილი ხალხია. მე, როგორც ეთნოგრაფს, მათი მჯერა. ცერზე დაყენებული ფილები თავიდანვე არ მოსწონდათ და, როდესაც ჩემი აღტაცების მოწმენი გახდნენ, ირონიულად ჩაიცინეს:

—„ჩვენ არაფერი არ ვიცით, რიონმა იცის...“

ის, რაც ქართლის წყალმარჩხ მდინარეებზე გამოდგება, ზარ-ზავთიანი რიონისათვის მართლაც შეუფერებელია. შედეგიც სახეზე გვაქვს — უზარმაზარი აუნაზღაურებელი ზარალი. ჩემი ღრმა რწმენით, შექმნილი ვითარების შემდეგ, ძველებურად აღარ უნდა გავისარჯოთ, მითუმეტეს, რიონის ძალა და შესაძლებლობა განუსაზღვრელია. ადგილობრივი მთისკაცნი ამბობენ და მეც ვეთანხმები: ფასის შთიდან დაქანებით მოვარდინილი რიონის გამაჩერებელი, დამაშვიდებელი მარტოოდენ ჭიორის ჭალაა — თავისი ვრცელი გასატევარით, რბილი, ხავერდოვანი ფშანებით, ოლე-ბუჩქნარებით, რიყის ქვებით და კენჭებით მოგვირისტებული. ვიწრო კლდოვანებსა და ტინებში შეზღუდულ-შეკუმშული, გავეშებული წყალი, ჭიორის ჭალაზე იშლება და ჯოჯოხეთურ სიძლიერეს კარგავს. ადამიანის ხელს არ შეუძლია ისეთი ნაგებობა შექმნას, რიონის ამ მოძალებას გაუძლოს. მაგონდება ზღვის სანაპიროზე კედლების აღმართვამ ზღვა რომ გადარია, ხოლო ქვიშის დაყრამ, უფრო სწორად უკან დაბრუნებამ, ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენამ, კვლავ რომ დაამშვიდა. ასე ვმარცხდებით ბუნებასთან ჭიდილში, მის მოთხოვნათა უცოდინარობის გამო. ბოდიშს მოვიხდი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის წინაშე, რადგან მე ბუნების ღირსეულ შვილებს — ღებელებს და ჭიორლებს უფრო ვენდობი. რიონი ყალაპოტს, რიონი ქორაილს ვერ აიტანს. გამოსავალი ერთადერთია: მხოლოდ მარცხენა სანაპიროზე, ჭიორის მხარეს გაკეთდეს, ჭიორის ხიდიდან ღების მისასვლელამდე, ზეძლიერი, კაპიტალური, რკინა-ბეტონის კედელი, რაც შეიძლება ღრმა

ლიბო-საძირკვლით, ოღონდ არა შორიდან მოტანილი „ფილებით“, არამედ იქვე ბლომად დახვავებული რიონის რიყის ქვა-ღორღით და უმტკიცესი მარკის ცემენტით. სიფრთხილეს თავი არ სტკივა და კედელს წინ საფუძვლად მაღალი ქვაყრილი უნდა გაუკეთდეს, რათა წყალმა ძირი არ გამოუთხაროს. საიდანაც ქვაყრილს აიღებენ, იქ რიყე ჩადაბლდება და რიონის ბუნებრივ კალაპოტად გახდება. კედლის თავზე, ღებისთვის ესოდენ სანატრელი გზა გადავა — მართლაც მუდმივი და საიმედო. ჭიორის ხიდიც ასეთივე კედლის ჯავშანში უნდა ჩაისვას. კედელი უნდა გაგრძელდეს ღების ზევითაც — ჭალის ახალ უბანში 52 კომლს რიონი რომ აყრით ემუქრება. ასე შეიკრება რიონის მარცხენა ნაპირი, მარჯვენა მხარე კი თავისუფალი დარჩება, რათა წყალს სანავარდო, გასატევარი ჰქონდეს. თან მარჯვენა მხრიდან, ღები-ჭიორის მცირე მონაკვეთზე, წყალუხვი მდინარეები ჩამოდიან (ლათქიშორა, მუხამეშურა, შოდურა, ლოღორული) და რიონს ერთვიან. რიონს რომ თავი დავანებოთ, თითოეულმა მათგანმა ისეთი მოვარდნა იცის, ვერცერთი მათგანი კედელს ვერ იგუებს, ამიტომ მარჯვენა მხარე თავისუფალი უნდა იყოს. ფშანებიც ხელშეუხებელი დარჩეს, რათა რიონის უნიკალურ კალმახს გამრავლებისათვის ჩვეული ეკოლოგიური გარემო არ დაერღვას. ბუნების ამ საჩუქარს ნუ შევეხებით, კალმახთსაშენები იქ მოვაწყოთ, სადაც „მამაზეციერის ნამოქმედარს“ არაფერს ვავნებთ. ვფიქრობ, თევზის ხელოვნურ საშენებზე ბევრად უფრო უმჯობესია მდინარეების სიწმინდე, თავისთავადობა დავიცვათ და ბრაკონიერობა უმკაცრესი ზომებით ავლაგმოთ. თევზისათვის მდინარეზე უკეთეს ადამიანის ხელი ვერაფერს შექმნის, ხოლო ჭიორის ჭალის ბინულოვანი ფშანები, ისეთი მადლიანი და ბარაქიანი კალმახთსაშენებია (ზაფხულს ცივი, ზამთარს თბილი), თუ იქ საწამლავს არ გავურევთ. ლიფსიტებს ზრდა-განვითარებას დავაცდით (თან ადგილობრივი ჯიშისას, რიონის კალმახი ხომ შეუდარებელია) და თავის დროზე ნორმალურ რეწვას დავიწყებთ, ნადავლს ვერ მოვლევთ.

ასეთია ღებელებთან და ჭიორლებთან ჩემი ხანგრძლივი საუბრების შედეგი. ადამიანი ბუნების შვილია და მას მშობელზე უხეშ ზემოქმედებას, დამბადებელზე მაღლა დადგომას, გაბატონებას მაღალი ღმერთი არ აპატიებს!

* * *

სტიქიის გამძვინვარებამ რაჭა ძალიან დააზარალა, მაგრამ, ვინაიდან სვანეთში ადამიანის მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო, ბუნებრივია, მთელი ყურადღება იქეთ გადავიდა და რაჭველთა გმირობა,

თავდადება ნაკლებად შეფასდა. ამაზე უსათუოდ საგანგებოდ უნდა დაიწეროს, ამჯერად მხოლოდ გაკვრით შევეხებით.

ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი გორდონ ჩაილდი წერდა: ჩარლზ დარვინის მიერ ევოლუციის თეორიის აღმოჩენის შედეგად, ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილი გახდა, ხოლო კაცობრიობის ისტორია, ბუნების ისტორიის გაგრძელებად იქცა. ამავე დროს ბუნებამაც, ისევე როგორც ადამიანმა, მოიპოვა საკუთარი ისტორია („პროგრესი და არქეოლოგია", მოსკოვი, 1949, გვ. 22-23, რუსულ ენაზე).

ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, ეს მარადიული თემა ქართულ მეცნიერებაში ნაკლებშესწავლილი და, მაშასადამე, ნაკლებგაცნობიერებულია. მითუმეტეს, საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე მეტად ზვავსაშიშ და ღვარცოფსაშიშ რესპუბლიკას წარმოადგენს. დღეისათვის ასზე მეტი მოქმედი კერაა აღრიცხული, საიდანაც მუდმივი საფრთხის მუქარაა. სპეციალისტები ხაზგასმით მიუთითებენ: „მიუხედავად დიდი მატერიალური და მორალური ზარალისა, ასეთი სახის სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლა ინჟინრული მეთოდებით დღესდღეობით არასაკმარის დონეზე ხორციელდება. მეტწილად ეს შეიძლება ახსნილი იქნას იმ გარემოებით, რომ დღემდე რესპუბლიკაში არსებულ ღვარცოფ და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების მშენებლობის პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება ეკონომიურად ხელსაყრელი, ინჟინრულად დასაბუთებული ეფექტური და საიმედო ნაგებობანი" („ახალგაზრდა კომუნისტი", 1988, № 23, 23 თებერვალი, გვ. 3—4).

იქვე აღნიშნულია, რომ, სამწუხაროდ, მეცნიერულ აზრს და მიღწევებს ცხოვრებაში ნაკლები გამოყენება აქვსო.

1987 წლის ზამთარში, როდესაც სტიქიის სისასტიკის პირისპირ აღმოვჩნდით, დიდთოვლიანობამ და ზვავებმა სვანეთი დააქცია, მეწყერებმა რაჭა-ლეჩხუმი, წყალდიდობამ ჯოლხეთის დაცლობი, ასზე მეტი მოქალაქე დაიღუპა და ზარალმა 300 მილიონს გადააჭარბა. მოსალოდნელი იყო ჩვენს რესპუბლიკაში ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართება, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მიზეზთა დადგენა კვლევა-ძიების ძირითად მიმართულებად დაისახებოდა, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. ელდამ და ტკივილმა გაიარა, ჭრილობები ასე თუ ისე მოშუშდა, დაზარალებულთა ვამძლეობასა და სიმამაცეზე თითო-ოროლა ნარკვევი დაიწერა, სატელევიზიო რეპორტაჟებიც მოეწყო და ამჯერად ყველაფერი მიწყნარდა. ასეთია წუთისოფლის კანონზომიერება, ჭირს რაც უფრო იოლად გადაიტან და ბალე დაივიწყებ, მით უკეთესია, გარნა ესეც მრავალნაცადი სიბრძ-

ნეა — ჭირი თავს არ დამალავსო, აქედან გამომდინარე, გვაქვს დამშვიდების უფლება?!

ბუნებრივია, დღეს — XIX საუკუნის 80-იან წლებში სტიქიის შემოტევას და ჩვენს თავზე დატეხილ უბედურებას ღვთის რისხვას ვერ დავაბრალებთ. ამ მწარე გაკვეთილს თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რომელთა ახსნა და გამომზეურება მეცნიერებს ევალებათ. აშკარაა, ამ თვალსაზრისით წარმოებული კვლევა-ძიება საკმარისი არ არის, მეტადრე ფართო საზოგადოებას, რაც შეიძლება მალე, სრულყოფილი ანალიზი და სწორი ინფორმაცია სჭირდება, რადგან სტიქიის საშიშროებისაგან არასდროს არ ვართ დაზღვეული. ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან ერთ-ერთი უპირველესი ეთნოგრაფიაა, რომელმაც ძალაუნებურად უნდა იკისროს სტიქიისა და ადამიანის დამოკიდებულების შესწავლა, (ლ. ი. ლავროვი, სტიქიური უბედურებანი ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნემდე, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, 8, მოსკოვი, 1976, რუსულ ენაზე).

რა გვაქვს საქართველოში ამ მიმართულებით გაკეთებული? მ. ვეგეშიძეს რომ არ დაეწერა მონოგრაფია — „ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში" (თბ., მეცნიერება, 1982), მთლად ყამირის გატეხვა მოგვიწევდა. განსვენებული მკვლევარი შეეცადა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნილებისათვის შეესადაგებინა. ამ პირველი ცდითაც ნათელი გახდა, რომ თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, ქართველმა ხალხმა ბუნებასთან ურთიერთობაში უაღრესი რაციონალიზმი გამოიმუშავა, რისი მეოხებითაც ჩვენთან ბუნებისა და ადამიანის სიმბიოზი ყველა ეპოქაში მიღწეული იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სრულფასოვან მაგალითად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც კმარა.

არ არსებობს ხალხი, რომელსაც საცხოვრებელი გარემოს შეცნობა-შერჩევასა და გამოყენება-ათვისებაში თანდაყოლილი ინტუიცია და საკუთარი ცოდნა-გამოცდილება არ ჰქონდეს. აქედანაა განსაზღვრული მისი ყოფა-ცხოვრების ხასიათი და თავისებურებანი, ფართო გაგებით — კულტურის დონე.

საქართველოს მიწა-წყალი დედამიწის მცირე მონაკვეთია, მაგრამ მას საოცარი მრავალფეროვნება ახასიათებს, რაც თვალსაჩინოდ იისახა თითოეული კუთხის იერსახეში, მეურნეობის ტიპსა და საქმიანობაში, კვების რაციონსა და ჩაცმულობაში, ზოგადად ყოველდღიურ საჭიროებასა თუ ხელოვნებაში, მცხოვრებთა ტემპერამენტში, ქცევის ნორმებში და ა. შ. ეს კუთხურობა როდია, არამედ ეროვნული თავის-

თავადობის უმთავრესი ნიშანი, ცისარტყელას ფერთა გამის ერთიანობა.

ქართველ ხალხს მტკაველ-მტკაველ, გამოწვლილვით ჰქონდა შეკნობილი თავისი საცხოვრისი. მის მიწაზე შობილი თითოეული არსის ავ-კარგი, მდინარის, ნაკადულის — ღელის თუ წყაროსთვლის სათავე, ხეობა და შესართავი; ხვავრიელი თოვლის, დელგმის, ჟუჟუნა წვიმის სარგებლიანობა თუ საშიშროება; ზეავის, ღვარცოფის და მეწყრის სიმუხთლე. წლის ყველა დროს რა იყო მოსალოდნელი, შთამომავლობით იცოდა და, სადაც არ სჯობდა, გაცლას ამჯობინებდა. ნებისმიერი ტრადიციული ქართული სოფლის განსახლება, მთასა თუ ბარში, რაგინდ რთულ რელიეფზე არ უნდა იყოს იგი, წლის ყველა დროს, ყოველგვარ ამინდში, სრულ უშიშროებას უზრუნველყოფდა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ შარშანდელმა დიდთოვლობამ, ძირითადად, ახალი დასახლებანი დააზარალა. მოვიტანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს:

ბევრი მკაცრი ზამთარი უნახავს რიონის სათავეებში მდებარე სოფელ ღებს. მაგრამ 1987 წელს რომ იყო, ისეთი ზღაპრადაც არავის გაუგონია. 1986 წლის 22 დეკემბრამდე არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. როგორც ყოველთვის, მთებს ახლაც ნაადრევად ჰქონდათ წამოხურული თეთრი ნაბადი. ქოჩორა ტყეებს და სოფლის ნაფუძვრებს რილო-ჭრილო წამოეძალა. რიონმა გული დაიწმინდა და უწყინარ ნაკადულად იქცა. 22 დეკემბერს ნაშუადღევს თოვა დაიწყო. ბავშვები პირველ თოვლს ქივილ-ხივილით შეეგებნენ. თოვა გაგრძელდა, ჩვეულებრივად კი არა, რაღაც უცნაურად, შიშის მომგვრელად, თითქოს მტკავლიან ფანტელებად თვით ცა ირღვეოდა. მალე თოვლის საფარმა ხუთ მეტრს გადააჭარბა. სოფელი ფეხზე დადგა, ორჯერ-სამჯერ უკვე გადმოთოვლეს სახლები და შრამელები (სამეურნეო ნაგებობანი). ნიჩბების ტრიალმა ხალხი დაქანცა, მიუხედავად ამისა, არავის ჩაუმუხლია, ღებელი ვაჟკაცები სტიქიას ღირსეულად ერკინებოდნენ. ცა კვლავ ირღვეოდა, ნაგებობანი თოვლის ოკეანეში ჩაიძირა. სიტყვა „გადმოთოვლამ" აზრი დაკარგა და განა მარტო სიტყვამ?! დაიწყეს თოვლის „ზევით ათოვლა", რათა დამარხულ საცხოვრებლებში სასუნთქად საკმარისი ჰაერი შემოსულიყო. თოვლში გვირაბებიც გაიჭრა და ადამიანები თითქოს სხვა სამყაროში მოხვდნენ. ზამთარი და თოვლი ღებელებს ვერ შეაშინებდა, თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი, თოვლის სიმაღლემ რვა-ათ მეტრს მიაღწია. კარგა ხანია ელექტროდენი გამოითიშა, ტელეფონი ადრეც არ მუშაობდა და ახლა ჩქამიც არსაიდან ისმოდა. ეგების დროთა კავშირი მოიშალა. ცა კვლავ თოვლად ირღვეოდა. ღებელები მიხვდნენ — უკან დახევა, მოდუნება გარდუვალ დაღუპვას ნიშნავდა, ამიტომ არა-

ვინ დამფრთხალა, ყველა ფეხზე მოსიარულემ ხელთ ნიჩაბი აიღო და ამჯერად სასუნთქი ჰაერის მოსაპოვებლად დაუცხრომელი ბრძოლა ისევ გაგრძელდა. კვლავ კოსმიური სიძლიერით თოვდა...

ნუთუ საშველი არ იქნება?! ნუთუ მთელ სოფელს თეთრ საშინელებაში დახრჩობა ელის?! ბავშვებისათვის მაინც ეშოვათ ჟანგბადის ბალიშები!.. ამაო ოცნებაა, სადმე გაღწევაზე ფიქრი უაზრობაა, არც დანებება შეიძლება. სახლების ირგვლივ როგორმე უთოვლო არე უნდა შექმნან. თოვლს ზიმოთ თუ ვეღარ აიტანენ, საჰაერო ხვრელებს გააკეთებენ. ასევე დაჭირდება ბოსლებსაც, რათა საქონელი არ გაიგუდოს. ბოლოს და ბოლოს, ზამთარი რამდენხანს გაგრძელდება?! თუ მზე კიდევ არსებობს, გაზაფხულზე ძალას მოიკრებს და თოვლი მაინც თოვლია, დადნება. ყველა ოჯახს საზამთრო მარაგი საკმაო აქვს, ტრადიციულად ასეა, გაუძლებენ. მთავარია არ შედრკნენ, სულით არ დაეცნენ...

ერთ დილას ცოტა რომ იჭიატა, სოფელი ჰომერულმა ხარხარმა მოიცვა. ქალებს სარეცხი მაღალი ძაბვის მავთულებზე გადაეფინათ. იუმორის გრძნობა მთიელებს არასდროს აკლდათ და ახლა სულ გაილექსნენ. ეს უკვე გამარჯვება იყო და როცა ვერტმფრენი გამოჩნდა, მფრინავები და ონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. ნოდარიშვილი მამაცი ღებელების ხალისიანი შეხვედრით გაოცებულნი დარჩნენ. არცერთი მსხვერპლი! არცერთი დანგრეული სახლი! პირუტყვიც კი არ დაჰკლებიათ! გმირი არავის უძებნია და არც იყო საჭირო, მთელმა სოფელმა განუმეორებელი გმირობა ჩაიდინა!

...სტიქიასთან ჭიდილი ამით არ დამთავრებულა. ღები გაზაფხულისა და ზაფხულის სასტიკ წყალდიდობასაც გაუმკლავდა. „ძველ სოფელს“, უაღრესად ხელსაყრელი და მოხერხებული მდებარეობის გამო, არაფერი დაჰკლებია. ერთხელ კიდევ დამტკიცდა წინაპართა ნიჭიერების სიდიადე და ალღოს უტყუარობა. საარაკო დიდთოვლობის და წყალდიდობის მიუხედავად, ღები გადარჩა. მაგრამ ახალ დასახლებებს გაუჭირდათ, მეტადრე „ჭალეების უბანს“. ამ ადგილს ოდესღაც „ნაღვარევი“ ერქვა და მოხუცებს მწარედ გაახსენდებათ ეს მრავალმნიშვნელოვანი სახელი. რაც იქ პირველი მოსახლე გაჩნდა (ალბათ ამ საუკუნის დასაწყისში), რიონისაგან მოსვენება არა აქვს. უკვე ვიცით, რომ ზღვიდ მდინარე ნაპირს გადავებული ჭაბს, ბაზას და სახნავ-სათესს უმოწყალოდ ანადგურებს, კარმიდამოებში იჭრება და სახლებს შთანთქმით ემუქრება. შარშანწინ ეს მიდამო „წყალმშენის“ სპეციალისტებს ვაჩვენეთ და სამაგრი სამუშაოების დასაწყებად შუამდგომლობაც აღიძრა, მაგრამ გაშმაგებულმა რიონმა (საშინელ დიდთოვლობას გაუგონარი წყალდიდობა მოჰყვა) ჭიორის

ჭალაზე „წყალმშენის“ წლობით ნაამაგარი გააცამტვერა და, ბუნებრივია, ღებისათვის ვერავინ მოიცალა. გაზაფხულზე ჭალის უბანში ჩამდინარე პატარა რუებიც გადირივნენ და მოსახლეობას საკუთარი ძალით უზარმაზარი თხრილები რომ არ გაეკრა, რამდენიმე სახლი დანგრევას ვერ გადაურჩებოდა. წყალმა კი ჩაიარა, ოღონდ დაძრულ მეწყერს და ღვარცოფებს ველარ გაუმკლავდნენ. მოტყდა, დაღალა ხალხი და საბედისწერო დასკვნამდე მივიდნენ — სხვა გზა არ იყო, მშობლიური ადგილებიდან უნდა გადასახლებულიყვნენ. ოცდახუთმეტმა კომლმა უნდა მიატოვოს წინაპართა კერა, მამაპაპათა საძვალე, თუმცა სად წავიდნენ?! შეიქნა ცხრე მსჯელობა, კამათი და, სამწუხაროდ, მთელი ზაფხული ლაპარაკში გავიდა. ზამთარი ისე მოადგათ კარს, „წინ წყალი და უკან მეწყერი“ ძალაში დარჩა. მართლაც, ყოველ ანდაზას ცხოვრებისეული სიმართლე ასაზრდოებს, ვაი რომ, ამჯერად ძალიან მწარეა ეს ცხოვრებისეული სიმართლე! ღმერთმა იხეიბა და შარშანდელი ყიამეთი აღარ განმეორდა... თუმცა ღებში მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა, გადაუდებელ დამცავ სამუშაოთა ჩატარების გარეშე ერთ წელზე მეტი არ უნდა გასულიყო. ახლა მაინც არ უნდა დავკარგოთ დრო, მასალები და ტექნიკა არ უნდა დავიშუროთ. მართალია, ღებელები უმსხვერპლოდ გადარჩნენ, ოღონდ, როგორც დავრწმუნდით, სვანეთზე ნაკლები საშიშროება იქ არ ყოფილა. ძალების უკიდურესი დაძაბვის, უმძიმესი ფიზიკური და სულიერი დატვირთვის ფასად მოიპოვეს მათ საკუთარი სიცოცხლე, ბუდემოუშლელნი კვლავ ხალისით შესცქერიან მომავალს, მაგრამ ბუდემოშლილებმა რა ქნან?!

ცხადზე ცხადია, ონის რაიონში შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება უფრო გართულდება. თუ 35 კომლი საცხოვრებლად სხვაგან წავა, მეტადრე ისეთი მშრომელი და ერთგული ადამიანები, როგორებიც ღებელები არიან. თითქმის ყველაფერი ადვილად უნდა მოგვარებულიყო. გარნა მდგომარეობა ერთმა გარემოებამ გაართულა: ახალი საცხოვრისის მაძიებლებმა ქალაქ ონში მოითხოვეს დასახლება, ხოლო რაიონის ცენტრს სამოსახლოები აღარ გააჩნია, კიდეც რომ გამოინახოს, არსებული კანონმდებლობის ძალით, თითო მოახალშენე ექვსას მეტრ ნაკვეთზე მეტს ვერ მიიღებს. აქედან გამომდინარე, დოვლათის შემქმნელი 35 კომლი ბაზრის შემყურე უნდა გახდეს. რაიონის ხელმძღვანელობამ ეს არ დაუშვა და აჰა, გაწამაწია გრძელდება...

თითქმის საუკუნეა რაჭაში მძლავრი სოფელი აღარ შექმნილა. 35 კომლი ხომ ერთი სოფელია. სწორედ ამიტომ ონის რაიონის მესვეურებმა ორი საუკეთესო ადგილი შეარჩიეს — სოფელ სევის ჭალები

და სორის სანახები — „სკოდორეები". პირველი რიონის მარცხენა ნაპირას მდებარეობს, ვრცელი გასატეევარია, სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი საკმაოა, განსაკუთრებით სევა — ფარახეთ — შარდომეთ — ჯოისუბნის კომლთა სიმცირეს თუ გავიხსენებთ. არის სასმელი წყალი და გზა, ოღონდ „მარცხენა ადგილია" და ჩრდილიანი, თან ზედ რიონის ნაპირას ცხოვრება არცთუ სასურველია, მითუმეტეს რიონისაგან აყრილი ღებელებისათვის.

სკოდორა „ბაღდავანია", „მზის გული". ხიდიკრის სანახებს უშუალოდ ეკვრის, ზემო და ქვემო რაჭის საზღვარია. ჯერ კიდევ თაკუერის ერისთავებს იქ ჰქონდათ საუკეთესო ზვრები და ხოდაბუნები. ამ ფართო ტაშირს გზატკეცილი შუაზე ჰკვეთს: ძირს ნაყოფიერი ჭალებია, ზეით ტყის პირას, სამოსახლო და სავენახე ადგილები. სკოდორის ბარაქიანი, მადლიანი მიწა დიდი ხანის ახალმოსახლეს ეზრუნველ ხელს მოელის. მზიანი, მყუდრო შემოგარენი ვაზის საუკეთესო ჯიშების გაშენების შესაძლებლობას იძლევა. იქ ლელვი, ბროწეული და ხურმაც იხარებს, მახლობელი ტყეები ზღმარტლითა და ჯონჯოლითაა სავსე. სორის მთის მუხნარები და წიწვნარები უძვირფასეს სამშენებლო მასალას იძლევა. მეავე წყლებით განთქმულ ნეფეფურს უხსოვარი დროიდან ავადმყოფნი იყენებდნენ. ახლა ეს სამოთხისდარი ადგილები უდაბური და მიტოვებულია.

ღებელებიო, თქვენნაირი გამრჯე ადამიანები სჭირდება იქაურობას. ბარი და მთა ისე შეზავებული, შეხმატკბილებული, ცადატყორცნილი მწვერვალების დაშორებას ვერც იგრძნობთ, ხოლო ბარის ყველა სიკეთეს მიიღებთ. ნასვენი, მოსავლიანი ხოდაბუნები დოვლათისა და სიკეთის წყაროდ იქცევა. რაჭის მთავარ შარაზე ოთხივკუთხით მიმოქრიან ავტომანქანები. აქედან ონიც ახლოა და ამბროლაურიც, ურავის სამთამადნო წარმოება ხომ „კარიყურშია". თქვენ თანამედროვეობის ყველა მოსამკელს მოიმკით, თან მარჩენალ მიწასთან სისხლხორცეულ კავშირს არ გაწყვეტთ.

„ხვნაში გარიგება სჯობია მკაში გარიგებასაო" — უთქვამს ხალხს; ღებელებო, აწონ-დაწონეთ, დაუკვირდით. ასეთ მიწაში ხომ ჩვენი წინაპრები „მოსაგებში" ნაშოვნ, დღედაღამ გარჯით, ოფლით მონაგარ ათასებს იხდიდნენ. მიწის სიძვირით ხომ რაჭას მსოფლიოში არცერთი კუთხე არ შეედრებოდა! ახლა ყოველგვარი საფასურის გადაუხდელად, პირიქით, საკმაოდ დიდი დახმარების აღმოჩენით მიიღებთ კოლმეურნის მაქსიმუმ ნორმას და რაჭის შუაგულში აღმოცენდება სოფელი „ახალი ღები", ძლიერი და ფესვმაგარი. დაობლებულ, იავარქმნილ ხოდაბუნებზე სიცოცხლე იბარტყებს და, ღებელებო, იქნებ თქვენით დაიწყოს რაჭის აღორძინება, იქნებ თქვენი პირმშო სოფელი გახდეს დვრიტა განახლებისა, გარდაქმნის მაცნე და მახარობელი.

ღებელებო, წინასწარ დაგილოცავთ ლიბო-საძირკველს. თითოეულ თქვენგანს ვიცნობთ. არა ერთხელ მინახავს თქვენი კუნთმაგარი, ალალი შრომით დაკოჟრილი ხელები და ვიცი, ქალაქელობას ვერ შეეგუებით, ისე როგორც ლომი გალიას. უცხოეთში გადაკარგულ რაქველებს მშობლიური მიწის მარადიული ნატვრა, მამულზე დარდი, ღაბნი (ნოსტალგია) მუდამ სტანჯავდათ. ამიტომ ქვეყნებს მოიელიდნენ და ისევ შინ ბრუნდებოდნენ. საუკუნეთა მანძილზე ასე ყოფილა და ნუთუ მათი გამოცდილება არ უნდა გავიზიაროთ?

ღებელებო, სხვაგან სამოთხის ძებნაში კიდევ არ შემოგვაზამთრდეს, თქვენს ძლიერ, მადლიან მარჯვენას ელის სკოლორის ისტორიული, ხვავრიელი მიწა!

ეს მოწოდება ონის რაიონის გაზეთ „განთიადში" დაიბეჭდა (1987, № 153, 24 დეკემბერი, გვ. 4). როგორც გაირკვა, გულწრფელი რჩევა არავინ გაიზიარა, ღია ჭრილობა კვლავ მოუშუშებელია. ღებელები ისევ ონში ჩასახლებისათვის ირჯებიან. უკმაყოფილონი დარჩნენ სორელებიც — მამაპაპური ადგილ-მამულის დათმობა შენანებიათ. კიდევ კარგი, რომ რაქველთა გულში მიწის სიყვარული არ ჩამქრალა. ეს იმედია და ამან უნდა გადაგვარჩინოს. რაც შეეხება ღების ჭალის უბანს, თუ რიონი დამორჩილებული იქნება, თუ მოსახლეობა გამუდმებულ საფრთხეს თავს დააღწევს, თუ ღების ულევი სიმდიდრე მორენული მოსაპირკეთებელი ქვების დამუშავება და სამთამადნო წარმოება დროულად დაიწყება, საქმიან სახეს მიიღებს ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა, საკუთარ სახლში მუშახელის ზამთარ-ზაფხულს დასაქმდება, გზა-კვალი არ მოეშლება და გარემოს არ მოწყდება, მაშინ არცერთი ოჯახი იქაურობას არ მიატოვებს.

* * *

1987 წლის მძვინვარე ზამთარში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი გაოცებულნი აღნიშნავდნენ, რომ სვანეთში ზვავების ცამანადგურებელ ძალას ჭეოლოდ კოშკებმა ვაუძლეს. რა მიმართებაშია კოშკი და ზვავი?! რამდენიმე წლის წინათ, სწორედ ამ საკითხზე წაიკითხა მოხსენება მ. გეგეშიძემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც განაცხადა ის აზრი, რომ სვანური კოშკის დანიშნულების შეფასებისას სოციალურზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ საკითხს.

სვანეთის რთული რელიეფი მკვიდრთ აიძულებდა მთების კალთების დასალიერზე, მდინარეთა დაბალი კალაპოტის გასწვრივ შეერჩიათ დასასახლებელი ადგილები, სადაც ძალაუნებურად მუდმივი ზვავ-

საბჭოში მდგომარეობა იყო. სვანები მწარე გამოცდილებას უნდა აეძულებინა, რომ მათ ზვავისაგან თავდაცვის საიმედო საშუალებისათვის მიეგნოთ. ერთ-ერთი ასეთია სვანური კოშკი, რომელიც მწვერვალზე არასდროს არ არის აგებული, არამედ, როგორც წესი, ხეობაში დგას, უსათუოდ საგანგებოდ შერჩეულ ადგილას. მისი ფუძე-საძირკველი განსაკუთრებით მაგარია, ხოლო ქვითკირი ისე შედულაბებული, დანგრევა გამორიცხულია. სწორედ ამიტომ კოშკში თავშეფარებულ სახლობას ზვავი ვერაფერს დააკლებდა. საზოგადოებამ მ. გეგეშიძის ეს აღმოჩენა არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი თავის დროზე ოსთა შესახებ აღნიშნავდა: „გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ, და მრავალსა ერთმანეთსა ზედა კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ არღარა ეკვეთის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დარღვევის, არამედ დგას მტკიცედ“ (აღწ. სამეფ. საქ-სა, 1941, გვ. 111).

თავის სიმართლეში დარწმუნებულმა მკვლევარმა, ზემოთ დასახელებულ წიგნში, სვანური კოშკის ფუნქციის საკითხი ცალკე პარაგრაფად შეიტანა: „ბუნებრივი სტიქიები. განსახლებისა და დასახლების ფორმები (სვანური კოშკი)“ (გვ. 70—95). თან დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნა: „საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების პროცესი საქართველოში ჩვენ სამაგალითოდ ბუნებრივი სტიქიების პრობლემასთან დაკავშირებით განვიხილეთ და ვნახეთ, რომ ამ სფეროშიც საქმე გვაქვს ხალხის მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილების ჯამთან. ეს ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე, აგებულია და დამყარებულია ეკოლოგიურ ცოდნასა და კულტურაზე, გამოხატავს სოციალურ ორგანიზებულობას როგორც სტიქიის მიმდინარეობისას, ისე პროფილაქტიკურ პერიოდში. სოციალური ორგანიზებულობა გამორიცხავს პანიკურობას. საქართველოს ისტორიაში ცნობილი არ არის ისეთი შემთხვევები, რომ მოსახლეობას პანიკური შიშით, მასობრივი გაქცევით მიეტოვებინოს საცხოვრებელი. სტიქიური მოვლენები კი საქართველოში მრავალვარი, ხშირი და ძლიერი ხასიათისა იყო“ (გვ. 148).

ჩემი ღრმა რწმენით, სვანური კოშკის ფუნქცია დავიწყებული რომ არ ყოფილიყო, მ. გეგეშიძის მიგნებას დროული, სათანადო პროპაგანდა ჰქონდა, სვანეთში იმდენი ადამიანი აღარ დაიღუპებოდა. ბებერი, მაგრამ ჯანმაგარი კოშკები განწირულთ კვლავ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდნენ. კოშკები ასეთივე მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული რაჭა-ლეჩხუმშიც, სადაც მათი ნაშთები უხვადაა. ვახუშტი ხომ ლეჩხუმის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს: „მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა

არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი“ (ქართ. ცხოვ., 4, გვ. 749). ახლა უკვე ნათელია, რომ მკვიდრი კოშკი და ქვითკირი მოსახლეობას არა მარტო მტრისაგან იცავდა, არამედ ძლიერი სტიქიური მოვლენებისაგანაც. სხვათაშორის, ბოლო დროამდე მთის რაჭაში შემორჩენილ „დუროიან“ — ციხე-სახლში, შერწყმულია საცხოვრებლისა და კოშკის ფუნქციები. მთის რაჭველებს თამამად, პირდაპირი მნიშვნელობით შეეძლოთ ეთქვათ — „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეაო“. ისინი ზვავებისა და დიდთოვლობისაგან განსაკუთრებით საიმედოდ იყენენ დაცულნი. თვით უზარმაზარ თოვლსაც გაუჭირდებოდა დუროიანი სახლის ზედა სართულის დაფარვა. ღებელებს მამაპაპური საცხოვრებლები რომ არ დაენგრიათ, 1987 წლის გაუგონარ ზამთარში სასუნთქი ჰაერისათვის ასეთი ბრძოლა აღარ დასჭირდებოდათ, დუროიანი სახლის ბოლო სართული და სხვენი საიმედო თავშესაფარად ექნებოდათ. „დურო“ — განა მარტო სათოფურია, არამედ ნამქერისა და ქარ-წვიმისაგან საიმედოდ დაცული სარკმელიც, საიდანაც საცხოვრებელში სუფთა ჰაერი და სინათლე ილვრებოდა. რაც შეეხება დუროიანი სახლის გასაკვირველ სიმაღლეს, ერთ-ერთ მიზეზად დიდთოვლიანობა უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, არსებული ლიტერატურა საქართველოს მთიანეთის ციხე-სახლებს ცალმხრივად აშუქებს და მხოლოდ მტრისაგან თავდაცვით ფუნქციას წარმოაჩენს. სრულიად გაუცნობიერებელია ეკოლოგიური მხარე, მეტადრე საცხოვრებელთა უპირველესი დანიშნულება ხომ ტაროსისაგან თავდაცვა იყო.

იმ ავადმოსაგონარ ზამთარს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოშიც მოხდა დიდი უბედურება: ღამით დაძრულმა ნაშალმა ერთი ოჯახი შეიწირა. ეს არ იყო ჩვეულებრივი მეწყერი. მის წარმოქმნაში ბოროტი ხელი ერია. სავარგულთა გაზრდის მიზნით, წლების მანძილზე, ბორცვს თანდათან ძირი გამოუთხარეს; როცა თოვლმა ყოველგვარ ზომას გადააჭარბა, წყალმა თირზე მიწის ფენა ააცურა და სახლი ქვეშ მოიტანა! რაჭაში, სადაც ნაგებობანი დაინგრა, სტიქიას იმდენად არ მიუძღვის ბრალი, რამდენადაც საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებული განსახლების ხალხური სისტემის უგულებელყოფას.

უკვე ვიცით, რომ უმძიმეს მდგომარეობაშია სახნავ-სათესი მიწები და ვენახები. ტრაქტორით ხვნამ და სახვნელ იარაღთა შორის ყველაზე სრულყოფილ რაჭულ სახვნელზე ხელის აღებამ, მოსავლის მომცემი ნიადაგის ფენა გამოუსწორებლად დააზარალა. დაქანებული ფერდობების დამუშავებას ხომ ხალხი განსაკუთრებული სიფრთხილით აწარმოებდა. ითვალისწინებდა რა წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას, საგანგებოდ აშენებდა ტუე-ბუჩნარს, ჯებირებს, ტერასებს,

გაჰყავდა არხები და კვლები. ხეხილის, ვაზის და საერთოდ მრავალწლოვან ნარგავთა ფესვების სისტემას ისე ანვითარებდა, რომ ნიადაგი გაემაგრებინა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მონაცვლეობა, მიწის გეგმაზომიერი დასვენება ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებასთან ერთად, მის დაცვასაც გულისხმობდა.

ძლიერ უჭირთ სათიბ-საძოვრებსაც. მათ სარეველა, ნარ-ეკალი მოსდებია, ქვა-ღორღი, კლდის ნაშალი, გზადაბნეული წყალი და ღვარცოფი მისძალებია. სათიბ-საძოვრების მოვლა-შენახვის კულტურა განსაკუთრებით მაღალი იყო მთის სოფლებში; სანამ თოვლს დადებდა, ნაყარისა და სარეველებისაგან უსათუოდ გაწმენდნენ. „საკუთარი სათიბი, საკუთარი ქოჩორივით უნდა ყოფილიყო დავარცხნილი“, ნიაღვრისაგან არხებითა და წყალსაქცევებით დაზღვეული. მსხვილფეხა საქონლის საბალახეს ცხვარსა და ღორს არ აკარებდნენ. საძოვრის თითოეულ მონაკვეთს სეზონის მიხედვით იყენებდნენ. ხარი და მშრალი პირუტყვი ზაფხულობით მაღალმთიანეთის იალაღებზე მიჰყავდათ. აღარას ვამბობ „მექოხეობაზე“, რომელიც მთის საძოვრების მთლიან ათვისებას უზრუნველყოფდა. ახლა ყოველივე ეს დაირღვა და დაიშალა. ჯერჯერობით მხოლოდ ღები ინარჩუნებს წინაპართა რაციონალურ გამოცდილებას, მაგრამ ზაფხულობით კახეთიდან შემოყვანილმა ცხვრის ფარებმა ზემო რაჭის სათიბ-საძოვრებს მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნეს. ამ საკითხზე ბევრჯერ გვითქვამს და დაგვიწერია, მაგრამ შედეგით ვერ დავიკვეხნით. ონის რაიონს ყოველგვარი ანაზღაურებისა და შეღავათის გარეშე ეღუპება საკუთარი მთების დოვლათი...

ტკივილამდე განვიცდით რაჭის ტყეების უნუგეშო მდგომარეობას. ყველა სოფელს თავისი შინა და გარე ტყეები ჰქონდა. ისინი მოხმარების მიხედვით იყო დაყოფილი: წიწოვანს „შავ ტყეს“ უწოდებდნენ, ძირითადად სამასალედ და ყავრად იყენებდნენ. ფოთლოვანი „თეთრი ტყეების“ მერქნისაგან ასევე სამშენებლო მასალა დანაირგვარი ჭურჭელი მზადდებოდა. შეშად, ძირითადად, ფოთლოვან ჯიშებს ხმარობდნენ და საშეშე ტყეები, როგორც წესი, სოფლის ახლოს იყო განლაგებული. მდინარეთა უკე ნაპირებს — „ჭალებს“ — „ფშანებს“ — „საკაფს“ ანუ „ნამაშვარ“ ტყეს უწოდებდნენ. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ის ძირზე იკაფებოდა, გამოჰქონდათ ჭიგო, ფიჩხი და წნელი. საკაფს უსათუოდ გულდაგულ შემოღობავდნენ, ანიტომ მას „დაცულსაც“ ეძახდნენ. იგი უბერებელი, მარად ახალგაზრდა და ჯანსაღი ნარგაობა იყო. იქ, სადაც მიწას დაცვა სჭირდებოდა, მეტადრე მდინარეების, ღელე-ნაკადულების, არხებისა და რუების სანაპიროზე საგანგებოდ ახარებდნენ „საბელავებს“ — „ნერგებს“. ისინი ნიადაგს ფესვებით ამაგრებდნენ, თან მათ სამ და ხუთ წელი-

წადში ერთხელ გადაკაფავდნენ — გადაბელავდნენ (აქედან — „საბელავი“) და მიიღებდნენ სარს, მარგილს, შეშას...

ტყეებს განსაკუთრებული სიფრთხილით ზავსაშიშ ადგილებში ეპყრობოდნენ. ეს უძველესი, სასიცოცხლო ჩვეულება ჯერ კიდევ კარგადაა შემონახული მთიან აჭარაში. სამაგიეროდ, რაჭაში სავალალო მდგომარეობაა შექმნილი. ანტირელიგიური ბრძოლის საბაბით, არა მარტო ეკლესიები დაანგრიეს, არამედ მათი დამამშვენებელი წმინდა ხეებიც შეიწირეს. განადგურდა სახატო ტყეებიც. სხვათაშორის, ტაძრების აღდგენას აქა-იქ ცდილობენ (ზოგჯერ თვითნებურად და სტიქიურად, ასეთ „ახალ შენობებს“, რა თქმა უნდა, ძველი ნანგრევები ჯობია), მაგრამ ხე — ძეგლების დაცვით და მეტადრე ნერგების დარგვით თავს არავინ იწუხებს. გვინახავს უნიკალურ ურთხველზე როგორაა „ყაზახა ლურსმით“ მიკრული დაფა — წარწერით, სახელმწიფო იცავსო. ზრო გვარ-სახელებითაა აჭრელებული, ხოლო ტოტები ჩამოჩეხილი, რათა მსხვერპლად შეწირული ცხვრები მოხერხებულად ჩამოჰკიდონ და გაატყაონ. ზოგიერთი ფუღუროს ცეცხლს მიუნთებს — აქაო და ალი ქარს მოვარიდოთ, მოსახარში ხორცი ქვაბით მოხერხებულად დავკიდოთო. ზევრ „მავედრებელს“ ასე ესმის ღმერთის სიყვარული, ოღონდ კუჭს ასიამოვნოს და არაფერს ერიდება.

ტყეთა განადგურების „ლომის წილი“ მაინც „ორგანიზებულ ჭრაზე“ მოდის. რაჭის მთებსა და ხეობებში ამჟამად უმძლავრესი ტექნიკა მძვინვარეებს. ადგილობრივი სატყეო მეურნეობა რატომღაც ძვირფასი მერქნით ამარაგებს ამ კუთხის გარეთ მდებარე საწარმოებს. ძველთაგანვე დაცულ ხეობებში საავტომობილო გზა გაჰყავთ, ზემძლავრი ტრაქტორები და საწევრები იქაურობას გლეჯენ და ანადგურებენ. ბრიკონიერებსაც მეტი რა უნდათ, თეჯზსა და ნადირფრინველს ხომ ანადგურებენ (უკვე ავტომანქანებით აღწევენ მიუვალ ადგილებში), უძვირფასესი ხეების მერქანზე ნადირობენ, ფულიან მეშჩანთა შორის დიდ მოწონებაშია ურთხელი, ბზა, წაბლი, კაკალი, მუხა და სხვ. მოთხოვნილება არის, გზებიც გაყვანილია და ქურდს ბნელი ღამეც ალარ სჭირდება, დღისით, მზისით აკვარახჭინებს ბნელ საქმეებს.

1988 წლის 23 სექტემბერს ჭიორის სანახშოზე მეტყევეებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მწვავე შეხლა-შემოხლა მოხდა. სოფლის უკან კანკლეთის მთაა, წიწვოვანი ტევრით შემოსილი, აქედან მოდის წყალმარჩხი ხევი — „ხოლი“, რომელსაც ანაზდეულად იცის მოვარდნა, ხალხმა მეორე სახელად „გადარეულა“ შეარქვა. ხოლის შიშით ჭიორელი გლეხი კანკლეთში წნელსაც არ ჭრის, ახლა მეტყევეებს ხუთასი ძირი ნაძვი „მოუბეჭდავთ“. რატომ? სოფელი

არ დაუშვებს კანკლეთის გაძარცვას. იქ ერთი ძირი ხის მოჭრაც არ შეიძლება, ამაოდ გარჯილან მეტყეეები. ჭიორელთა საგანგებო თხოვნით ვწერ ამ სტრიქონებს.

... საერთოდ, რაჭაში არის კი საექსპლოატაციო ხე-ტყე?! ნუთუ ალარ უნდა თქვან უარი ე. წ. ტყის „ორგანიზებულ ჭრაზე"? რატომ სჭირდება ტყეს ტყისმცველისაგან დაცვა?! ვინ ისქელებს ჯიბეს ბუნებისა და ხალხის სიცოცხლის ფასად?! ნუთუ 1987 წლის ზამთარში სტიქიის გამძვინვარება მრისხანე გაფრთხილება არ იყო?! ადამიანებო, ნუ შეეხებით წმინდათაწმინდას, აქ პატიება არ შეიძლება, სასჯელი განუზომელი იქნება, ყველაფერი დაიღუპება. უდავოა რაჭის ტყეებში მხოლოდ სამკურნალო მიზნით უნდა მოიჭრას გადაბერებული და ავადმყოფი ხეები. მერქანი აუცილებლად ადგილზე უნდა დამუშავდეს, რაჭველები ხომ ოდითგანვე სახელგანთქმული ოსტატები იყვნენ. ახლაც გამოინახებიან მცოდნე და ერთგული მუშაკნი, რომლებიც ხით ხუროობას ააღორძინებენ, მეტადრე დასაქმების ახალ ფორმებს თუ დავნერგავთ. თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტკივა და სახერხი ქარხნების გახსნას, მაინცდამაინც არ უნდა მივეძალოთ. ზოგიერთი არენდას იმარჯვებს და სარფიან შემოსავალს იჩენს. სახერხი ქარხანა სოფლისთვის დიდი სიკეთეა, მაგრამ ის ტყის ქურდებს არ უნდა მოემსახუროს. ძვირფას ნედლეულს — ნახერხს ვერ იყენებენ, მდინარეებს აბინძურებენ და თევზს ანადგურებენ. ტყეს თუ მოვუვლით, წინაპართა წესზე საკაფს და საბელავს თუ გავაშენებთ, მამაპაპურ „დაცულს" აღვადგენთ, მაშინ მადლიერი ბუნება ათმაგად გადაგვიხდის. დღესაც ჯერ კიდევ უამრავია ტყის ხილი და ნობათი, უპირნახულოდ მოწეული „მთისა და ველის ნაწილი", საკვები და სამკურნალო მცენარეები, ნაირნაირი ნაყოფი. ძველი ბერძნების ცხოველხატულმა ფანტაზიამ კოლხეთი ტყუილად როდი განადიდა. რაჭის თითოეული სოფლის შემოგარენი ხომ ახლაც ლეგენდარული მედეას მიროინცხებული ბალია, თუ მოვუვლით და გამოვიყენებთ, სიკეთისა და სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროდ იქცევა.

რაჭის ტყე იმდენ მასალას ყოველთვის მოგვცემს ადგილობრივ მშენებლობას და ოსტატებს რომ ეყოთ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ბუნებრივი გაზი, ტყიბულის იაფი ქვანახშირი და მზის უშრეტი ენერგია მოსახლეობის და წარმოება-დაწესებულებების სამსახურში ჩადგება. ფილიალების სახით, ორივე რაიონში შეიძლება რკინა-ბეტონის კონსტრუქციების საამქროთა მოწყობა, ძვირფასი ინერტული მასალები ხომ ადგილზე პრაქტიკულად ულევია, მხოლოდ ცემენტის შემოზიდვაა საჭირო. ბედის ირონიაა ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან რაჭაში რკინა-ბეტონის ნაწარმს და დახერხილ ქვას რომ ეზიდებიან. ასევე ითქმის ავეჯსა და სხვა ბევრ მოსახმარზე, ხის ნაწარმი იქნება

ეს, ქვისა, თიხისა თუ ქსოვილისა. რამდენი რამ მზადდებოდა რაჭაში: ნაირნაირი ირაღ-ჟურჭელი, კრამიტი, მოსაპირკეთებელი ქვა, ჭის გვიმები, საფლავის ქვები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსამკაული, აბრეშუმის დარაიები, ხატოვანი ქსოვილები, ნაბადი, თექა, ტყავის ნაწარმი, საოჯრომჭედლო ნახელავი და ა. შ. რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ორიგინალური ავეჯი ხომ ძველთაგანვე იყო სახელგანთქმული. ვინ იტყვის უარს საკუთარი ბინა ამ ეროვნული რელიკვიებით მოაწყოს? მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, რაჭაში ერთი სახელოსნოც აღარ არსებობს. სადაც შესაძლებელი იქნება ქართული კოლორიტის მქონე შინ მოსახმარი ნივთის, ანდა სუვენირის შეძენა. ცდები არის, ოღონდ ენიათო და ჩანასახშივე განწირული, ამაოდ ეძებს საქმიანი, მოქმედი ხალხი მხარდაჭერას; ჯერჯერობით მხოლოდ წამგლეჯი, მომხვეჭელი და მაქინატორი ახერხებს ეროვნული სიწმინდეების შებღალვას და ჯიბის გასქელებას.

ძველ საქართველოში, საზოგადოდ, ტყის ხალხური მეურნეობა ფრიად დახვეწილი იყო და საარსებო, საცხოვრებელი გარემოს დაცვა-შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. ამ საშვილიშვილო საქმეში დადებით როლს არულებდა რელიგიაც — თავისი აკრძალვა-ტაბუირებით. ცნება — „არ ვარგია“ ხატის ტყე-კორომების ხელშეუხებლობას განაპირობებდა. ისინი ყოველთვის იქ იყვნენ გაშენებულნი, სადაც მათი გარდუვალი საჭიროება იყო. რელიგიურ საბურველში გახვეული ასეთი რაციონალური მარად აუცილებელი ტრადიცია, სამწუხაროდ, დღეს იკარგება, რის გამოც აუნაზღურებლად ზარალს განვიცდით, ხშირია კატასტროფები და მსხვერპლი.

სოფლების გაჩანაგებამ თითქოს ნადირ-ფრინველი მოაშენა, თუმცა აქაც კანონზომიერება დარღვეულია. ისევე როგორც ადამიანის ყურადღებას და ხელს მოკლებული ტყე, სათიბ-საძოვარი ჯაგნარმა და სარეველებმა დაფარეს, ტყის ბინადარნიც გადაჯიშდნენ. მათთან დამოკიდებულებაში თანდათან ქრება ის რომანტიკა, რაც ნადირობის ხალხურ წესებში ხორცს ისხამდა. ძველი ადათები იკარგება და ბრაკონიერები შეუზღუდავად მოქმედებენ. არცთუ იშვიათად ბუნების სიყვარულს მუცელმერთობა სჯობნის, ვინც ბრაკონიერებს უნდა ებრძოდეს, ხშირად ის სცოდავს, ამ მხრივაც ბევრია საფიქრალი. და სადარდებელი.

გეთანხმებით ბატონო, გზა და კვალი აუცილებელია, რაჭას ცივილიზაციის თანამედროვე მიღწევები და სიკეთე ჰაერივით სჭირდება, რათა იქ მოსახლეობა შევინარჩუნოთ, ოღონდ ისიც არ უნდა დავივიწყდეს, რომ ადგილობრივ ბუნებას არანაკლებ ამშვენებს კალმახი, ჯიხვი, არჩვი, შურთხი და ყველა სიკეთე, რომელთა გადარჩენა დღე-

ვანდელობის ურთულესი ამოცანაა. ღებელმა მთიბავებმა გივი ბოხა-შვილმა, აპბროსი და ჯუმბერ გოგრიჭიანებმა მიამბეს: „ცხვრის ფარებმა ჯიხვები და არჩვები ძალიან შეაეიწროვეს. არც ჩვენ ვაკლებთ ხელს, სადაც მივწვდებით, ბალახს დაუთიბავს არ ვტოვებთ. ხეობაში ე მილეთის ხალხი მიდი-მოდის, არის ერთი ღრიანცელი. რა ქნას მთის ბინადარმა? საბოლოო ჯიხვები ქარაფის ბოსლებიდან ვეღარ გამოდიან“.

რა გაგიკვირდათ? ჯიხვებს ქარაფში თავიანთი ბოსლები აქვთ. ქარაფი მზიურ ედენას ებმის. უკან შავი კლდეა, მერე ფასის მთა. ქარაფის ბუნებრივი გამოქვაბულები ჯიხვების საიმედო თავშესაფრებია, ადამიანისაგან მიუდგომელი და მიუღწეველი. „კლდის ჯადოქრები“ იქ იზამთრებენ, შვილებს შობენ, სანამ ფოთრი ბოიკად არ წამოიზრდება, იქვე ჰყავთ. უწინ ჯიხვებზე გვიან შემოდგომით ნადირობდნენ, სხვა დროს ამ უწყინარი ნადირის მოკვლას ღმერთი და ადათი კრძალავდა, ახლანდელ მონადირეებს კი არც ერთი სწამთ და არც მეორე. ნადირობას თავისი წესრიგი ჰქონდა: ქარაფს მონადირეები კეტავდნენ—„საჯდომსა“ და „წვერში“ ჩასაფრდებოდნენ, მათ შუა „საწყვეტია“; იქ ხოცავდნენ საბრალო ჯიხვებს, ამიტომ იმ ცოდვიან ადგილს „საწყვეტი“ ჰქვია. მომწყვდეულ ჯიხვებს გადარჩენის ერთადერთი გზა ჰქონდათ — ბოსლებში შეღწევა და დამალვა. ახლაც იმ დალოცვილი ბოსლების იმედით არიან, მაგრამ იქ როდემდე გასძლებენ? ირგვლივ საძოვარი აღარ გააჩნიათ, სადღა აღარ აღწევს ი წყეული ცხვარი, წყალზედაც უჭირთ გამოჩენა. მთებს ადამიანები კი სჭირდებათ, თუმცა სიმყუდროვე არ უნდა დაერღვათ. ბინადართაგან გაძარცულ ქედებს სამაროვანის უსიცოცხლობა და სიცივე დაეუფლება, მაშასადამე, ნადირ-ფრინველზე ისევე უნდა ვიზრუნოთ, ვითარცა მოყვასზე. უწინ რასაც ღმერთის შიშით აკეთებდნენ, დღეს შეგნებით უნდა შეეასრულოთ.

ქართველი ხალხის ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილება ისევე მდიდარია, როგორც საქართველოს ბუნება და ისტორია. ამ თვალსაზრისით წარმოებულ კვლევა-ძიებას შემეცნებითთან ერთად, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. საარსებო გარემოსთან მრავალათასწლოვანი ურთიერთობა, რაც მრავალგზის ცდას, დაკვირვებას ეყრდნობა და საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ჭეშმარიტებად ჩამოყალიბდა, ის მონაპოვარია, რომელსაც ყველი არასდროს არ გაუვა. სტიქიის დამორჩილების თანამედროვე მეთოდებთან ერთად, ხალხის ნაღვაწს უსათუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, მეტადრე მისი დანერგვა-გამოყენება საგანგებო ხარჯებს არ მოითხოვს და მხოლოდ მცხოვრებთა გულმოდგინე გარჯაზეა დამოკიდებული.

მხოლოდ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ძალუძს გადაარჩინოს ბუნების დაცვის, საცხოვრებელი გარემოს ის წეს-ჩვეულებანი, რომლის მეოხებითაც არსებობდა ქართველი ერი დასაბამიდან დღემდე.

სანამ კიდევ ჩვენ ყოფას ეთნოგრაფიული სურნელი ასდის, სანამ კიდევ ჩვენს სოფელს მამაპაპური ტრადიციები არსებობის ნორმად გაუხდია, ვიჩქაროთ, წინასწარ შედგენილი პროგრამა-კითხვარებით შევკრიბოთ ჯერ კიდევ გადარჩენილი ეთნოგრაფიული მასალა, რათა კაცობრიობას შევუნარჩუნოთ უძველესი და ორიგინალური კულტურის მქონე ქართველი ხალხის ცხოვრებისეული სიბრძნე და სინამდვილე.

* * *

აღსრულდა. ამბროლაურის რაიონმა 1988 წლის 1 ოქტომბერს დააარსა და იზეიმა სახალხო დღესასწაული — „ფუძეობა". გაზეთი „კომუნისტი" იუწყებოდა: „ფუძეობა ხიდიკრის ისტორიულ ხიდთან დაიწყო. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები დიდი ინტერესით აკვირდებიან ყველაფერს, ხარობენ რაჭა-ლეჩხუმის შესანიშნავი, მოასფალტებული საავტომობილო გზით, კოპწია სოფლებით, წარმტაცი ბუნებით. ბოლო ხანს დიდი ცვლილებები მოხდა რაიონში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს დადგენილება, ამბროლაურის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე" (კომუნისტი, 1988, № 229, 4 ოქტომბერი, გვ. 3.).

ნუ დავძრახავთ კორესპონდენტს. ზეიმის აღწერას ამაღლებული სტილი სჭირდება, თუმცა მწარე სიმართლე ამ სალაღობო პატარა წერილშიც თავს არ მალავს: „ყველა იმ აზრისაა, რომ სწორედ ფუძის გამაგრება სჭირდება ლამის დაცარიელებულ ამ შესანიშნავ კუთხეს, უნდა გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ რაჭის ულამაზესი სოფლები".

ხიდიკარიდან მოზეიმეებმა რაჭის ერისთავთა საძვალესთან, ბარაკონის ეკლესიის ეზოში გადაინაცვლეს. მინდაციხის მაღალი ქონგურების ქვეშ თეატრალიზებული წარმოდგენა გაიმართა. აირჩიეს „ფუძის ანგელოზი" და რაიონის საპატიო მოქალაქენი. გაიმართა მიტინგი და ადგილობრივმა თუ თბილისიდან ჩამოსულმა ორატორებმა მჭევრმეტყველებაში ერთხელ კიდევ ისახელეს თავი. რა თქმა უნდა, არავინ თქვა, მინდაციხე, რომელიც „შესანიშნავი, მოასფალტებული საავტომობილო გზიდან" მრისხანედ და მძლეთა-მძლედ გამოიყურება, სადაცაა ჩამოიქცევა და ნეტა მის ქვეშ მდებარე „მოჯალაბეების უბანს" არ დააზიანებდეს. უჭირს ბარაკონის ეკლესიასაც, შესასვ-

ლელში წარწერიანი ქვა ჩამოვარდნაზეა, ხოლო ეზო ეკალ-ბარდს — „სუდეს“ დაუფარავს, ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, სახალხო დღესასწაული ამბროლაურის რაიონმაც გაინალდა. ნუ ვიქნებით უმადურნი, ამისათვის ვეებერთელა შრომა გასწია ადგილობრივმა აქტივმა. რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის დროშაში“ დღესასწაულის აუცილებლობაზე მშრომელთა წერილები ხშირად იბეჭდებოდა. განსაკუთრებით საკამათო გახდა სახელწოდების საკითხი, ზოგიერთს „კერიაობა“ მოსწონდა, ბოლოს „ფუძეობის“ მომხრეებმა გაიმარჯვეს, მეტადრე „ფუძეობა“ ონის რაიონის სოფელ სორში ადრე ტარდებოდა...

დღესასწაულის მიზანმიმართულება კარგად გამოხატა გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“: „ბარაკონის ეკლესიის მახლობლად მოწყობილი თეატრალიზებული წარმოდგენით დაიწყო აქ პირველი სახალხო დღესასწაული „ფუძეობა“. მან სათავე დაუდო ახალ ტრადიციას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ოდესღაც მიტოვებული სოფლების აღორძინებას, მიგრაციის შემცირებას და მშობლიურ კერაზე ადამიანების დაბრუნებას“ (1988, № 230, 5 ოქტომბერი, გვ. 4). და, აი, შედეგიც: „კომუნიზმის დროშა“ ზეიმისადმი მიძღვნილ საგანგებო ნომერში გვაუწყებს, რომ რაიონში მუდმივ საცხოვრებლად 110 კაცი ჩამოვიდაო. სასიამოვნო ფაქტის დასადასტურებლად სამ მათგანზე შემდეგი მონაცემებია დაბეჭდილი: „ზაზა ქოქოსაძე ახალგაზრდაა. მან საქმით დაამტკიცა, რომ ერთგულია მამაპაპური კერიისა. ზაზამ მშობლები ბიჭვინთაში დატოვა და ბებიასთან მოვიდა ქედისუბანში. მას ბებიის სითბო და ლოცვა ამხნევებს.

როსტომ ფოფხაძეს თბილისში, რომ იტყვიან, საათივით ჰქონდა აწყობილი საქმე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მიწის ყივილმა უკან დააბრუნა. ოჯახით ხონჭიორში გადმოსახლდა. პირველად გაუჭირდა კიდეც, უკან გამობრუნებაც გაიფიქრა, მაგრამ იმ მიწის სიყვარულმა დასძლია, რომელზეც ფეხი აიდგა. იგი სოფლის ფერხულშია ჩაფლული და კუთხე-მეზობლის იმედად ცხოვრობს.

ჯანო ჯანელიძეს არ შეშინებია სადმელში მარტო ცხოვრებისა. პირიქით, ჩემი ჯიშის სუნთქვა შემომესმაო, როცა მიტოვებული სახლის კარი შეეაღე და იმან მომიმატა ძალა.

ჯანო ამბროლაურის მექანიზებული სატყეო მეურნეობის მეტყევე ინჟინერია. დედა და ახლობლები თბილისში ცხოვრობენ. მათთან ქალაქში გადასვლაზე ვერაფერს ეტყვი. უბრალოდ ამის საბაბს არც გვაძლევს, ერთხელ არ წამოსცდება — წავალო.

ყველა დაბრუნებულის ნახვა დღეისათვის ვერ მოვასწარით, არადა ყველას გვინდა დიდი მადლობა მოვახსენოთ და ვუთხრათ: უფრო დიდ საქმეს ისინი ვერაფერს გააკეთებდნენ, რომ საერისკაცოდ ჩავთ-

ვალოთ " (სტილი დაცულია, კომუნიზმის დროშა, 1988, № 118, 7 ოქტომბერი, გვ. 3). მკითხველო, ამონაწერის შეფასება თქვენთვის მოგვინდვია, ხოლო ამჯერად ერთი რამ მაწუხებს: მობრუნებული 110 კაციდან ნუთუ ერთი არ არის ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში? ყანა-ვენახს, სათიბ-საძოვარს შემწედ და პატრონად თუ ვინმე მოევლინა, თორემ რად გვინდა მენავთეობის, მეთხეველობის, მებოცვრეობის, მეწვენეობის და ათასნაირი მაქინატორობის ჩამდენი „მობრუნებულნი". რაც უფრო მეტნი იქნებიან ისინი, მით უარესი, რაჭას დამწვარ სახლზე ხელისმომთბობნი არ ეპირველა. პატიოსანი. უანგარო, ერთგულად გამრჯელი ადამიანები მოსწყურებია. ეპვი არ მეპარება, ასეთები არიან ზაზა ქოქოსაძე, როსტომ ფოფხაძე, ჯანო ჯანელიძე და სხვები. კორესპონდენტს ნეტა „მოესწრო" და ის „სხვებიც" გამოევლინებინა. მითუმეტეს, დღესასწაულისათვის სამზადისი საკმაო ხანს გრძელდებოდა.

ნუ, ნუ შევაფერადებთ არსებულ ვითარებას. გარედან მოსულებს ვინ ჩივის, საკუთარ ახალგაზრდებსაც ვერ ვასაქმებთ. „კომუნიზმის დროშამ" ეკა გამყრელიძის ფრიად საგულისხმო და დამაფიქრებელი სტატია გამოაქვეყნა (1988, № 143, 29 ნოემბერი, გვ. 4): 1987—88 სასწავლო წელს, აბროლაურის რაიონში საშუალო სკოლა 173-მა ახალგაზრამ დაამთავრა. ამათგან უმრავლესობა განთესილია. ამ გარემოებას ჯერ კიდევ 60-იან წლებში დავაკვირდით. დავინტერესდით აგრეთვე ჯარიდან დაბრუნებულების ბედით. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მათგანი სამუშაოდ რაიონის გარეთ წავიდა. ძირითადი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო შრომის უაღრესად დაბალი ანაზღაურებაა. სამწუხაროდ, ეს ახლაც ასეა და ცხრილით წყალი ვის გაუჩერებია. სანამ ახალგაზრდობა საკუთარ სოფელში პატიოსანი შრომით თავს და ოჯახს ვერ შეინახავს, ქვეყანა დიდია, საარსებო საშუალებას სხვაგან გამონახავს. ეს ცხოვრებისეული კანონია და აქ პროპაგანდა, სახალხო დღესასწაული ვერაფერს შეცვლის.

ახლა საკუთრივ დღესასწაულზე. არის თუ არა იგი საჭირო? რამდენადაც სათანადო ლიტერატურას ვიცნობ, რესპუბლიკაში მხოლოდ ამბროლაურის რაიონი იყო დარჩენილი, რომელსაც სახალხო დღესასწაული არ გააჩნდა, აქედან გამომდინარე დასკვნა ერთია: რაც სხვას აქვს, შენც არ უნდა დაიკლო. თუმცა ამბროლაური ამ მხრივ ჩამორჩენილი არასდროს ყოფილა. 1979 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის ბიუროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორად არჩეულ იქნა გამოჩენილი მეცნიერი, რაჭის მკვიდრი აკადემიკოსი ნ. ლანდია.

უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოში შევიდნენ ქართული მეცნიერების, კულტურის და მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწენი: აკადემიკოსები რაფიელ აგლაძე, რაფიელ დვალი, ვახტანგ მახალდიანი; მწერლები: აკაკი გეწაძე, ბურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ბურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჭელიძე და რევაზ ჯაფარიძე; მხატვრები: კობა გურული, ნიკოლოზ მეტონიძე, უჩა ჯაფარიძე; კომპოზიტორები: რევაზ გაბიჩვაძე, დავით თორაძე და სხვები.

უნივერსიტეტში მოქმედების ფართო პროგრამა დაისახა: რაჭის რეგიონის აღორძინებისათვის დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო კომპლექსური ხასიათის ღონისძიებანი, დანერგილიყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, განხორციელებულიყო კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, ბუნების მეცნიერებათა უახლესი მიღწევების გამოყენებით გადაწყვეტილიყო ეკოლოგიური პრობლემები და ა. შ. უნივერსიტეტის მეცადინეობებზე ლექციებს გამოჩენილი მეცნიერები და პასუხისმგებელი პირები კითხულობდნენ. პრაქტიკაში დაინერგა საქმიანი შეხვედრები — „აკადემიკოსი მშობლიურ სოფელში", „მწერალი მშობლიურ სოფელში" და ა. შ. კომპენტენტური, დამსახურებული პიროვნება მშობლიური სოფლის სატკივარს ადგილზე ეცნობოდა და მის მოგვარებას თანამოძმეებთან ერთად ცდილობდა.

ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტმა რესპუბლიკის მასშტაბით მოიხვეჭა სახელი. ზედა შავრის მცხოვრებთათვის დღესაც დაუვიწყარია ამ სოფლის სახელოვან შვილთან აკადემიკოს რაფიელ დვალთან შეხვედრა. აი, რას წერს „კომუნიზმის დროშა" — წერილში — „აკადემიკოსი მშობლიურ სოფელში": „ტრადიცია დაირღვა. შეხვედრა შედგა არა საზეიმოდ მორთულ კლუბში, არამედ იქ, იმ ეზოში, მამა-პაპურ სახლში, რომელიც აკადემიკოსმა თანასოფლელებს საჩუქრად ბიბლიოთეკისათვის გადასცა და ყოველწლიურად თავის ნაშრომებსაც რომ უძღვნის... საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რაფიელ დვალი მეორე დღეს ეწვია პარტიის რაიონულ კომიტეტს, რაისაბჭოს აღმასკომს. რაიკომის ბიუროს წევრებთან შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს დგას მთიანი რეგიონის წინაშე, იმაზე, რომ დაჩქარდეს სამთო მექანიზაციის დანერგვა. ითქვა ისიც, რომ არსებული სამთო მექანიზაციაც არაა სანახევროდ გამოყენებული. ყველაფერი ეს კი გადაუდებელი საკითხებია, მოითხოვს სწრაფ გადაწყვეტას. ასეთი საქმიანი შეხვედრები შედეგის მომცემია და უნდა გახდეს ტრადიციული" (1981, № 95, 11 აგვისტო, გვ. 1—2).

ასეთივე შეხვედრა სოფელ ჩორჯოში მოუწყვეს აკადემიკოს ვახტანგ მახალდიანს. რაჭის სოფელზე ზრუნვამ კონკრეტული ხასიათი მიიღო. ღირსეული შვილები იმ კერის გაღვიძებისათვის ყველა შესაძლებელს აკეთებდნენ, რომლის სითბო ფართო ასპარეზზედაც სწვდებოდათ.

ნიკორწმინდის ტაძარზე ზრუნვას ნათლად ასახავს ქვემოთ მოტანილი დოკუმენტი, რომელიც ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს იზოლდა დარახველიძეს გაეგზავნა: 1982 წლის 26 ივლისს შედგა ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი ირ. ციცაშვილი, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების და კულტების სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში გ. მაისურაძე, ამბროლაურის რაიონის წარმომადგენლები საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ვ. ქურდიანის ხელმძღვანელობით.

სხდომაზე განხილულ იქნა ნიკორწმინდის ტაძრის მდგომარეობის საკითხი. ექსპერტ-სპეციალისტთა დასკვნით ტაძარი დაცვის თვალსაზრისით საგანგაშო ვითარებაშია და ამჯერად მისი რაიმე სახით ექსპლუატაცია გამორიცხულია. დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს მაშველი სამუშაოები და დაიწყოს კაპიტალური რემონტი-რესტავრაცია. ამასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს შემდეგი სამუშაო:

1. საჭიროა ქიმიკატებით დამუშავდეს ტაძრის მთელი გარეთა ზედაპირი, ზედ ამოსული წყალმცენარეებისა და ლიქენების მოსასპობად.

2. ტაძარი ჩაფლულია შემდეგი დროის დანალექ მიწაში, დაახლოებით 40 სმ სიმაღლეზე. აუცილებელია ტაძრის გარშემო ნიადაგის აღება-დადაბლება და ირგვლივ წყლისაგან დამცავი ქვაფენილის მოწყობა.

3. ვინაიდან ტაძარს ამჟამად ძლიერ პატარა ეზო დარჩა, ის უნდა გაფართოვდეს ყოფილი საშუალო სკოლის ეზოს ნაწილის შემოერთებით, რისთვისაც არსებული გალავანი უნდა დაიშალოს და დასავლეთით იქნას გადატანილი.

4. სამრეკლო მოსაწესრიგებელია. შესაკეთებელ-შესაღებავია მისი სახურავი. მოსახსნელია ხის ჩაშენებული კედლები და კარ-სარკმელები. გარდა ამისა, ძეგლის ინტერიერში მნიშვნელოვანი საქმეა გასაკეთებელი, იქ დაზიანებულია კედლების შელესილობა და ფრესკული მხატვრობა.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტაძრის ინტერიერი დამახინჯებულია პრიმიტიულად გაკეთებული „კანკელით“ და ძეგლისათვის შეუფერებელი სხვა საგნებით. შეუწყნარებელი დაუდევრობითაა გაყვანილი ელექტროშუქი, რამაც ფრესკების დაზიანება გამოიწვია.

ტაძრის დაცვა-გადარჩენისათვის ზოგიერთი რამ გაკეთდა (გარეთა კედლების წაწმენდა, ელექტროშუქის გაყვანით დაზიანების აღმოფხვრა, კარების შეცვლა და ა. შ.), მაგრამ პრობლემათა ნაწილი გადაუწყვეტელი დარჩა, სახელდობრ, გრძელდება წინააღმდეგობა კულტის მსახურებსა და ძეგლთა დაცვის წარმომადგენელთა შორის. „განხეთქილების ეაშლადაა“ ქცეული ტაძრის გამოყენების საკითხი. ნიკორწმინდის ეკლესია მოქმედია და ტაძრის კარი ყველა მსურველთათვის ღიაა, ძეგლთა დაცვის რწმუნებული კი ძეგლის მნახველებზე ბილეთებს ყიდის. ამის გამო ხშირად კონფლიქტური სიტუაციები იქმნება, რაც წლობით გრძელდება. ჩემი აზრით, ქართველი ხალხის სათაყვანებული ძეგლის წინაშე ორივე მხარე სცოდავს, ტაძარი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ფართო მასშტაბით გამოყენება გამორიცხულია. ის რელიგიური ნივთების სავაჭროდ არ უნდა იყოს გადაქცეული და ვერც ყოველდღიურ კულტმსახურებას აიტანს. მეტადრე ფრესკებს სანთლების ალი აზიანებს, რახანია ისინი წმინდა თაოლის სანთლით აღარ მზადდება. ზოგიერთ მლოცველს — „შეთქმის“ თანახმად მსხვერპლი (ცხვარი, მოზვერი) ტაძარში შეჰყავს და ა. შ. ვერც მნახველები იქცევიან ძეგლის საკადრისად. მრავალრიცხოვან ჯგუფებად შედიან, პაპიროსს აბოლებენ, ხმაურობენ. ერთი სიტყვით, ნიკორწმინდის ტაძარს ასეთნაირად გამოყენება არც ეკადრება და არცაა დასაშვები. ყოველდღიური კულტმსახურება გვერდით მიშენებულ ეკვდერში შეიძლება განხორციელდეს, იქვე დასაშვებია გაიყიდოს რელიგიური ნივთები, ხოლო ტაძარი სასურველია, ძირითადად, დიდ დღესასწაულებზე გაიღოს, იმის შემდეგ, რაც მისი ინტერიერი ამისათვის ყოველმხრივ მოწესრიგდება. ასევე უნდა მოხდეს ექსკურსიებისათვისაც, მკაცრად უნდა იყოს დადგენილი დამთვალიერებლების რაოდენობა, აეკრძალოთ თამბაქოს მოწევა, ხმაური, კედლებზე ხელით შეხება, მითუმეტეს წარწერების გაკეთება და სხვა მისთანანი. მორწმუნეებმაც და არამორწმუნეებმაც ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ: ჩვენს თაობას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რათა ნიკორწმინდის ტაძარი შთამომავლობას დაუზიანებლად, შეუბღალავად გადასცეს. ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარა საქართველოს ეკლესიის მესვეურებთან და პირადად

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან. დაიწყო ერთობლივი თანამშრომლობა ჭელიშის მონასტრის აღსადგენად, რადგან მოქმედი ეკლესიების გახსნაზე უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამონასტრო ცხოვრების განახლება — ორი უმთავრესი გარემოების გამო: ადამიანთა სითბო მაღალმთიანეთის მიტოვებულ ძეგლებს გააცოცხლებს და „ღმერთის სამსახური“ იოლი შემოსავლის წყაროდ აღარ გადაიქცევა. დაე, ვინც ჭეშმარიტი მორწმუნე და კულტის ერთგული მსახურია, გარკვეული წლების მანძილზე მონასტრებში იღვაწოს, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ, სარჩო-საზრდელს საკუთარი ხელით, ოფლის ღვრით მოიპოვებდნენ. ეროვნული კულტურისა და ხელოვნების წინსვლას თავს სწირავდნენ. სამწუხაროდ, ზოგიერთი „მორწმუნე“ პირჯვრის გადაწერას ისწავლის თუ არა, მღვდლად ეკურთხება და მოქმედ ეკლესიაში „ტკბილ ცხოვრებას“ ეწევა. ქართველ ხალხს ასეთი „მოძღვარი“ არ ეჭირვება, კულტის მსახურს უმწიკლო ბიოგრაფია და სუფთა ხელები უნდა ჰქონდეს. იგი ყოველგვარ ცდუნებაზე უნდა ამაღლდეს, მონასტერში განიწმინდოს და მრეველს სულიერ შამად ამის შემდეგ მოეკალინოს. იოლი კარიერა არა მარტო სახელმწიფო მოხელეებს ღუპავთ, არამედ რელიგიის მსახურებსაც. მითუმეტეს, ანაფორაში გადაცმული მომხვეჭელი ერის წინაშეც სცოდავს და ღმერთის წინაშეც. საბოლოო ჯამში კი მოტყუებული და დაზარალებული ქართველი ხალხი რჩება.

* * *

ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტმა ფართო მასშტაბის მუშაობა წამოიწყო რაჭაში სამუზეუმო ქსელის გაფართოებისათვის, რამეთუ ადგილობრივი, გასაოცრად მდიდარი ბუნებისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვა-გამოყენება კარგად ორგანიზებული და მოწყობილი მუზეუმების გარეშე წარმოუდგენელია.

1979 წლის 5 მაისს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა ექიმ მ. ჯანელიძის შემდეგი შინაარსის წერილი: ამჯ წინათ, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანთა ჯგუფმა — აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, ს. დურმიშიძემ, მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, მოქანდაკემ მ. ბერძენიშვილმა, პოეტმა ი. ნონეშვილმა, პროფესორმა მ. შენგელიამ და სხვებმა წერილი გაუგზავნეს ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მაშინდელ თავმჯდომარეს ა. ვაჩაძეს და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ვ. კობახიძეს. წერილში გამოთქმული იყო სურვილი, რათა ნიკორწმინდაში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი შექმნილიყო. საქმე ის არის, რომ ნიკორწმინდა

ისეთ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლითაც ქართველი ხალხი ამაყობს. მას ამშვენებს ტაძარი — არქიტექტურული შედევრი, რომელსაც დიდმა გალაკტიონმა მსოფლიო პოეზიის თვალმარგალიტად აღიარებული ლექსი მიუძღვნა. სოფელმა ნიკორწმინდამ მისცა სამშობლოს ბევრი გამოჩენილი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილი გეოლოგი ალექსანდრე ჯანელიძე.

განუწყვეტლივ მოდიან სოფელში ექსკურსანტები საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთიდან. მათ აინტერესებთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ესოდენ ცნობილ კუთხესთან; ეძებენ პასუხს იმაზე, თუ რამ განაპიროობა ხელოვნების ამ დიდებული ნიმუშის შექმნა. სწორედ მუზეუმი გასცემს პასუხს ამ კითხვაზე.

გადის წლები, ცხოვრებიდან მიდიან უფროსი თაობის წარმომადგენლები, ბევრი რამ იკარგება, დავიწყებას ეძლევა. სანამ გვიან არ არის, ნიკორწმინდის ტაძართან უნდა შეიქმნას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

წერილმა ამბროლაურის რაიონის მშრომელების მოწონება და დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ საშვილიშვილო საქმის პრაქტიკულად განხორციელება ითავა ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტმა. მომზადდა და გაზეთ „კომუნიზმის დროშასა“ (1980, № 78, 1 ივლისი, გვ. 3—4, № 79, 3 ივლისი, გვ. 4) და „სოფლის ცხოვრებაში“ (1980, № 163, 15 ივლისი, გვ. 3) გამოქვეყნდა მუზეუმის დაარსებისა და საქმიანობის მთელი პროგრამა. ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელობამ მუზეუმისათვის გამოჰყო ტაძრის გვერდით მდებარე ყოფილი საშუალო სკოლის ორსართულიანი, კაპიტალური შენობა ეზოთი და კარ-მიდამოთი. მუზეუმის საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა ემუშავა სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, რექტორატის და რაიონის პარტიული, საბჭოთა და კულტურის ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით. დებულების თანახმად, „ადმინისტრაცია ინახავს მუზეუმის შენობას (გათბობა, უანათება, დასუფთავება, დაცვა, რემონტი); ამასთან ერთად, იძენს მუზეუმისათვის საჭირო მოწყობილობას“ (დებულება საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მუზეუმების შესახებ, თბ., 1979, გვ. 10).

სახალხო უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო პროცესს ითვალისწინებს, მაგრამ ეს პროცესი ისე უნდა წარიმართოს და დაიგეგმოს, რომ ძირითადად მუზეუმის ფონდების ჩამოყალიბებაგამდიდრებას და საბოლოო ჯამში ექსპოზიციის მოწყობას ემსახურებოდეს. ამის მისაღწევად სახალხო უნივერსიტეტის კომპლექსურობა კარგ საფუძველს იძლეოდა.

მეცნიერების ყველა დარგს თავისი ისტორია აქვს, შეპირებული საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებით. ამ შემთხვევაში დრო და სივრცე ლოკალურია და რაჭის რეგიონით განისაზღვრება. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს რაჭასთან დაკავშირებული ყველა ისტორიული მოვლენა და ფაქტი, რომელიც ახლადშექმნილ მუზეუმში უნდა ასახულიყო. იქ ცენტრალურ ადგილს დაიკავებდა ნიკორწმინდის ტაძრის ისტორია. ფართოდ გაშუქდებოდა ის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რამაც სწორედ ნიკორწმინდის მიწაზე ხუროთმოძღვრების ამ სასწაულის წარმოშობა განაპირობა. რა თქმა უნდა, იქვე აისახებოდა იმ ადგილობრივ ძეგლთა თანავარსკვლავედი (ზემო კრიხი, პატარა ონი. ჭელიში, ლაბეჭინა, ქვედა ჟოშხა, ბუგეული, მრავალძალი, ბარაკონი, სორი, ჯოისუბანი, სხიერი, გლოლა, ღები და სხვა), რომლებიც ნიკორწმინდას მხარს უმშვენებენ. ნიკორწმინდის ტაძართან ერთად, ამ ძეგლთა მოვლა და დაცვა მუზეუმს თავის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად უნდა ექცია. ბუნებრივია, აქ იგულისხმებოდა სათანადო სპეციალისტებთან შემოქმედებითი კავშირი და ენთუზიასტთა დარაზმვა.

მუზეუმის ფონდების გამდიდრების მიზნით უნდა მოწყობილიყო გამოყენებითი ხელოვნებისა და შინახელოსნობის დღესაც მომუშავე ოსტატთა კონკურსები. მათი ნახელავი შარაგული (წნული ჭურჭელი), ავეჯი, ხალხური ტრანსპორტი, სახნავი, სამკალი, სალეწი მოსახმარი; ხის, ქვის, თიხის და ლითონის დამუშავების ნიმუშები, სასმისები, სამკაულები, იარაღ-ჭურჭელი; სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილები, ნაქარგობანი და სხვა მისთანანი საპატიო ადგილს დაიჭერენ მუზეუმის ექსპოზიციაში.

რაჭაში ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა გამოავლინა ბუნების მრავალი ძეგლი, რომელთა აღრიცხვა, შესწავლა, დაცვა შემდგომ თითქმის არავის უწარმოებია. არა და ესაკეთებელი უამრავია.

დროულად მოსაგვარებელია ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შეთანაწყობა ბუნების დაცვის პრობლემებთან. რაჭა, უპირველესად, საკურორტო რეგიონია (მომხიბლავი ბუნება, წიწვოვანი და ფოთლოვანი ძვირფასი მცენარეები, გამაჯანსაღებელი ჰავა, ნაირნაირი მინერალური წყლები და ა. შ.), სადაც აუცილებლად გადარჩენილ უნდა იქნას ბუნების პირველქმნილება და უბიწება. გარემოს ხელთუქმნელობის შენარჩუნება არ გამორიცხავს თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე მის გამოყენებას, მაგრამ ამ სათუთ საქმეში მეცნიერული აზრის შუქია საჭირო, დამყარებული ასჯერ გაზომვის და ერთხელ გადაჭრას მამაპაპურ გამოცდილებაზე. სწორედ ეს შუქი უნდა შეეტანა რაჭის ყოფაში ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტს და მუზეუმს.

მუზეუმში სათანადოდ უნდა ასახულიყო რაჭის რევოლუციური წარსული, სოციალისტური წყობილების დამკვიდრება, საკოლმეურნეო მშენებლობა. ამ თვალსაზრისით თითოეულ სოფელს თავისი საინტერესო ისტორია აქვს და ჯერ კიდევ ცოცხალ მემატიანეებად გვევლინებიან ხანდაზმული ადამიანები. დღეს კიდევ შეიძლება რევოლუციური გამოსვლების, პირველი კომუნების და სასოფლო-სამეურნეო არტელების საქმიანობის ამსახველი ნივთიერი მასალის მოპოვება (დოკუმენტები, დავთრები, წიგნები, მოწმობები, წიგნაკები, მემუარები, ჩანაწერები. მოგონებები, პირადი წერილები და ა. შ.).

გარდა ამისა, თითქმის ყველა ტრადიციულ ოჯახში ინახება საოჯახო საბუთები, ნასყიდობანი, ვექილები, სიგელები, გაყრის წიგნები, ხელშეკრულებანი, ანდერძები და სხვ. ყოველივე ეს ჩვენი ისტორიაა, რომელიც მიუკერძოებელი უნდა იყოს და უტყუარ საბუთებს ემყარებოდეს. ერთია სინამდვილე და მეორეა მისი შეფასება. მთავარია შთამომავლობას სინამდვილის ამსახველი დოკუმენტები შემოენახოს, რაც ყველა შესაბამისმა რეგიონალურმა დაწესებულებამ უნდა შესძლოს.

ხალხში უამრავი მასალაა სამამულო ომის თემატიკაზე (სხვადასხვა რელიკვიები, ჯილდოები, მადლობები, საჩუქრად გადაცემული იარაღი, სამხედრო ტანსაცმელი, ქუდები, სამკუთხა ჯარისკაცული წერილები და სხვა მრავალი). მათი გამოვლენა და მუზეუმში დაუნჯება ამჟამად თუ არ მოხდა, მერე გვიან იქნება. ომის ყველა მონაწილეს საინტერესო თავგადასავალი აქვს, ყოველი მათგანის ფოტოსურათი, ბიოგრაფია, საბრძოლო ჩანაწერები მუზეუმში უნდა ინახებოდეს. ამით შთამომავლობას გადავცემთ ჩვენი მამების დამსახურებას და პრაქტიკულად განვახორციელებთ დევიზს — „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“.

რაჭის სოფლები დღესაც მდიდარია ეთნოგრაფიული რეალიებით. ისინი, სამწუხაროდ, ხელაღებით ნადგურდებიან და ეროვნული ისტორიისათვის უკვალოდ იკარგებიან. აქედან გამომდინარე, უნდა შეირჩეს და დაცული იქნეს ამ კუთხისათვის ტიპიური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (შრამელ-ბურულები), ავეჯი, ტანისამოსი, ფეხსამოსი, სამეურნეო და საოჯახო ჭურჭლები, ტვირთზიდვის საშუალებანი, საბრძოლო და შრომის იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სართავი და საქსოვი მოწყობილობანი, წისქვილები და სხვა მრავალი, ასევე მუზეუმში თავი უნდა მოუყარონ მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს.

რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღირიცხოს ადგილობრივი რელიგიური და სახალხო დღესასწაულები, საკულტო ადგილები, ნიშები, სალოცავები, წმინდა კორომები ე. წ. „სახატო ტყეები“, ცალკეული

ზეები, ძველი სასაფლაოები და სხვა. მათი დაცვა-შემონახვა ისევ და ისევ მუზეუმის საზრუნავია.

დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, რაჭაში გავრცელებული გვარების ისტორია, მიკროტოპონიმიკა (ადგილის სახელები), დიალექტოლოგია (ადგილობრივი კილოკავები), ფოლკლორი, ამასთანავე გზები, გადასასვლელები, ბილიკები, სოფელთა განლაგება, უბნები, მოედნები, სანახშოები (ხალხის თავშეყრის, სალაპარაკო ადგილი), წყაროსთვლები, ორე—ჯიროლები, ეპიგრაფიკა (წარწერები), ტრადიციული მეურნეობის ფორმები — მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ვაზის, ხეხილის, ბოსტნეულის, პირუტყვის ადგილობრივი იშვიათი ჯიშები, ხალხური მკურნალობა და სამკურნალო მცენარეები, ნადირფრინველი და სხვა მრავალი.

გადაუდებელია მასალების შეკრება რაჭაში უძველესი წიგნთსაცავებისა და კულტურის კერების შესახებ. წიგნთსაცავები და კულტურის კერები იყო ნიკორწმინდის, ჭელიშის (აქ ინახებოდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" განთქმული ჭელიშური ვარიანტი), მრავალძლის, საირმის (რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე), ლაბეჭინის, კრიხის, სორის, ხსიერის, ბარაკონის და სხვა ტაძრებთან და მონასტრებთან.

აი ამ სახელდახელო ჩამოთვლითაც ნათელი ხდება, თუ რაჭას რა ფასდაუდებელი ბუნებრივი და ისტორიული სიმდიდრე მოეპოვება. მის შესასწავლად რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრებს აშკარად არ ყოფნის კადრები, დრო და სახსრები, ამიტომ ადგილებიდან საჭიროა შეტი ინიციატივა. მეცნიერებისა და ხალხის ერთობლივი მოქმედების საუკეთესო ფორმაა სახალხო უნივერსიტეტები, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მრავალი საშვილიშვილო საქმის გაკეთება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ცენტრალური მუზეუმები გადატვირთულია, დასაცავი ექსპონატები კი უამრავია, ამდენად რეგიონალური მუზეუმების გახსნა, სადაც კი ამის საშუალებაა, კულტურის ფასეულობათა თანამედროვე დონეზე დაუნჯების სწორი გზაა. გარდა ამისა, კარგად მოწყობილი მუზეუმი კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს მცხოვრებთა იდეურ-პოლიტიკურ, მორალურ და ესთეტიკურ აღზრდაზე. თან ახლანდელი ტურიზმის ინდუსტრია აუცილებელს ხდის ადგილებზე, რაც შეიძლება, მეტი საჩვენებელი ობიექტების არსებობას. ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რა უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ნიკორწმინდაში მუზეუმის ჩამოყალიბებას.

ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის ოთხი ფაკულტეტი (ბუნების დაცვის, ლიტერატურის, ფოლკლორისა და ხელოვნების, ტრა-

დიციების, ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის), ასევე საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განყოფილებებად გაიაზრებოდა. ყოველი განყოფილება თავის გეგმას და სამუზეუმო საქმიანობის წარმართვის ვრცელ პროგრამას შეიმუშავებდა. გეგმისა და პროგრამის შედგენაში ფართოდ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სპეციალისტების, დაინტერესებულ პირთა და ენთუზიასტთა სურვილები და მისწრაფებანი.

ჩამოთვლილი თემატიკა პროფილის. მიხედვით განაწილდებოდა ამბროლაურისა და ონის შესაბამის წარმოება-დაწესებულებებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე. მაგალითად, სკოლების ისტორიის ასახვას მესვეურობას გაუწევდა რაიონის განათლების განყოფილება, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისას — კულტურის განყოფილება, სამედიცინო საქმის წარსულსა და აწმყოს გააშუქებდა რაიონის ჯანდაცვის განყოფილება და ა. შ.

გარდა ამისა, ყოველ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნებოდა მუზეუმისათვის საჭირო სასურველი თემა აერჩია და მეცნიერებთან კავშირში შეძლებისდაგვარად დაემუშავებინა.

საგანგებო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩატარდეს რაჭის და რაჭის გარეთ მცხოვრებ იმ ტრადიციულ ოჯახებში, სადაც სამუზეუმო მნიშვნელობის ფასეულობანი დღესაც დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამუზეუმო ღირებულების ნივთებს მუზეუმს არ გადასცემენ, მაშინ გარანტირებული უნდა იყოს ადგილზე მათი დაცვა არსებული კანონის შესაბამისად და, თუ აუცილებელია, მუზეუმში თითოეულის ასლი ინახებოდეს. ოჯახი, რომელიც მუზეუმს ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატს შესწირავს, თვითონვე დაიმკვიდრებს მუზეუმში ღირსეულ ადგილს. სასურველია ოჯახმა თავის მხრივ, იზრუნოს მუზეუმში მისი დამსახურებული წევრის ან წინაპრის წარმოდგენისათვის, ასევე მემორიალურ, ფოტო და სხვა მასალის გადმოცემისათვის.

რაჭასთან დაკავშირებულმა ყველა მწერალმა, მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ ადგილობრივ მუზეუმს სათანადო წარწერით უნდა გადასცეს საკუთარი გამოქვეყნებული თხზულებანი, მუზეუმი დაიცავს აგრეთვე ხელნაწერებსაც.

სამუზეუმო საქმიანობის ფართოდ გაშლა მხოლოდ მცხოვრებთა დაინტერესებით, მოზიდვით არის შესაძლებელი.

არცთუ ცუდად მოფიქრებული პროგრამა შეუსრულებელი დარჩა. ამბროლაურის რაიონში ხელმძღვანელობა შეიცვალა და ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის რექტორატისათვის არც უკითხავთ, სამუზეუმოდ გამზადებული (მოწვეულმა არქიტექტორმა ყოფილი სკოლის შენობის მუზეუმად გადაკეთებისათვის პროექტი შეადგინა)

შენობა რომელიღაც უწყებას გადასცა, რათა იქ საამქრო გაეხსნათ. საბოლოოდ ეს საქმე არ გამოვიდა და ტაძრის გვერდით მდებარე ნაგებობა გამოუყენებელია და უპატრონობით ფუჭდება.

ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის მესვეურები ამ მარცხმა ვერ შეაშინა. მათ მთელი ყურადღება ქ. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობასა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფაზე გადაიტანეს, რათა იგი მთლიანი რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად იქცეს. 1983 წელს ქ. ონში ჩატარდა ამ მუზეუმის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები მონაწილეობდნენ. სესიაზე ბევრი პრობლემური საკითხი დაისვა. სახელდობრ, საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან და რუსეთთან ისტორიული ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი არტერია იყო რაჭაზე გამავალი ძველთაძველი „სამეფო შარა“ მამისონის უღელტეხილით, აგრეთვე კარაგომის, კირტიშოს და ფასის გადასასვლელები. სასაზღვრო სოფლები — გლოლა, ღები და ჭიორა მგზავრებს მასპინძლობდა და მათ უხიფათო მგზავრობას უზრუნველყოფდა, ადგილობრივი გარემოს კარგი ცოდნით და კერძ-მოკეთეობაზე დაყრდნობით.

გლოლასა და ღებში შემორჩენილია ძველი უბნები, სადაც გადმოცემით თვით არჩილ მეფეს, თემურაზ პირველს, ვახტანგ მეექვსეს, ბესიკს და სხვა მრავალ გამოჩენილ პიროვნებას დაუსვენია, სული მოუთქვამს და კავკასიონის გადალახვას მერე შესდგომია. მათი საიმედო მეგზურები ხომ გლოლელები, ღებელები და ჭიორლები იყვნენ.

სპეციალისტებმა აღდგენა-რესტავრაციის მიზნით, ეს უბნები საგანგებოდ შეისწავლეს (გლოლაში „ძველი სოფელი“, ღებში „ციხის კარი“) და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელია მინიმალური დანახარჯებით ამ უბანთა პირველადი სახით აღდგენა. ძველ შენობათა უმეტესობა გადაკეთებულია, მაგრამ გადარჩენილია და მათი შეკეთება-რესტავრაცია რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, აღდგება ციხე-კოშკები, ეკლესიები, ძველი შუკები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებნი ორიგინალურ ტერმინს „ტყუბს“ ეძახიან. ამ უბნების განახლებით მაღალმთიანეთის უძველეს სოფლებს ღებსა და გლოლას ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახე დაუბრუნდებათ. დიდად დასანანია, რომ ჭიორაში ალარაფერი დარჩა აღსადგენი. შვეიცარიელი მოგზაური დიბუა დე მონპერე (XIX ს.) იქაური ნაგებობებით აღტაცებული იყო და ამ სოფელს შუასაუკუნოვან ევროპულ ქალაქებს ადარებდა. ჭიორამ ისტორიული სახე, ძირითადად, XX საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ დაკარგა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ეროვნულ სტილზე კეთილმოეწყოს სოფლის ცენტრი — „სანახშოს უბანი“ შესანიშნავი წყაროთი, თითო-ოროლა

შემორჩენილი ძველი შენობით და შემოგარენში მდიდარი საკულტო ძეგლებით.

მთის რაჭის სოფლების ძველი უბნების აღდგენას, მეცნიერულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. მათ ბაზაზე შესაძლებელია მოეწყოს ზამთარ-ზაფხულ მოქმედი ტურისტულ-დასასვენებელი პანსიონატები, სადაც, შვეიცარიის მსგავსად, ეგზოტიკურ გარემოში დასვენება, ულამაზესი ბუნებით დატკბობა, მაცოცხლებელი წყლით და ჰაერით ჯანმრთელობის გაკაჟება ადამიანებს განსაკუთრებულ სიამოვნებას მიანიჭებს. რა თქმა უნდა, მკვიდრნი დასაქმდებიან და სოფლიდან გაქცევაზე აღარ იფიქრებენ. იგულისხმება, რომ მოწესრიგდება გზები, მიმოსვლა, ტელეფონის, რადიო-ტელევიზიის მუშაობა, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება.

ონში გამართულმა სამეცნიერო სესიამ ეს წინადადება მოიწონა და ყოველივე ამის მოგვარებისათვის ზემდგომი ორგანოების წინაშე შუამდგომლობა აღძრა. კარგად დაწყებულ საქმეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა. განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინა პროფსაბჭომ და სათანადო დაფინანსებაც იკისრა. შეიქმნა სპეციალისტთა ხელმძღვანელი ბირთვი და მუშათა ბრიგადები. შემდგომ, რატომღაც, საქმე დაყოვნდა და რაიონული ხელმძღვანელობის თავშეკავების გამო, დღემდე პრაქტიკული ნაბიჯი აღარ გადადგმულა. დრო კი არ ითმენს, ახლახანს გლოლაში განადგურდა საყოველთაოდ ცნობილი, ხალხური არქიტექტურის შედევრი „სასტუმრო სახლი“, რომელმაც არქიტექტურულ ლიტერატურაში იმთავითვე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. ღებში ხომ სადაცაა მიწასთან გასწორდება უკანასკნელი დუროიანი ციხესახლი. ამ საგანგებო მდგომარეობაზე წერა უკვე მოგვწყინდა და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. გადის წლები და გულშემატკივარი არავინ გამოჩნდა. თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავთ, იქნებ ახლა დარდაქმნისა და ფანახლების კეთილისმყოფელ ეამს მაინც გალღვეს ბიუროკრატიზმისა და უპასუხისმგებლობის ყინული...

იმავე სესიაზე აღინიშნა, რომ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნას. არა აქვს ეზო, სადაც შესაძლებელი იქნება ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაგებობების თავმოყრა და შესაბამისი ექსპოზიციების მოწყობა. მუზეუმმა სრულყოფილი, დასრულებული სახე რომ მიიღოს, სასურველია მას დაეთმოს განათლების განყოფილების შენობა ეზოთი. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ვ. ასათიანის უშუალო მხარდაჭერით, ეს საკითხი მოგვარდა და 1988 წლის 15 სექტემბერს, ონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, მუზეუმმა მიიღო ვრცელი ეზო და ამჯერად უკვე

ნაგებობის ნაშთი (შენობა ხანძარმა შთანთქა). ამრიგად, რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის ფაქტიურად ახალი შენობა უნდა აიგოს. ეიმედოვნებ, „ზოგი ჭირი მარგებელიაო", ისე მოხდა. თანამედროვე მუზეუმს თანამედროვე შენობა შეეფერება. ამჟამად მიმდინარეობს მისი დაპროექტება და მუზეუმის ეზოში ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობისათვის სამზადისი, რისთვისაც მუშავდება დაწვრილებით გეგმა-პროგრამა.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ახალი ხელმძღვანელობით განმტკიცდა, გამოეყო ავტომანქანა, საშტატო ერთეულები. სამი წელია მუზეუმთან ერთად მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის (თავმჯდომარე აკად. თ. ონიანი) რაჭის ექსპედიცია. საგანგებო პროგრამით მიმდინარეობს თითოეული სოფლისა და ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, ბუნების, კულტურის და ისტორიული და ყოფითი ძეგლების ფოტოფიქსაცია. მეცნიერულ დონეზე წარმართა მუზეუმის ფონდების მოწესრიგება და შევსება. სათანადო აქტივის შემოკრების და მასალების მოპოვების მიზნით, სოფლებში ვრცელდება შესაბამისი კითხვარები. ონის მუზეუმი, როდესაც რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტატუსს მიიღებს, უსათუოდ ნიკორწმინდის ტაძართან, გამოქვეყნებული პროგრამის საფუძველზე, შესაფერის ფილიალს შექმნის. ასევე ამბროლაურში კრიხულის ხეობა აღკვეთილ ზონად უნდა გამოაცხადოს და იქ ღია ცის ქვეშ მუზეუმი მოაწყოს. ამისათვის უკვე მეცნიერული საფუძვლები მომზადებულია. მუზეუმთან ერთად ჩაფიქრებულია ახალგაზრდობის სავანე და მშრომელთა დასვენების კერა ამბროლაურში. აი წინასწარი მონახაზი, საკითხის დასმის წესით:

არის კი დღეს რაჭაში ამის შესაძლებლობა, სახელდობრ, ამბროლაურის რაიონში? იქ ხომ მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა, დაბადებას სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად აჭარბებს, ხანშიშესულთა რიცხვი ძალიან მაღალია, რესპუბლიკის რუკიდან ქრებიან მთის სოფლები, იკეტება სკოლები, „მოზამთრე რაჭველები" თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ. ქალაქებიდან თუ არ მოვიდა ხალხი, მკვდრის დასაფლავება ჭირს. მრავალი კარმიდამოს ჭიშკარი ზაფხულობით თუ გაიჭრიალებს, მეტყველი მდუმარებით დგანან კარჩაკეტილი სახლები, ელიან, ელიან, ელიან და ნუთუ ამაოდ?!

ასეთია მწარე სიმართლე. „წარსულის პასუხისმგებლური ანალიზი გვიკვალავს მომავლის გზას, ხოლო ნახევრადსიმართლე, რომელიც მორცხვად უვლის გვერდს მახვილ კუთხეებს, აფერხებს რეალური პოლიტიკის გამოშუშავებას, ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. „ჩვენი

ძალა — ამბობდა ლენინი, — სიმართლის თქმაშია". ს.კკპ XXVII ყრილობაზე ითქვა ეს საგულისხმო, დამაფიქრებელი სიტყვები.

ხანგრძლივი მშვიდობისა და კეთილდღეობის ჟამს, როცა სამამულო ომის მძვინვარება ჩაინავლა, როცა შრომითი აღმავლობა უნდა დაწყებულიყო, უკვე ვიცით, რომ რაჟაში პირიქით მოხდა, 50-იანი წლებიდან გაუმართლებელი ექსპერიმენტების გამო საზოგადოებრივი მეურნეობები დაქვეითდა, ქვეყნის ფუძემ და ჯავარმა — გლეხკაცმა, ძალაუნებურად, მიწაზე ხელი აიღო, ახალგაზრდობამ სოფელს ზურგი შეაქცია და რაჟა რაჟაველთაგან იცლება... როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დიდი საზრუნავი გაუჩნდა, არსებულ მდგომარეობას კრიტიკულად აფასებენ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწენი, მწერლები, მეცნიერები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმართება მსჯელობა, დისკუსიები... ამბროლაურისა და ონის რაიონებზე დამატებით მიღებულია სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი და ა. შ.

მრავალი მოსაგვარებელი საკითხის გათვალისწინებასთან ერთად, ალბათ უკვე დადგა დრო ახალგაზრდობის სავანე — ცენტრზე, ღია ცისქვეშ მუზეუმსა და მშრომელთა მასობრივი დასვენების კერაზედაც ვიფიქროთ, წარსულის მემკვიდრეობის მიზნობრივად ათვისება პრაქტიკულად განვახორციელოთ, თან მშრომელთა გონივრულად დასვენების პროგრამას ხორცი შევასხათ. ცნობილია, რომ კარგად ორგანიზებული დასვენება შრომის ნაყოფიერების ზრდის საწინდარია და, სამწუხაროდ, ამ თვალთახედვით რაჟაში ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული.

მიგრაციის მიზეზთა შორის ტყუილად როდი ახახელებენ, მატერიალურთან ერთად, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ნაკლებ შესაძლებლობას. ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ წარმართული ლაშქრობის წარმატებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა დასვენების სწორ დაგეგმვას. თავისუფალი დროის ისე გამოყენებას ენიჭება, როდესაც მოქალაქე ფიზიკურ და სულიერ წონასწორობას აღიდგენს და სამუშაოზე სრულფასოვანი შესაძლებლობებით გამოცხადდება. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ სატელევიზიო გადაცემანი და კინოსურათები საკმარისი არ არის (თუმცა სასურველი წესრიგი არც აქაა დამყარებული). რაჟის თანამედროვე მცხოვრებლებს მეტი ესთეტიკური ტკბობა სჭირდებათ, ისინი ყოფით ჰარმონიას ესწრაფვიან და ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის ჟამს მიზანმიმართულად უნდა გამოვიყენოთ რაიონის ისტორიული წარსული და მეცნიერების სადღეისო მონაპოვარი. ამ აუცილებელი და გადაუდებელი სინთეზის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა კარგად მოწყობილი და ორგანიზებული ღია ცისქვეშ მუზეუმი, რომლის ამბროლაურში დაარსე-

ბის იდეას ოც წელზე მეტია ველოლიავებით და ფრიად სასიხარულოა, რომ ხანგრძლივი ნაოცნებარის განხორციელება ახლახანს დაიწყო:

რაიონის ხელმძღვანელობამ დიდსულოვნება გამოიჩინა და საზოგადო კუთვნილება გახდა ადრე უცხო თვალისგან მტკიცედ დაფარული, ამბროლაურის ისტორიული კუთხე, სადაც XVII საუკუნის კოშკია აგებული, ათასწლოვანი ცაცხვი გარემოს ამშვენებს და მკრეხელთაგან ხელყოფილი ეკლესიის სიწმინდეები განისვენებს. იმ „იდუმალ ადგილს“ მესერი უკვე შემოხსნეს. სკვერი და წყარო მოაწყვეს, რის შედეგადაც ისტორიულ და ბუნების ძეგლთა დიდებულება შეტნაკლები სისრულით უკვე გამოჩნდა.

აქედან იწყება ახალგაზრდობის სავანე და ღია ცისქვეშ მუზეუში, რომლის ტერიტორია მდინარე კრიხულამდე ვრცელდება და ვიშედეოვნებთ კრიხულის მთელი ხეობა მშრომელთა დასვენების კერად გადაიქცევა; ის სხვადასხვა მშენებლობისათვის აღკვეთილ ზონად გამოცხადდება და მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებს მოითავსებს.

დიახ, მკითხველის რეაქცია ჩემთვის გასაგები. „მუზეუმი“ და „სამუზეუმო ექსპონატი“ თითოეულ ჩვენგანში მოწიწებასთან ერთად, არასასიამოვნო შეგრძნებასაც იწვევს, რადგან სამუზეუმო საქმეს ზოგიერთი რატომღაც მხოლოდ სიძველეს და უმოქმედობას უკავშირებს. ასეთია ყალბი წარმოდგენა მუზეუმის როლსა და დანიშნულებაზე, მაშინ, როდესაც დღევანდელ მოთხოვნილებათა სწორი შეფასებით — მუზეუმი უაღრესად თანამედროვე დაწესებულებაა, რომელიც წინაპართა მონაპოვარს, ხალხის მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას აწმყოს კუთვნილებად აქცევს და მყობადს სრულფასოვნად გადასცემს. ზუსტად ასეთი უნდა იყოს ამბროლაურის ღია ცის ქვეშ მუზეუმი, სადაც არცერთი ექსპონატი არ იქნება მკვდარი, ინერტული, გამოუყენებელი. ყველა მათგანს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულება ექნება, თან უტილიტარული ფუნქციაც, ისევე როგორც ამას ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების კანონი ითვალისწინებს.

ამ მცირე შესავლის შემდეგ სასურველია ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ჩანაფიქრი, რათა საერთო განხილვისა და მსჯელობის შედეგად უფრო სრულვყოთ, დავხვეწოთ და, თუ სათანადო მხარდაჭერას ჰპოვებს, შემდეგ დაიწყოს ამ დიდი, საშვილიშვილო საქმის პრაქტიკულად განხორციელება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მესერის შემოხსნამ, ბუნების უზადო ძეგლის მრავალსაუკუნოვანი ცაცხვისა და კოშკის გამოჩენამ ცხადი გახადა, რომ ძველი, ამორტიზებული საცხოვრებელი სახლი ზედმეტია, იგი

უნდა დაინგრეს, რათა ქალაქის ულამაზეს სკვერად ქცეულ კოშკის მიდამოს ამოსასუნთქი ჰქონდეს. ასევე უნდა დაინგრეს ბიბლიოთეკაზე მინაშენი, რათა ამ შენობას ჩვეული სახე დაუბრუნდეს. მუზეუმის ფართობის გაზრდისათვის იქვე უნდა განხორციელდეს სხვა ღონისძიებანიც...

კოშკის ეკვერდით, კრიხულას ხეობაზე გადამტვერი შემაღლება გამოყენებულია „ახალგაზრდობის სავანის" ასაგებად, რომლის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს (არქიტექტორი ვ. გაგოშიძე).

ახალგაზრდობის სავანეში მოთავსდება მმაჩის ბიურო და ის, მართლაც რომ ბედნიერების სასახლედ იქცეს, ჩემი აზრით შემდეგნაირად უნდა მოეწყოს:

პირველ შესავალში დარბაზს შესაძლოა ერქვას — „სიყვარულო ძალსა შენსა". იქ ჰედურობასა და ფერწერაში უნდა წარმოჩინდეს ამ მარადიული თემის აზრი და მნიშვნელობა, სიყვარულის სიამოვნება და ოჯახის შექმნის პასუხისმგებლობა. მხატვრულ ქმნილებებთან ერთად კედლებს დაამშვენებს სათანადო წარწერები და აფორიზმები. ავეჯი ადგილობრივ „რაჭულ-ლეჩხუმურ-სვანურ სტილში" უნდა იყოს გადაწყვეტილი (ასევე სხვა დარბაზებშიც).

მისაღები დარბაზი ნიშნობა-დაწინდვის ასპარეზი იქნება. ხელის მოწერამდე, წინასწარი ვადის დაცვით, წყვილები პირველად იქ უნდა მივიდნენ და სისხლხორცეულად შეიგრძნონ, შეიცნონ, გაითვალისწინონ ოჯახის შექმნის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული მნიშვნელობა.

მეორე დარბაზი ხელის მოწერის რიტუალს დაეთმობა, სავარაუდო სახელი — „გიყვარდეთ ერთმანეთი!"

ფერწერასა და ჰედურობაში აისახება შეუღლების ბედნიერების განცდა. საზეიმო, ამაღლებული სტილი სისადავეს და ნაზ ინტიმურობას უნდა ერწყმოდეს.

მესამე დარბაზი დედაშვილობა-მამაშვილობის სიკეთესა და პასუხისმგებლობას წარმოაჩენს. სავარაუდო სახელი — „ბავშვი — გვირგვინი სიყვარულისა". იქ შესრულდება სახელდების — ნათლობის თანამედროვე რიტუალი. ჩვილის განბანვისათვის მოეწყობა ემბაზი. საწესო განბანვას შეასრულებს ექიმი-პედიატრი, თანამედროვე ჰიგიენური წესების დაცვით. გარდა ამისა, ახალბედა, ეკამოუცდელ დედას სათანადო რჩევა-დარიგებას მისცემს ბავშვის მოვლა-აღზრდის სავალდებულო სამედიცინო კულტურის შესახებ.

სასურველია, დარბაზის კედლები ქართული ანბანის მონუმენტური ასოებით შეიმკოს. თითო ასოს გასწვრივ ამ ბგერაზე დაწყებული ნაკლებად ცნობილი ქართული სახელები წარმოაჩინოს, რათა მშობლებს არჩევანის გაკეთება შეეძლოთ. ბუნებრივია, ადამიანის

მთავარი ეტიკეტი — სახელი ეროვნულ კუთვნილებასაც უნდა გამოხატავდეს და კეთილხმოვნადაც ეღერდეს.

მეოთხე დარბაზი — სავარაუდო სახელი — „თაფლობის თვე", მხატვარ-ხელოვანთა ნამუშევრების საგამოფენოდ უნდა იყოს გამოყენებული, სადაც შენაცვლებით მოეწყობა ცნობილ და დამწყებ შემოქმედთა ექსპოზიციები. აღიარებული ჭეშმარიტებაა — ხელოვნება ხვეწს ადამიანის ბუნებას, ხასიათს, სულს აფაქიზებს. საოჯახო ულელში შებმულ ახალგაზრდებს, ფიზიკურთან ერთად, სულიერი სიჯანსაღე და სრულქმნა სჭირდებათ.

მეხუთე დარბაზი — სავარაუდო სახელი — „საფიხვნო"—„სანახშო". იქ ჩატარდება შესაბამისი მეჯლისები, შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები, დილები, ვიქტორინები, დისკუსიები და. ა. შ. დარბაზს ექნება ფონო და კინოსაპროექციო აპარატურა, ვიდეო და სხვ.

ახალგაზრდობის სავანე ქორწილიდან ქორწილამდე არ შეიძლება უმოქმედოდ დარჩეს. იგი ქალიშვილებისა და ჭაბუკების შეკრების საყვარელი ადგილი უნდა გახდეს. სასურველია. წყვილებმა ერთმანეთი ამ ჯანსაღ გარემოში გაიცნონ, ოჯახის შექმნის სიხარულის განცდასთან ერთად, აუცილებელი მეცნიერული ინფორმაცია მიიღონ თანაცხოვრების და ურთიერთშერჩევის პრობლემებზე. ბოლოს და ბოლოს, ამ სათუთ საქმეში ქუჩურ, უხამს ზეგავლენას ხომ უნდა დაედოს ზღვარი...

ახალგაზრდობის სავანეს თავისი სამახსოვრო სიმბოლოები უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, შემოღებული იქნას — „საოჯახო მატიანე" — გემოვნებით გაფორმებული წიგნი, რომელშიც კალიგრაფის მიერ ჩაიწერება ახალი ოჯახის დაფუძნების ყველა მონაცემი, ჩაეკვრება ახალშეუღლებულთა ფოტოსურათები. იქვე შეიტანენ დამოყვრებულ ოჯახთა გენეალოგიურ ნუსხას (ქალის მხრიდანაც და ვაჟის მხრიდანაც), რომელიც ოჯახის გამრავლების კვალობაზე გაგრძელდება.

ახალშობილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სასურველია შემუშავდეს ილეკრის (ფერადი ლითონის) მედალიონი, რომელზეც ჩვილის ნათლობის მონაცემები ამოიტვიფრება და შინ რელიკვიად შეინახება. ასევე რელიკვიად დარჩება „საოჯახო მატიანეც". მედალიონისა და მატიანის ფორმის შემუშავებისათვის საგანგებო კონკურსი უნდა გამოცხადდეს.

ასეთია ძალიან მოკლედ და ზოგადად ამბროლაურის „ახალგაზრდობის სავანის" შესახებ ჩვენი ფიქრი და წარმოდგენანი.

ქვემოთ, სანაპირო ქუჩის გვერდით დაეკება ძველებურ სავაჭრო-სახელოსნო დაბად გაიაზრება. იქ დარაბიან დუქნებში თავს მოიყრიან ხელოსნები: მჭედელი თავისი სამჭედლოთი, ნალბანდი, მეთუნუ-

ჭე, მექვაბე, მკალავი და ზეინკალი; ოქრომჭედელი, ჭონი, მეჩექმე, ხარაზი, თერძი, დერეკი, მექუდე, მქარგავი, მეაევჯე, ხარატი, მეაკვნეშეკუბოვე, მეთუნე-მეჭურჭლე, შარაგულის ოსტატი — მეკალათე, დალაქი და ა. შ.

საჭირონი არიან ისინი დღეს?!

არა თუ საჭირონი არიან, არამედ აუცილებელნიც. გვჯერა, საქმეს თუ კარგად წარმართავენ სამეურნეო ანგარიშზე იარსებებენ. მჭედელი რაჭაში სანთლით საძებარი გახდა, მაშინ როდესაც არცთუ შორეულ წარსულში პირიქით იყო. ადგილობრივი რკინის იარაღები მთელ ამიერ და იმიერ კავკასიაში ვრცელდებოდა. რაჭულ ნაჯახს, წალდს, თოხს, წერაქვს, ნამგალს, სადურგლო და სახვეწ-სახარატო ხელსახმარს ბადალი არ მოეპოვებოდა, არც გარეგნული დახვეწილობით და არც ფოლადის ფხა-სიმტკიცით. ახლა ეს უძველესი ტრადიცია გაქრობის პირასაა და, დროულად თუ არ მივეშველეთ, სამუდამოდ დაიკარგება. ასეთივე სავალალო მდგომარეობაშია ხის, ქვის, თიხის, ტყავის, ქსოვილის და სხვათა ხალხური მხატვრული დამუშავება. ეს ცალკე სასაუბრო მტკივნეული თემაა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ოღონდ დავძენთ, რომ ქართულ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს ყველი ჯერ კიდევ არ გასვლია, თუ გნებავთ მექორწილე წყვილთა შესამოსად და მრავალი ფოლკლორული ანსამბლისათვის. ასევე, ვაიკრიტიკოსთა გამოხდომების მიუხედავად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ მეტი არა, თითო ხელი ეროვნული სამოსი ყოველ ქართულ ტრადიციულ ოჯახს უნდა ჰქონდეს, მხოლოდ შესანახად კი არა, არამედ, ვისაც მოუხდება. საგანგებო შემთხვევის დროს იცვამდეს და თავს იწონებდეს. ისევე როგორც ამას ჩვენი ხელისუფალნი აკეთებდნენ დარბაზობებსა თუ საერთაშორისო დიპლომატიურ შეხვედრებზე. ქართული ტანსაცმელი ეროვნული ღირსების განსახიერება იყო, სიმბოლო თავისთავადობისა, დამოუკიდებლობისა, თან ადამიანის ცხეულის სილამაზეს შეუდარებელი სრულყოფით გადმოსცემდა. მისი მხოლოდ სამუზეუმოდ განწირვა, ეროვნული კულტურის დიდი დანაკლისი იქნება, ამიტომ ამბროლაურში თუ ხელოვან ჭონს, მეჩექმეს, დერეკს, თერძს მიიზიდავენ, ისინი ამაოდ არ დაშვრებიან.

გარდა ამისა, ნურავის დაავიწყდება ის გარემოება, რომ რაჭულ სოფელს ჯერ კიდევ სჭირდება ნალბანდი. ხარი და ცხენი მეურნემ იმიტომაც მოიძულა, რომ ნალ-ლურსმნისათვის თერჯოლაში ან ზესტაფონში უნდა წავიდეს: მეთუნეკე, მექვაბე და მკალავი ქუთაისში მოძებნოს, ღუმელები და ჭრაქები იქვე შეიძინოს...

იმის შემდეგ, რაც რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე მდებარე სოფელ საირმის განთქმული მეთუნეობის ძველთაძველი კერა ჩაქრა, ონქალაქ-

ში სერგო მაჩაიძის მიერ დაარსებული კერამიკული საამქრო გაუქმდა, რაჭის მკვიდრთ თიხის ეროვნული ჭურჭელი სანატრელი გაუხდათ, ამიტომ წესიერად გაკეთებულ თიხის ჭურჭელს მოსახლეობა სიამოვნებით შეიძენს, მას ამბროლაურში იშოვიან თუ სხვაგან.

ადგილობრივი ორიგინალური, თვითმყოფადი ავეჯი უცხოელ მოგზაურთა დამსახურებულ აღტაცებას იწვევდა. მისი ბევრი ნიმუში პრაქტიკულად ახლაც გამოსაყენებელია ყოველგვარ ბინასა და სახელმწიფო დაწესებულებაში, სიყოჩტავესა და მოხერხებულობასთან ერთად, ის ინტერიერს განუმეორებელ ეროვნულ კოლორიტს ანიჭებს. რატომ უნდა ავიღოთ ხელი ასეთ სასარგებლო მემკვიდრეობაზე? რატომ ვიხრით ქედს უღმერთოდ გაძვირებული უცხოური ზიზილ-პიპილებისადმი? რატომ უარვყავით საკუთარ მამა-პაპათა მონაპოვარი?

ჯერ კიდევ გვყავს ხის შთამომავლობით მხატვრულად დამუშავების ნამდვილი ჯადოქრები, რომელთაც ასპარეზი არ მოეპოვებათ, ან „კერძო ხელოსნის“ დამღით უნდა იჯახირონ, ანდა შინაგან მოწოდებას თავი მიანებონ და თაობიდან თაობას გადაცემული, სისხლიან საუკუნეებს გადარჩენილი წინაპართა ცოდნა-გამოცდილება დასავიწყებლად გასწირონ. ნივთებისაგან პოეზიის შემქმნელთ მივცეთ მოქმედების შესაძლებლობა. ტურიზმის განვითარების თანამედროვე ინდუსტრია ხომ ამას გადაუდებლად მოითხოვს. მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორთა შორის მრავალგზისაა დასახელებული ხალხური უამოყენებითი ხელოვნებისა და შინარეწვის გამოცოცხლება-აღორძინება. მაშ რაღა უდგას წინ, რომ ამბროლაურის ღია ცისქვეშ მუზეუმში შამაპაპური საქმის გამგრძელებელმა ნიჭიერმა ოსტატებმა იღვაწონ?

— აბა, სად არიანო?! — მესმის ურწმუნო თომათა შემოძახილი. არიან, თუ პირობები ექნებათ, მოვლენ...

მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ ჩვენებური სახარატო დაზგა, ტყეში მდინარის ძალით რომ ამუშავებდნენ, გობებს, ხელგობებს, ფიალებს, ჯამებს და სხვა მისთანებს ახარატებდნენ. სოფლად არ არსებობს ოჯახი, რომელსაც ეს ჭურჭელი არ სჭირდებოდეს. ყველაფერს ვერ შესცვლის მეტალი და პლასტმასა. ბუნებრივი, მრავალნაცადი ხის მერქანი და თიხის კეცი, თავისებურ სილამაზესთან ერთად, სრულიად უწყინარია.

ოცნების თვალით ვხედავ ღია ცისქვეშ მუზეუმის ფარგალში, კრიხულას პირას გამართულ სახარატო დაზგას, რომელსაც ოსტატი სახალხოდ ამუშავებს, თავის ხელოვნებას და ნახელავს ყველას უჩვენებს.

კრიხულას პირას ჩაიდგმება და ამ ანკარა მდინარის ჩქერი ააბრუნებს დოლაბებიან წისქვილს, რომელიც „გემოშენარჩუნებულ, ზეთშეუშრობელ“ ფქვილს მიაწვდის ამბროლაურის მოსახლეობას. მაინც რა უდროოდ ავიღეთ ხელი წყლის ენერგიის გამოყენებაზე? რისთვის მოვამრავლეთ ელექტროწისქვილები? „სად წყლის ძალით დაფქული და სად დენით დამწვარი, მოკლული ფქვილი?“.

ღია ცის ქვეშ მუზეუმში კვების მთელი ბლოკი უნდა შეიქმნას. ჯერ ერთი, ის ბევრ მნახველს მიიზიდავს. ყოველ ბედნიერებას, მეტადრე ქორწილსა და ნათვლას ზომიერი სუფრა უნდა ახლდეს და „ახალგაზრდობის სავანის“ არსებობა ასეთი სუფრების გამართვას თავისთავად გულისხმობს. შემდეგ რაჭის ძეგლების და კურორტების, განსაკუთრებით ნიკორწმინდისა და შოვის სანახავად უამრავი ორგანიზებული და არაორგანიზებული ექსკურსია და ტურისტი მოდის, რომლებიც „თვალისსეირს“ როცა მორჩებიან, რაჭისათვის დამახასიათებელ, ნუგბარ საჭმელ-სასმელს ამაოდ დაეძებენ. ამბროლაურში თუკი დანაყრების შესაძლებლობა იქნება, ეკვი არ არის, ზაფხულობით მაინც, მუშტარი არ შემოილევა.

კრიხულის სანახებს დაამშვენებს რაჭული ოდა, შუასახლი — კათხასახლი — კერით, კაჩა-კაკიბერათი, ღორის ლორებით და ფრინველთა შაშხებით, სამფეხა ტაბლებით, ჯორკოებით...

აქვე აიგება ტიპიური რაჭული მარანი ხორგო — საწნახლებით, წბერით, ჭურებით... მარანი მოქმედი იქნება, ყურძენს ფეხით დაწურავენ და ღვინოს ხალხური წესით დააყენებენ. თონე შეშით გახურდება. ქართულ წესზე პურის ცხობის ეგზოტიკა თუ თავგანწირვა (მეპურის გახურებულ, „ნალვერდალიან“ თონეში ჩაკიდება) მუზეუმის მნახველთათვის სანახაობად გადაიქცევა. შესაბამის ადგილას გაიმართება საბძელ-ბოსელი კალოთი, კევრით, კაბდოთი, არნადით, სახვნელებით, ურმებით, მარხილებით, ძარ-ჩელტებით, ფოდრებით, გიდლებით და ა. შ. ბოსელში ულელი ხარი და მეწველი ძროხები დაიბმება, კვების ბლოკისა და მუზეუმისათვის უთუოდ გამოსაყენებელი. ასევე უნდა ჰყავდეთ სხვა საქონელიც — მსხვილფეხა და წვრილფეხა, ფრინველი, საერთოდ რაჭის შეძლებული ოჯახისათვის რაც დამახასიათებელი იყო.

არქიტექტურული თვალსაზრისით კვების ბლოკი, მოცემულ რელიეფზე, ადგილობრივი კომლის კარმიდამოს, სახლისა, შრამელ-ბურულების (სამეურნეო ნაგებობანი) ჩვეული რაციონალური განლაგებით უნდა ჩაიფიქრონ. არავითარი „სამუზეუმო“ ფუფუნება და ზედმეტობა, არამედ მკაცრი „გლეხური“ ფუნქციონირება, რაჭის სოფლის მაღალი ყოფითი კულტურის მთლიანობაში გამოვლენა.

კვების ბლოკი, მისთვის საჭირო კარმიდამო და ნაგებობანი კრიხულას ორივე სანაპიროზე განლაგდება და რაიონის ახალ სასტუმროსაც მოითავსებს. მდინარეს ბონდის ხიდი გადაეკვეთს, ადგილ-ადგილ გაკეთდება ბოგირები, კიპორჭები...

კრიხულას ხეობა, შესართავიდან სათავემდე, მთლიანად მშრომელთა დასვენების კერად გადაიქცევა. თვით ეს მდინარე ბუნების ხელთუქმნელი ძეგლია, სხვავის ნაკლებადცნობილ სასულე-საყინულესთან ერთად. სოფლის ბოლოს, ფრიალო კლდიდან წყალუხვი კრიხულა ერთბაშად, უზარმაზარ წყაროდ იბადება და ზაფხულის ხვატში საამო სიგრილეს აყენებს, ხოლო ზამთრობით სითბოს გამოჰყოფს და რძისფერი ნისლის ჭაელები მიდამოს ეფინება. ამ განუმეორებელი სილამაზის ხეობაშია ცასმიბჯენილი კვარაციხე და ზემო კრიხის ტანკენარი ტაძარი. ბუნებისა და მატერიალური კულტურის იშვიათ ძვგლთა ასეთი შერწყმა მართლაც საარაკოა. აქედან გამომდინარე, კრიხულის ხეობა თანამედროვე ტურიზმის განვითარების დონის შესაფერისად კეთილუნდამოეწყოს და მშრომელთა დასვენების სამსახურში ჩადგეს. ბაგირგზებით ველევისა და შხივანას ტაფობზედაც შეიძლება ასვლა, ზღაპრული მომხიბლაობის მუქლურჯ წიწვნარებში გასეირნება და მაცოცხლებელი ჰაერის სუნთქვა. ხეობებში, როცა თაკარა სიცხე ჩაიბუდებს და ფოთოლიც არ იძვრის, საწალიკეს კალთებსა და ქედზე ყოველთვის ლაღი ზეფირი ქრის, მიდამოს აგრილებს. ამ სამოთხეთი ჯერჯერობით არავინ სარგებლობს...

ღია ცისქვეშ მუზეუმის ბუნებრივი გაგრძელება იქნება ამავე ხეობაში მდებარე ამბროლაურის ბაზარი, სადაც ძველქართული ბაზრის დამახასიათებელი დახლები, დუქან-ქულბაქები და ფანჩატურ-ფუნდუკები მოეწყობა.

* * *

ცხოვრების აუცილებლობა გვკარნახობს, რომ რაჭა-ლეჩხუმი მშრომელთა დასვენების და საექსკურსიო-ტურიზმის ზონებად დაიყოს, სადაც ერთ-ერთ წამყვან როლს შეასრულებს ამბროლაურის ღია ცისქვეშ მუზეუმი კვების ბლოკით, გზაჯვარედინზე ცენტრალური მდებარეობის გამო.

ამბროლაური საშუალედო ადგილია ნიკორწმინდის ტაძრის, ბარაკონის ეკლესიის და მინდაციხის, ზემოკრიხის ეკლესიის და კვარაციხეს შორის. ამბროლაურიდან ამ ძეგლების მონახულება ძალიან მოხერხებულია არა მარტო ავტომანქანით, არამედ ეტლით, ცხენით (მომავალში ეტლებსა და ცხენებზედაც უნდა ვიფიქროთ, ტურისტთა მსგავსი მომსახურება — შეკაზმული ცხენებით ლეჩხუმში უკვე ინერგება).

კრიხულასთან ერთად დასვენებისა და საექსკურსიო ტურიზმის ზონად უნდა გამოცხადდეს შარეულას ხეობა, სადაც სასურველია აღდგეს ჭელიშის ისტორიული მონასტერი.

შარეულას შესართავთან, რიონის ხეობაში, მოგზაურს ანცვიფრებს საირმის გადასასვლელის სვეტებად აღმართული კირქვოვანი კლდეები, სადაც XIX საუკუნეში უდაბნოს მონასტერი იყო. თვით სოფელი საირმე ეთნოგრაფიულ ნაკრძალად გამოცხადების ღირსია, შესანიშნავი სახლებითა და კარმიდამოებით, შრამელ-ბურულებით, ეზო-ჭიშკრებით, თიხის, ქვისა და ხის დამუშავების მაღალი ხელოვნებით.

ზედა საირმეს გვირგვინად ადგას ლაბეჭინის მშვენიერი ტაძარი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით, მრავალ ეროვნულ რელიკვიას და სიძველეს ინახავდა. უგზოობის გამო ტაძართან მისვლა ამჟამად ფრიად გაძნელებულია, ასევე მოვლას და ყურადღებას მოითხოვს ქვედა ჟოშხის XIII საუკუნის დარბაზული ეკლესია.

არამცთუ მოხსენიების, ქება-დიდების ღირსია პატარა ონის, ტბეთის, ბუგეულის, ბარეულის, ქედისუბნის, ზნაკვის ციხეები და ეკლესიები, კლდისუბნის კლდეკარი — წერწეტი კოშკებით, ქვაბთკარი, ჯერ აღურიცხავი და დაუთვლელი მრავალი ეთნოგრაფიული თუ ბუნების ძეგლი თვით მცირე ხეორის ხეობაში უხვი სანახაობაა. მარტო ქორთის ეკლესიის წმინდა ხეების კორომი რად ღირს, ბოყვის ეკლესია, წყაროეპი, თამარ დედოფლის კლდე, განძთსამალავები და სახიზაროები, ქვაგახეთქილას კანიონი, უშოლთის მღვიმე, მრავალძლის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის გადასახედიდან მთელი რაჭა ხელისგულივით ჩანს. „დაბინდულ ქლიავისფერ მთებს“ სირმასავით შემოვლებია „საიმერეთოს გზა“; შქმერელი ჩალანდრები იმერეთს მიმავალ მგზავრებს ამ გზაზე ცხენებით აცილებდნენ. ეს მარშრუტი ტურისტებისთვის რომ აღდგეს — ულამაზესია, ჯრუჭის სახელგანთქმული მონასტრით და საჩხერის რაიონის სხვა ღირსშესანიშნაობით გვირგვინდება. ვინ იტყვის უარს ცხენით ეს ჯადოსნური სამყარო გაიაროს?

სოფელ შქმერის შემოგარენი ხომ საზამთრო-სათხილამურო ბაზის მოსაწყობად საუკეთესოა. იგი ბაკურიანსა და გუდაურს არაფრით არ ჩამორჩება.

აღარას ვამბობ ჯეჯორის, ქვედრულას, ჭანჭახის, ღარულას, საკაურას, სონტარულის, ბარულას, ლუხუნის და სხვა ხეობებზე. რაჭაში ხომ ყველა მდინარეს საკუთარი. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი სილამაზე აქვს. სანაპირონი ბუნებისა და

ისტორიული ძეგლებით შემკობილია. თვით სოფლებიც თავიანთი განლაგებით, კოპწია ეზო-კარმიდამოთი, სახლებით, შრომელ-ბურულებით ხომ ხელთუქმნელი ძეგლებია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში სოფელი არ არის, რომელიც მშრომელთა დასვენების კერად და ტურისტთა თვალსაწიერად არ გამოდგეს. მარტო ონის რაიონში — ქრისტესი, ხირხონისი, ბაჯიხევი — ხის ძელებით მოგებული შუკებით, ღუნდა, სორგითი, ჩორდი — უზადო, ჩუქურთმებით ამღერებული ოდა-სახლებით, ჯოისუბანი, სევა ძველთაძველი ეკლესია-მონასტრებით და მრავალი ნაციხვარ-ნაკოშკარით. ასევე შარდომეთი და ფარახეთი — მესტვირეთა საბუდრები, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ამრიგად, ამბროლაურში ახალგაზრდობის სავანის, ღია ცისქვეშ მუზეუმის და მშრომელთა დასვენების კომპლექსური კერის დაარსება, ამ თვალთახედვით რაჭა-ლეჩხუმის შემდგომ ათვისებას დაუდებს სათავეს. კარგად მოვლილი ბუნებისა და ისტორიული ძეგლები ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილდღეობის წყაროდ გადაიქცევა. მომსახურების გაზრდილი სფერო მშრომელებს ზამთარ-ზაფხულ დასაქმების შესაძლებლობას მისცემს. კარმიდამოში მოწვეულ ჭარბ მოსავალს ბაზარს ვაუჩენს. რაც მთავარია, რაჭა განაპირა, ინდუსტრიულ ცენტრებს მოწყვეტილ კუთხედ აღარ დარჩება. ყველა მნიშვნელოვან ძეგლთან გზის გაყვანა-სრულყოფა მიმოსვლას გააადვილებს, სოფლები ხალხმრავალი გახდება, გაჩაღდება აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, გაჩნდება მოთხოვნილება საოჯახო ნაწარმზე, ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინარეწვის ნიმუშებზე. სხვა ფაქტორებთან ერთად, ასეთი საშუალებებითაც თანდათან უკან დაიწევს მიგრაციის გამანადგურებელი სენი.

უცხოეთის მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, შუა აზიაში საკმაო ხანია მატერიალური კულტურის ძეგლები კეთილდღეობის წყაროსთვლად გახადეს. მარტო თბილისიდან უზბეკეთში უამრავი ექსკურსია მიდის, რათა სამარყანდის, ბუხარისა და ხივის სიძველეები იხილონ. არა მგონია ამ მარშრუტზე ნაკლები იყოს ქუთაისი, მოწამეთა, გელათი, ნიკორწმინდა, ამბროლაული (მომავალი ღია ცისქვეშ მუზეუმით, ახლგაზრდობის სავანით, კეთილმოწყობილი კრიხულის ხეობით, ბარაკონით. ხიდიკარით); ონის რაიონში სორის მონასტერი, მრავალძლის თვალშეუდგამი ტაძარი, ჯოისუბნისა და სხიერის ეკლესიები, უწერა და შოვი, გლოლისა და ღების ძველი უბნები, ღების მთამაღლის მაღაროები — კაცობრიობის ისტორიაში პირველადი მეტალურგიის კერები, ლეგენდარული ფაზისის წარმტაცი სათავეები, მსოფლიოში უპირველესი მელითონეთა ქალაქი ბრილი და მისი გასაოცარი სამაროვანი, წედერი „რკინის კაცები" და სარკინეთი,

სადაც ყველაზე გვიანობამდე შემოინახა რკინის მადნის მოპოვებადაწურვის ხალხური წესი და მჭედლობა, თითქოს „ბიბლიის“ ცნობების ცოცხალ დასტურად.

ცივილიზაციის საწყისთა ასეთი მოჯარება არცერთ ქვეყანას არ ახასიათებს. ქვის ხანის კულტურას ფლობენ წონის, კუდარის, ქვედის და უშოლთის გვირაბ-წკვარამები. საგანგებო შესწავლას მოითხოვს ცახის გამოქვაბული! — მიწისქვეშეთი, მრავალი მღვიმე, „სასულე“, „სათვალე“, „სახიზარი“...

ვისაც მოწმენდილი ცისფერი ქვედის ტბა უნახავს, რა დაავიწყებს მის ლაჟვარდებს და სანაპიროთა ხალას სიმწვანეს. მართლაც გენიალური შემოქმედია ბუნება, აგერ ჩვენ თვალწინ ქვედის ტბის მსგავს სასწაულებს რომ ქმნის.

ისტორიის მძლავრი სუნთქვა არა მარტო ძეგლებში იგრძნობა, არამედ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, მცხოვრებთა საქმიანობასა, ხასიათსა და მალალ შინაგან კულტურაში. დიახ, ყოველივე ამას მიგნება, შოვლა და მიზნობრივად გამოყენება სჭირდება. სიმდიდრის ნატვრისთვალი ჩვენს ხელთაა, ოღონდ მარტო ნატვრა და ოცნება არ კმარა. პრაქტიკული საქმიანობის კარგ დასაწყისად ამბროლაურში ახალგაზრდობის სავანისა და ღია ცისქვეშ მუზეუმის დაარსების განზრახვა გვესახება. ამდენად, „ოცნებას რომ საზღვარი ჰქონდეს“, ჯერ ამ სადღეისოდ გადასაწყვეტ საკითხებზე ვიმსჯელოთ, ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გადავჭრათ, ოღონდ რაც შეიძლება მალე მოვაბათ თავი სათქმელსაც და საქმესაც.

ვფიქრობ, პრობლემა ადვილად გადაწყდება, თუ წილობრივი მონაწილეობით შესაბამისი უწყებები (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო გზების, მშენებლობის სამინისტროები, ცეკავშირი, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო, ინტურისტი, აგრომრეწვი. ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი და სხვ.) გაირჯებიან და მათი პროფილის შესაბამის ობიექტებს მიხედავენ. რაც მთავარია, ჩაფიქრებული მშენებლობებისათვის მუშახელი და სამშენებლო მასალები ადგილზევე გამოინახება.

მჯერა დასახული მიზნის კეთილშობილება სათანადო მონდომებასა და ენთუზიაზმს წარმოშობს, რაც უსათუოდ მისაღწეველის მიღწევის საწინდარი გახდება.

საქართველოს სსრ ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სახსრები გამოჰყო და ამბროლაურში „ახალგაზრდობის სავანის“ აგება იკისრა. მშენებლობა უკვე მიმდინარეობს, ვიმედოვნებთ, ის მალე დამთავრდება და დროულად შეასრულებს კეთილშობილ მისიას: შექმნის თა-

ვისუფალი დროის გონივრულად გამოყენების ჯანსაღ ატმოსფეროს, მიიზიდავს მთელი რაიონის ახალგაზრდობას და სრულფასოვნად დააკმაყოფილებს მათ სულიერ მოთხოვნილებებს. მოზარდი თაობის სწორი ესთეტიკური აღზრდისათვის, ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით, ყველა თანამედროვე მეთოდს გაითვალისწინებს; შეარჩევს და დააოჯახებს წყვილებს, ეროვნული ჩვეულებებიდან გამომდინარე ისეთ რიტუალებს (ქორწინება, ნათლობა და სხვა) შეიმუშავებს, რომლებიც მოსახლეობის მაღალ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, თან პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთების გაღვიძებას შეუწყობს ხელს.

ასეთია ჩემი ფიქრი და ოცნება. დღეს, როცა ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი განუზომლად გაიზარდა. ადგილებზე წარსულისა და აწმყოს მიზნობრივი შეთანაწყობა თუ არ მოხდა, დასაქმებისა და დასვენების ურთიერთმიმართება კომპლექსურად თუ არ გადაწყდა, თუ ყოფითი პრობლემები ამომწურავად არ მოგვარდა, მიგრაციის პროცესი არ შეჩერდება. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ეკონომიკის გამოსწორების ღონისძიებანი და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. სამუზეუმო საქმე და ტურიზმი, რა თქმა უნდა, ნაწილია ფართო პროგრამისა, რამაც რაჭა გადაშენებისაგან უნდა იხსნას. ასეთი პროგრამის შემუშავებას ცდილობდა ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის შემადგენლობაში ყველა დარგის თვალსაჩინო მეცნიერმა მოიყარა თავი. ქვეყნის მმართველი კომპარტიის მიერ დაკანონებულია, რომ მეცნიერული საფუძვლების გარეშე პრაქტიკული საქმიანობა არ უნდა წარიმართოს. სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება ახლაც ხშირად ირღვევა და როგორც მატერიალური, ისე მორალური ზარალი განუზომელია.

* * *

1983 წლის 12 იანვარს გაზეთმა „კომუნისტმა" (№ 9, გვ. 4) ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის ნაყოფიერ მუშაობას ვრცელი სტატია უძღვნა და ჩატარებულ ღონისძიებებს მაღალი შეფასება მისცა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ნიკორწმინდელთა უნივერსიტეტმა ახალი ფურცელი გადაშალა სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში". 1984 წელს გარდაიცვალა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ნიკოლოზ ლანდია. უნივერსიტეტს სათავეში ჩაუდგა მწერალი ვურამ ფანჯიკიძე. მეცნიერებისა და მწერლების შემოქმედებითმა კავშირმა ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა უფრო გააცხოველა. ნიკორწმინდაში მისი თითოეული მეცადინეობა ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. აი რას წერს გაზეთი „კომუნისტი", რუბ-

რიკის ქვეშ — „სახალხო დღესასწაულები", „ნიკორწმინდა — ცოდნის შუქი": ჩვენს დღეებში ახალი სიცოცხლე შეიძინა ძველი ქართული კულტურის ძეგლმა ნიკორწმინდამ. უკვე ხუთი წელია აქ მუშაობს სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ცოდნის შუქი მოაქვს რაიონის მშრომელებისათვის, აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მაღალი მთის კუთხის რაჭის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ხშირად იმართება უნივერსიტეტის მეცადინეობები, რომლებშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის კულტურის მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები, ამბროლაურისა და ონის რაიონების მშრომელები.

რეგიონის ცხოვრებაში სოფლის სახალხო უნივერსიტეტის წინა წლებში გაწეული მუშაობისა და სამერმისო პერსპექტივების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ჩლაიძემ, ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გ. ფანჯიკიძემ, პროფესორმა რ. მეტრეველმა, პოეტებმა მ. ლებანიძემ, ტ. ჭანტურიამ, მეცადინეობის სხვა მონაწილეებმა. მათ წუთიერი დუმილით პატივი სცეს ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის პირველი რექტორის აკადემიკოს ნ. ლანდიას ხსოვნას.

დღეს ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ კულტურის კერის მნიშვნელობა ახლომახლო რაიონების მცხოვრებლებისათვის. აქ რეგულარულად ეწყობა მეცადინეობანი, რომელზედაც მშრომელები ეცნობიან რესპუბლიკისა და ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მოწინავე გამოცდილებას, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამეცნიერო ცოდნის საფუძვლებს, ხვდებიან რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს" (კომუნისტი, 1984, № 158, 10 ივლისი, გვ. 4).

ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის რექტორატი საგანგებოდ დაინტერესდა ამბროლაურის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი აღზრდის პრობლემებით, რადგან აღმოჩნდა, რომ ამბროლაურის რაიონიდან პატიმართა რიცხვი საგანგებო რაოდენობას აღწევდა. თავდადებული შრომითა და პატიოსნებით განთქმული ქვემო რაჭა საქმოსანთა თავაშვებული, შეუხლუდველი პარპაშის შედეგად დამნაშავეთა ბუდედ იქცა. „წვენების დამაშვრალებლებმა" ასობით ადამიანი ჩაითრიეს და ობობასავით ბოროტმოქმედებათა ქსელში გახვიეს. საზოგადოებრივ საწყისებზე მოწვეულმა იურისტებმა აკაკი გოგობერიშვილმა და ვახტანგ ველიაშვილმა დიდი შრომა გასწიეს, ათეულობით მრავალტომიანი საქმე შეისწავლეს და პატიმართა შეწყალებისათვის ასეულობით საბუთი მოამზადეს. 1984 წლის 9 ოქტომბერს ნიკორწმინდაში ხალხმრავალი ფორუმი გაიმართა, რომელზედაც მოხსენებებით წარსდგნენ რესპუბლიკის მა-

შინდელი იუსტიციის მინისტრი და პროკურორის მოადგილე, ამჟამად საქართველოს სსრ-ის პროკურორი ვახტანგ რაზმაძე. შეკრებას ასობით ადგილობრივ მშრომელთან ერთად, ესწრებოდნენ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები: ირ. აბაშიძე, მ. ლებანიძე, მ. ფოცხიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ჯავახაძე, ლ. სანიკიძე, გ. ფანჯიკიძე, რ. ჯაფარიძე, რ. მეტრეველი, გ. ჯიბლაძე და სხვები.

პატიმართა ვადაზე ადრე განთავისუფლებისათვის გადაწყდა, რომ საგანგებო თხოვნა წარგზავნილიყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რაც განხორციელდა კიდეც. უმაღლეს დონეზე საკითხი დადებითად გადაწყდა, მაგრამ ბიუროკრატებმა მაინც შესძლეს ათასი დაბრკოლების შექმნა და რაჭველი პატიმრების უმეტესობას ადრე განთავისუფლება — შეწყალება არ მოუწიათ. ფაქტიურად, მათ ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტიდან მხოლოდ მორალური მხარდაჭერა მიიღეს.

ასეთი იყო ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა, რომელიც 1986 წელს რატომღაც შეწყდა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ ხელისუფალთა გულგრილობის გამო. უნივერსიტეტის რექტორატის და რესპუბლიკის შესაბამის უწყებათა მცდელობა ამაო გამოდგა. მასპინძელმა თუ არ მიგიწვია, მასთან სტუმრად ვერ მიხვალ, ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტი თბილისში მეცადინეობებს ვერ გამართავდა და მან ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. ამ დროს ამბროლაურის გაზეთ „კომუნიზმის დროშაში" გაჩაღდა კამპანია ახალი რაიონული დღესასწაულის შექმნისათვის. დაიბეჭდა მრავალი წერილი, გამოხმაურება, აზრი და არავის გახსენებია, რომ რაიონში არებობდა და მოქმედებდა ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის მეცადინეობები სახალხო დღესასწაულში თავისთავად გადაიზარდა, რაზედაც თავის დროზე ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესა ამდენს წერდა.

* * *

არცერთი სახალხო დღესასწაული, რომელიც ქართველი ხალხის მრავალათასწლოვანი არსებობის მანძილზე შეიქმნა, დროის ვამოცდას გაუძლო და დღემდე მოვიდა, შემთხვევით, ვინმეს ნება-სურვილით არ წარმოშობილა. დღესასწაულში ჩაქსოვილია მოცემული კუთხის, სოფლის საზოგადო და საოჯახო ყოფის თავისებურებანი: დღესასწაული სამეურნეო საქმიანობის, შრომისა და დასვენების შეთანაწყობის სინთეზია. მას ფიქციედ ვანსაზღვრული დრო და თარიღი აქვს, გამომდინარე მოცემული კუთხის, სოფლის ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიდან და აქედან განპირობებული სამუშაოთა ალის გო-

ნივრული განაწილებიდან. ყოველი სახალხო დღესასწაული უაღრესად ფუნქციურია. იქ ზედმეტი, გადაჭარბებული, ბუტაფორიული არასდროს არაფერი ყოფილა. როგორც წესი, ეძღვნებოდა რა კალენდარული ციკლის ამომწურავი გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი წლიური სამუშაოს დაწყებას ან დამთავრებას, ახდენდა მშრომელთა მობილიზაციას, დასვენება შრომით წარმატებას ემსახურებოდა. ხალხის შეკრება ზებუნებრივი ძალების გულისმოგებასთან ერთად, ქეიფს, დროსტარებას, ურთიერთდამოყვრებას, ოჯახების შექმნას, სპორტულ შეჯიბრებებს, ვაჭრობას და ნაშრომ-ნაღვაწის გაცვლას გულისხმობდა. დღესასწაული მარტო ცხოვრებისეული და ამ ცხოვრების გამალაზებელი მოვლენა კი არ იყო, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობა, ყოველდღიური შრომის გვირგვინი, ძალის მოსაკრები უებრო საშუალება. სწორედ ამიტომ ძველი ქართული სახალხო დღესასწაულები ახალმა რელიგიურმა მოძღვრებამ ქრისტიანობამ არა თუ მიიღო, საკუთარი იდეოლოგიის ბურჯ-საძირკვლადაც გამოიყენა. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ანტირელიგიური კამპანიის შედეგად, სახალხო დღესასწაულებსაც დიდი ზიანი მიადგა. გაიაფდა მათდამი დამოკიდებულება, რაც დღესაც არ არის დაძლეული. სწორედ ამის შედეგია, რომ მრავალი ახალი დღესასწაული შემოვიღეთ (იხ. სავანგებოდ გამოცემული კალენდრები), რომელთაც არავითარი ეროვნულ-ტრადიციული საყრდენი არ გააჩნიათ და ვიღაცის ნება-სურვილზე არიან დამოკიდებული. ისინი თებერვლის ყვავილივით გაიშლებიან და მაშინვე ქრებიან. დღესასწაულის წარმოქმნა-დამკვიდრებას არ ყოფნის „აქტივის" ძალისხმევა, მიტინგობანა და გრძელი სუფრები. სანამ ტრადიციული სახალხო დღესასწაულები მიჩქმალული გვექნება, ჩვენი მოგონილი ზეიმობანი ხალხში ფეხს ვერ მოიკიდებს. ტრადიციას დიდი ძალა აქვს, აწმყო წარსულის გარეშე წარმოუდგენელია. ეს საკითხები რესპუბლიკის მასშტაბით მოელის გადაწყვეტას და სანამ ქართულ ხალხურ დღეობათა სრულყოფილი, ამომწურავი კალენდარი არ გვექნება, ამ საქმეს არაფერი ეშველება. ამრიგად, ამბროლაურშიც ის გაკეთდა, რაც სხვაგან, „აქტივს" დღესასწაული სჭირდებოდა და დააწესა კიდეც — „ფუძეობა", ოღონდ სამ წელიწადში ერთხელ უნდა გამართონ, რადგან ყოველ წელს ძნელია ამდენი შრომის გაწევა და ხარჯი. რა თქმა უნდა, ასეთი დღესასწაული ცხოვრებაში ვერ დამკვიდრდება და მალე უკვალოდ გაქრება. სახალხო დღესასწაულს ხალხი უნდა მართავდეს თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით და ენერგიით. ძველ დღესასწაულზე მთავრობას და ეკლესიას არცერთი კაპიკი არ დაუხარჯავს, არც არავის უხმობდნენ და მოჰყავდათ, საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული

სცენარით, დანიშნულ დროს ყველაფერი თავისთავად, უმტკივნეულოდ კეთდებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, ახალი დღესასწაულები კი არ უნდა გამოვიგონოთ, არამედ კარგად ორგანიზებული სახალხო უნივერსიტეტების და აკადემიების მეშვეობით, რაც მეცნიერთა, მწერალთა და საერთოდ საზოგადო მოღვაწეთა ორგანიზების ერთ-ერთი ეფექტური გზაა, ტრადიციული სახალხო დღესასწაულები უნდა აღვადგინოთ, ბუნებრივია, სათანადო შესწავლისა თანამედროვეობის შესაბამისად გააზრების შემდეგ. ორიოდე მაგალითს, ამჯერად რაჭის სინამდვილიდან მოვიტანთ.

ისევე როგორც ყველგან, საქართველოში, რაჭის თითოეულ სოფელს საკუთარი დღესასწაული ჰქონდა წლის სხვადასხვა დროს, ჰავისა და სამუშაოთა რიგის მიხედვით. სცენარი მარტივი, მაგრამ სრულყოფილი იყო: ყველა ოჯახს თავისი სტუმარი ჰყავდა — სისხლით ნათესავები, მოყვარე-მოკეთეები, კერძ-მცნაურები თუ მეგობრები. ერთობლივად წირვას ესწრებოდნენ და სტუმართა სიმრავლით თავს იწონებდნენ. იქვე ეკლესიასთან ახლოს, საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილ მინდორზე ჯარიანობა იმართებოდა. სპორტულ შეჯიბრებებს (ჭიდაობა, ჯილდაობა, დოღი, ჯირითი, ნაბდებზე ხტომა და ა. შ.) ცეკვა-თამაში, „ქალის გადანახულება" და ათასნაირი თავშექცევა მოჰყვებოდა. ბოლოს ხალხი დაიშლებოდა და სტუმრები მასპინძლებთან ერთად საოჯახო ლხინს მიეცემოდნენ. გლეხკაცი მთელი წელი შრომობდა, რომ სოფლის მამაპაპურ დღეობას პირნათლად შეხვედროდა, ენახა, მოეკითხა ნათესავები და სასურველი ადამიანები, გასცნობოდნენ ერთმანეთის მონაგარს — ახალთაობას, რათა ურთიერთსიახლოვე და სიყვარული შთამომავლობას გადასცემოდა.

სასოფლო დღეობებს გარდა იყო სათემო დღესასწაულები. ქვემო რაჭაში ასეთნაირად დარჩა ლაბეჭინის კოხინჯვრობა-კოხინარობა (ძვ. სტ. 7—8 მაისი), სადაც რაჭა-ლეჩხუმის მახლობელი სოფლების მაცხოვრებლები იყრიდნენ თავს. ზემო რაჭაში პირველობდა მრავალძლის მარიამობა (ახ. სტ. 28 აგვისტო), სხიერობა (აგვისტოს მეორე კვირა) და საჯვარობა (აღდგომის მერვე კვირა). ლაბეჭინის დღესასწაული უგზო-უკვლოდ დარჩენილ ტაძართან ერთად სულთმობრძავია. ასევე კვდება სხიერობაც, რომლის მეოხებითაც მეურნენი მაღალი მთის საძოვრებიდან ხარების ჯოგის ჩემორეკვას და თიბვა-მკის დაწყება-დამთავრებას საზღვრავდნენ. 1988 წელს სხიერობის დღესასწაულს საგანგებოდ დავესწარი, უფრო სწორად, მისი საცოდავი ნაშთი ვნახე. ვინაიდან სოფელი სხიერი უგზოდაა დარჩენილი, სოფელიც გაქრობის პირასაა, იოლი გამოსავალი გამოუნახავთ, დღესასწაულს ხირხონისის ეკლესიასთან მართავენ, რომელიც სხიერის ტაძრის სახელობაზეა აგებული („წმინდა გიორგის უძრავი მირიანეული").

ამჟამად ხირხონისის ეკლესიის ჩამოქცეული კედლებიღაა დარჩენილი. მის აღსადგენად ექიმმა იური (გრიგოლ) ბურდილაძემ საკუთარი დანაზოგიდან ამაოდ გაიღო თვრამეტი ათასი მანეთი.

დღესასწაულს სახე დაკარგული აქვს, ეკლესიასთან, მინდორში, სამანქანო გზის პირას, სუფრებს შლიან და ლხინობენ. ვისაც შეთქმული აქვს, სალოცავს სამჯერ შემოუვლის და ნანგრევებზე სანთლებს აანთებს. მსხვერპლად სწირავენ ცხვრებსა და ქათმებს, რომელთა ხორცს იქვე მოიხმარნენ. ვინც ცოცხლად გაუშვებს (შეთქმაზეა), სხვა დაეპატრონება, დაკლავს და შეექცევა, რადგან ეკლესიიდან რაიმეს წაღება — „არ ვარგია", ერთი სიტყვით, ტაბუ ჯერ კიდევ ძალაშია.

„ძველ სხიერზე" — „უძრავ მირიანეულზე", აწ უმოწყალოდ გაპარტახებულ ზემო რაჭის ერთ-ერთ უმშვენიერეს ტაძართან ძლივს ავაღწიეთ. იქ მხოლოდ „კორტოხს შერჩენილ" ორ კომლს გაეშალა სუფრა. შეიძლება ითქვას, სხიერობა როგორც სახალხო დღესასწაული აღარ არსებობს. დიახ, სამწუხარო დასკვნაა.

ეკლესიურობით ხალხმრავლობას მრავალძლის მარიამობა ინარჩუნებს, ოღონდ მისი შინაარსი დაკარგულია. ეს უფრო ინერციაა, ვიდრე წინაპართა ვალის აღსრულება.

განსაკუთრებული მდგომარეობაა ღარის საჯვარეობასთან დაკავშირებით. საჯვარეობა ადრე მხოლოდ ღარის დღეობა იყო, ახლა მთელი ზემო რაჭის სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. სხიერობის დამცროლამ მას აშკარად შემატა ძალა. მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ ხალხს ტრადიციული დღესასწაულისადმი მისწრაფება არ განელებია. საჯვარეობაში თავისებურად გამოიკვეთა ცხენის კულტი. მიუხედავად იმისა, რომ რაჭაში ცხენები ძალიან ცოტა დარჩა, მოხალისე მხედრები დიდი ქირის ფასად მათ შოვნას მაინც ახერხებენ. ზოგიერთი ოსეთში გადადის და იქედან ამხედრებული ბრუნდება. ცხენოსნები თავს იყრიან ქვემო ღარის ნაეკლესიართან, სადაც ახლა ომში დაღუპულთა მემორიალია. უნაგირების ხელნაზე გადაკიდებული აბგებიდან და ხურჯინებიდან სამსხვერპლო ცხვრებს თავები აქვთ ამოყოფილი. მეორე თვალში სანოვაგე და ღვინით სავსე ტიკჭორაა მოთავსებული. ვისაც შესაძლებლობა აქვს, ქართულადაა შემოსილი. ნაეკლესიართან მცირე ჯირითი იმართება. წინაპართა საფლავებს და ომში დაღუპულთა ძეგლს სამჯერ წრეს დაარტყამენ და შემდეგ ღარულას სათაეებისაკენ გუნდგუნდად გასწევენ. იქ კვაჟას მთაში ღარელთა უძველესი სალოცავი ჯვარი მდებარეობს. უამრავი ხალხია შეკრებილი და რჩეულებს სიხარულის შეძახილებით და სიმღერებით აცილებენ. წარგზავნილებმა ჯვრის სალოცავი უნდა მოიკითხონ, მიუვალ კბოდეზე

აალწიონ. შესაწირავი მიიტანონ (ფული და ნივთები — ვის რა აქვს შეთვმული), სანთლები აანთონ, ილოცონ, წესს რომ აღასრულებენ, იქვე ტაფობზე ნაბდებს გაშლიან, ჩამოსხდებიან, ცოტას შეისვენებენ, ცხენებს საძოვარზე მიუშვებენ, მერე კოცონებს გააჩაღებენ. წმინდა სანთლით სამსხვერპლო ცხვარს (ჩვეულებრივ, მამრობითი სქესისას) შუბლს შეუტრუსავენ, ჯვარს გამოსახავენ და ბასრი დანით ყელს გამოჭრიან. სწრაფად გაატყავებენ, მოხარშავენ, კოცონებთან ჯგუფ-ჯგუფად დასხდებიან და ღამეულ ლხინს მიეცემიან. არის თამადობა, ერთმანეთის „მოსაკითხით მოკითხვა". სიმღერები „რამდენიმე პირულია": ერთი ჯგუფი იწყებს, მეორე აიტაცებს, მესამე, მეათე და ა. შ. დრო და დრო ფერხულებს ჩაბამენ და ასე ლხინსა და შექცევაში გა-ათენებენ. თუ ვინმე ჭინჭყლობას დაიწყებს და ქეიფის ჰარმონიას და-არღვევს, მკაცრად გააფრხილებენ. როცა სიტყვა არ გაჭრის, აღვი-რით ხეზე მიაბამენ და დილამდე ასე დატოვებენ, დილით გაუშვებენ და ის სოფელში თავისი ცხენით მარტო უნდა ჩამოვიდეს, ადათის დამრღვევს არცერთი ჯგუფი არ მიიკარებს. მლოცველები გათენებულს წამოვლენენ. „ფლეხის სადილობას" (12—13 საათზე) მათ „საჯვარეზე" (სოფ. ღარის თავზე ქედია, ძველად ღარი მის ზურგზე ყოფილა გან-ლაგებული, იქ არის მამაპაპათა ნასახლარები, წმინდა ნიშები და საძ-ვალეები) უამრავი ხალხი ელოდება. ყველა გვარს, ბაბუაშვილობას და ოჯახს თავისი სუფრა აქვს გაშლილი. არავინ არ სხდება, ცხენოსნების დაბრუნებას უცდიან. მხურვალე მზე ფიქვნარში ჩამოიხედავს და მახარობელი მხედრის ლაფშას თქარუნ-ჭიხვინიც გაისმება. მხიარუ-ლი ყიჟინით, დოღში გამარჯვებული მხედარი ყვავილებით მოქარგულ მდელოზე ცხენს ყალყზე შეაყენებს. მოწონების ნიშნად ხალხი გუ-გუნებს, აღტაცებული გოგონები წიოკობენ. ამ დროს სხვა მხედრებიც მოვარდებიან. ჯერ მცირე ჯგუფებად მერმე მთელი ლაშქარი. მინდო-რი ცხენოსნებით აივსება. ლურჯთვალა ყვავილები ფლოქვებს ქვეშ სულს ლევენ. გაოფლილ ცხენებზე მორბედი ბიჭები სხდებიან, მხედ-რობის ყინსაც იკლავენ და თან ცხენებს ატარებენ. რათა გადაღლი-ლობისაგან არ „დაიცადონ". ბიჭოს, გოგონებიც ამხედრებულან. ში-შით კანკალებენ, აღვირს ვერ იჭერენ, უნაგირის ხელნას ებღაუჭები-ან. თანატოლი ბიჭები პატრონობენ და ამხნევებენ. ცხენთა ფრუ-ტუნ-ჭიხვინი და მათი ოფლის მძაფრი სუნი. ისეთ გრძნობას აღვიძებს, თითქოს საუკუნეების უსაშველო სიღრმეებიდან ჩვენი წინაპრები დაგვიბრუნდნენ. თითქოს მამულისათვის თავდადებულთა ყვავილ-ვენსნის. არა. ჩვენ არ გადავშენდებით, რაჭაში კიდევ არიან მხედრე-ბი, სალოცავების მომკითხველნი. ღვთისა და ერის პასუხის გამცემნი. სადაც არ უნდა იყოს „ღარველი კაცი" წასული. საჯვარეობა ღღეს აუცილებლად სოფელში ჩამოვა და საკუთარი ფუძის, წინაპართა, მო-

ყვრებისა და მეზობლების წინაშე წმინდა ვალს მოიხდის. 1988 წლის 4 ივნისს საჯვარეობაზე რუსეთის ქალაქებიდან, თვით ვლადივოსტოკიდან ჩამოსულებიც ვნახეთ. ასეთი ძალა აქვს ტრადიციას. ჩვენი ტელეგადამღები ჯგუფი სოფელმა ზეიმით მიიღო. ცდილობდნენ ყველაფერი გადაგვეღო, სახეზე ნათელი ეფინათ, ფერხულში თვით მოხუცებიც ჩაებნენ, საამო სიმღერები დააგუგუნეს. მხედრები, „ვისაც სად მიესვლებოდა", იმის მიხედვით ვრცელ სუფრებს შეერივნენ. საყოველთაო ლხინი შესაშური წესრიგით მიმდინარეობდა. აქაც ერთმანეთს „მოსაკითხს" უგზავნიდნენ, „სიყვარულობდნენ", „ირემმა ირემს ბალახი ჩიაწოდაო"; ორპირული კი არა, ცხრაპირული სიმღერები ზეცას სწვდებოდა, „ფერხულები ცხრათავიანი დევის წარბებივით იგრიხებოდნენ". ეს გაბღდათ უზადო სახალხო ზეიმი, ხალხის ნებასურვილის, შთამომავლობითი კოდის, უკვდავების გამოვლინება. სიხარულის ცრემლებით ამევსო თვალები, ვიწამე, დავიჯერე, რომ რაჭას სიკვდილი არ უწერია, თუ ხალხის სურვილს და მისწრაფებას წინ არავინ აღუდგება, თუ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ბოლოს და ბოლოს, მამაპაპური წეს-ჩვეულებების მიხედვით ცხოვრებას დაავანებებთ...

მზე „სასამხროზე შემოჯდა" და ანაზდეულად ხასხასა, ლუჯ ზეცას ყომრალი ღრუბლები წამოეძალა. ხალხი აფუსფუსდა და აიშალა. როგორც წესი, ნაშუადღევს საჯვაროებას წვიმა ჰოდის, „ღვთის ნება" ახლაც შესრულდა და მაისის იჩქიტმა ისხარმა მიდამო მორწყო. ხალხს თავიც არსად შეუფარებია — საყოველთაო განათვლაია, საჯვარეობის წვიმა. სოფლისაკენ ნელ-ნელა ეშვებოდნენ, ყველამ თანაბრად მიიღო საჯვარობის „ნათლობა და მირონი", სტუმრებმაც და მასპინძლებმაც. ცხენოსნები თითო-თითოდ მიმოიფანტნენ. ქვემო ღარის შარა ავტომანქანებს დაეფარა. ნაწვიმარზე მზემ ნაზეიმარ სოფელს ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი და დასალერში, ხვამლის მთის მიღმა ჩაიძირა. მთებს მწუხრი წამოეძალა, სამაგიეროდ, ყოველი სახლიდან მხიარული სიმღერები ისმოდა, ხარობდნენ სტუმართმოყვარე ოჯახები. დიახ, რაჭა ჯერ კიდევ ცოცხალია, რაჭველებს ჯერ კიდევ შესწევთ ძალა წარსულის ვალიც მოიხადონ და თანამედროვე მოთხოვნებსაც უპასუხონ, ოღონდ ხელს მათ ნურავინ შეუშლის, ხელს კი, სამწუხაროდ, ისევ უშლიან, რაღა გაემტყუნება 20-30-იან წლებს, როდესაც სახალხო დღესასწაულებისადმი მცდარი დამოკიდებულება დღესაც ვერ დაგვიძლევია. ისევ ებრძვიან საჯვაროებას, რადგან მას „საჯვაროება" ჰქვია და რელიგიურ დღესასწაულად ითვლება. ამიტომ 1988 წლის 4 ივნისს, როცა იქ ტელეგადამღები ჯგუფი ჩავიდა, აქტივი და ვერცერთი თანამდებობის პირი ვერ იხილა. თურმე „ვისაც ხელეწიფების". იმას საგანგებო თათბირი მოუწვევია და

პასუხისმგებელი მუშაკები სასტიკად გაუფრთხილებია, რომ რაიონს აქვს ახალი სახალხო დღესასწაული „ალიოშობა“, ამიტომ რელიგიურ დღესასწაულებში და ამჯერად საჯვარეობაზე მონაწილეობა არავინ გაბედოსო, თორემ დაისჯებაო. მუქარამ გასჭრა, საჯვარეობას „აქტივმა“ ზურგი შეაქცია, თუმცა იქ ყველა მათგანის ოჯახებიდან ახალგაზრდობა მაინც გაიპარა... უაზრობაა დინების წინააღმდეგ წასვლა, ხალხი სადაც არის, აქტივიც იქ უნდა იყოს. მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, რომ დღემდე შემონახული ქართული სახალხო დღესასწაულები ყველა რელიგიაზე უძველესია და თვითმყობადი, ადგილობრივი, ორიგინალური სახის მატარებელია. ის რაც ხალხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, შეუძლებელია ხელოვნურად აღმოიფხვრას, მითუმეტეს „ალიოშობის“ დაპირისპირებით. ამ „დაპირისპირებამ“, ამ მცდარმა, არამეცნიერულმა მიდგომამ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა ძალიან დააზარალა. დასანანია, რომ გაცვეთილ სტერეოტიპებს ამჯერადაც ვერ შეველიეთ და ველოსიპედს ხელახლა ვიგონებთ. ამისი დასტურია ახალი დღესასწაული — „ალიოშობა“, დაკავშირებული ცნობილ რევოლუციონერთან, ბაქოს 26 კომისრიდან ერთ-ერთთან — ალიოშა ჯაფარიძესთან, რომელიც წარმოშობით ონის რაიონის სოფელ შარდომეთიდან იყო. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1980 წელს ჯაფარიძის დაბადების 100 წლის თავზე, ონის რაიონში დაეარსებინათ „ალიოშობის“ დღესასწაული, ქალაქის შესასვლელთან დაედგათ მისი საკმაოდ ოდიოზური ძეგლი და ყოველ წელს ხელმძღვანელთა და აქტივის ძალისხმევა ამ დღესასწაულის აღნიშვნას ხმარდება. ლეგენდარული კომისრის ხსოვნას ხალხი პატივს სცემს, მაგრამ დღესასწაულის დონეზე მისი გაზრება უჭირს, ნაძალადევი დღესასწაული კი ყოვლად წარმოუდგენელია. ეს არც დღესასწაულის ადრესატს აძლევს ხელს და არც მის ორგანიზატორებს. ღონისძიების ჩატარება და ძეგლის დადგმა შეიძლება, მაგრამ ერთდროული ღონისძიება სახალხო დღესასწაულად იქცეს, ძალიან ძნელია, ჩემი აზრით, გამორიცხულია. სამწუხაროდ, ასეთი მისწრაფება მხოლოდ ონისათვის არ არის დამახასიათებელი. რესპუბლიკაში ჩატარებულ მსგავს ღონისძიებებს „დღესასწაულები“ უწოდეს და კალენდრებიც კი გამოსცეს, თუმცა ცხოვრება თავისი გზით მიდის, ხოლო ღონისძიება განზე რჩება და ერის არსებობაში ვერავითარ კვალს ვერ ტოვებს. დიდი წინასწარმეტყველება არ სჭირდება, ვერც ამბროლაურის „ფუძეობა“ და ვერც ონის „ალიოშობა“ დროის გამოცდას ვერ გაუძლებენ, ორივენი უკვალოდ გაქრებიან, ხოლო სანამ სოფელი ღარი იარსებებს, საჯვაროება მანამდე იქნება. ბუნებრივია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სოფელი ღარი ღარად დარჩეს. სხი-

ერობის სიკვდილი სოფელ სხიერის გაუქმებამ გამოიწვია. თუ სოფელი მრავალძალი არ იქნა, მრავალძლის მარიამობაც მოისპობა და რომ ეს ასე არ მოხდეს, ამისათვის უნდა დავარისხოთ ზარები. ახლა ერის გამოღვიძების ამ საპასუხისმგებლო ჟამს, როცა გარდაქმნა ყოფნა-არყოფნის აუცილებლობა გახდა, როცა ყველა სასიცოცხლო ძალა ერთ მიზანს — ერის სიმრავლეს და დღეგრძელობას უნდა ემსახურებოდეს, როცა ეკლესიის ჰიმართ დამოკიდებულება მთლიანად შეიცვალა, ეროვნულ ტრადიციებს განსაკუთრებული სიფრთხილით. სათუთად უნდა მოვეპყრათ. ახლის გამოგონების ნაცვლად უმჯობესია წინაპართა მემკვიდრეობას მიეხედოთ. უბრალო ჭეშმარიტებაა — ფესვის გარეშე ვერცერთი ხე ვერ იხარებს.

* * *

რაჭა რომ გადარჩეს, წინაპართა მთელი გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ და მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს შევუხამოთ. სხვა გზა არ არსებობს, არც მარტო ძველი გვიშველის და არც მარტო ახალი, შედეგი მხოლოდ ორივეს შეთანაწყობით მიიღება. მთავარია დღევანდელ პირობებში ამ კუთხის არსებობის პროფილი განისაზღვროს. ბუნებით უხვად დასაჩუქრებულ რაჭას, როგორც ითქვა, ისევე ზღაპრულმა ბუნებამ უნდა უშველოს, სახელდობრ კურორტებმა და ტურიზმმა. სწორედ ამ მიზნით უნდა მოხდეს ამბროლაურისა და ონის რაიონების დასპეციალება. წინამდებარე ნარკვევიც ცხადყოფს, რომ შესაძლებლობანი საკმაოა. შოვისა და უწერის პატრონს გაპრვება კარს არ უნდა ედგეს. უწერა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უძველესი კურორტია. მისი მაცოცხლებელი ჰაერი და წყლები საყოველთაოდ ცნობილია და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, ოღონდ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ კურორტის მძიმე მდგომარეობა. ერთადერთი სანატორიუმი „ფაზისი", რომელიც ამ ოცი წლის წინათ აშენდა, უკვე მოძველებულია. წყალგაყვანილობის უწესივრობის გამო, რასაც ქრონიკული ხასიათი აქვს, კედლები იმდენად არის დანესტიანებული, რომ სოკოვანი ავადმყოფობაა გაჩენილი. თავიდანვე არ გაუთვალისწინებიათ ორმაგი კარ-ფანჯრები, ამიტომ გვიან შემოდგომით იმდენად ცივა, გათბობაც ვერ შველის. კურორტს აკლია თანამედროვე სამედიცინო აპარატურა. სპეციალისტების ნაკლებობის გამო, რაც აქვთ, იმასაც ვერ იყენებენ. თუ სანატორიუმი მაინც მუშაობს დიდი გაჭირვებით, დირექციისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალების დაძაბვით. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში დამსვენებელი კმაყოფილი ვერ იქნება. 1987 წელს — სასტიკი სტიქიური უბედურების ჟამს, მოდიდებულმა რიონმა მინერალური წყლები წა-

ლეკა, რომელთა დებეტი დღე-ღამეში მილიონ ლიტრს აჭარბებდა. ეს ზარალი რატომღაც გაუცნობიერებელი დარჩა. წყაროსთვალი ჯერ კიდევ გადარჩენილია, ის კვლავ წყალუხვია, თუმცა რიონის პირისპირაა უმწეოდ დარჩენილი. მდინარის ერთი მოდიდება საკმარისია, რომ ბუნების ეს უნიკალური საჩუქარი საბოლოოდ დაიღუპოს. ამჯერად სტიქიას უკვე ვერაფერს დავაბრალებთ, საკუთარ გულგრილობას უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

უწერაში ათ წელზე მეტია, შენდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სანატორიუმი და მხოლოდ საძირკველია ამოყვანილი. სანატორიუმ „ფაზისის" გვერდით გაჭიანურებულად მშენებარე ეს ობიექტი, კურორტს განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე აყენებს, დამსვენებელთათვის არასასურველ გარემოს ქმნის. ასევე შეიძლება ითქვას უწერის ეკლესიის აღდგენაზე, რომელიც კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. „გვერითის" წყაროზე საბაგირო გზის გაყვანა ხომ აუხდენელ ოცნებად დარჩა.

მიუხედავად მოუწყობლობისა, ზაფხულობით უწერას უამრავი დამსვენებელი აწყდება, უფრო სწორად კუჭ-ნაწლავით დაავადებულნი მოდიან, რათა სასწაულმოქმედი წყლით იმკურნალონ და მძიმე სენისაგან თავი დაიხსნან. მაგრამ კურორტის მომსახურე პერსონალი ორგანიზებულ დამსვენებელს ვერ აუდის, ხოლო უსაგზურად მოსულნი ხომ სულ ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი. ერთადერთ მოქმედ სანატორიუმ „ფაზისის" დირექციას საკუთარი პრობლემები ყოფნის და რა ქნას მრავალმა ავადმყოფმა, რომლებიც მოსახლეობას შეჰფარებიან და მკურნალობას ამაოდ ცდილობენ. მინერალური წყლის უდროო დროს მიღება ზოგიერთისათვის საბედისწეროც კი ხდება. პირდაპირ რომ ვაღიაროთ, კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით, შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. მითუმეტეს, გამოსავალის პოვნა შესაძლებელია: სოფელი უწერა კურორტმა შეინარჩუნა. მოსახლეობა საკუთარი კაპიტალური სახლებით კურორტის ტერიტორიაზედაც კი შეიჭრა. ამრიგად, დამსვენებელთათვის უწერაში ბინის შოვნა პრობლემა არ არის, ეს საკითხი ძირითადად მოგვარებულია. ახლადაშენებული სასადილო მთელი დატვირთვით რომ ამუშავდეს და იქ შესაფერისი დიეტური კერძები დამზადდეს, ავადმყოფთა ორგანიზებული კვებაც შესაძლებელი გახდება. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და სრულყოფის საფუძველზე ადვილია სამედიცინო მომსახურების გაფართოება. სამკურნალო წყლის მარაგი ფაქტიურად ულევია. საჭიროა თანამედროვე საპროცედუროთა გამართვა, საბაზანოს აღდგენა-გაზრდა და, რაც მთავარია, ექიმ-სპეციალისტთა მოზიდვა. თავს თუ შევიწუხებთ, მათი მოძებნა ძნელი როდია. არცთუ ბედნიერმა შემთხვევამ გამაცნო ახალგაზრ-

და ექიმი ვალერი კონჯარია, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, კუპ-ნაწლავის დაავადებათა უებრო, უკვე სახელგანთქმული მკურნალი. მისი ძალა არა მხოლოდ თანამედროვე სამედიცინო მეთოდებსა და ტექნიკის ღრმა ცოდნაშია, არამედ განსაკუთრებულად განსწავლულია ხალხურ მედიცინაშიც, წარსულის გამოცდილების უახლეს მიღწევებთან შეერთება უეჭველი წარმატების საწინდარი ხდება. ვალერი კარგად იცნობს უწერას, მის სამკურნალო წყლებს და მსოფლიოში მათ პირველობას აღიარებს. ოღონდ მისაღწეველი მიიღწევა არსებული საკურორტო მეურნეობის სრული და დაუყოვნებელი გარდაქმნის შედეგად. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი სანატორიუმები მშრომელთა ჯანმრთელობის შეუდარებელ კერებად გადაიქცევიან და ეს არც ისე აუხდენელი ოცნებაა, თუ სწორად შერჩეულ კადრებს, სპეციალისტებს სათანადო მხარდაჭერა ექნებათ. ახლა, როდესაც პირადმა ინიციატივამ და კოოპერირებამ საერთო აღიარება ჰპოვა, უწერა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ის კეთილმოწყობილ, მომგებიან კურორტად გადაიქცეს, თუ ამის ორგანიზატორები გამოჩნდებიან. რა თქმა უნდა, მსურველები არიან, თუმცა სახელმწიფოს დახმარების გარეშე, მხოლოდ „კერძო შესაძლებლობაზე" დაყრდნობით, ვერავინ ვერაფერს გახდება. ალბათ დადგა დრო, სახელმწიფოებრივი ინტერესები და პირადი კეთილი მისწრაფებანი ხალხის სასარგებლოდ შეერთდნენ და ბოლო მოეღოს განუკითხაობას, რისი სავალალო შედეგის ერთ-ერთი მაგალითია კურორტი უწერა — ბუნების ძვირფასი საჩუქარი — მოუვლელობით და უპატრონობით შესაბრალისად გაპარტახებული.

ასეთივე მდგომარეობაშია შოვიც. კავკასიონის წარმტაც მთებს შორის მარგალიტივით ჩამჯდარი ეს კურორტი განთქმული მინერალური წყლებით, წიწვნარებით, სასწაულებრივად კეთილმოქმედი ჰაერით, ერთ-ერთი უპირველესია. ამ საუკუნის 20-იან წლებამდე შოვი სოფელ გლოლის ტყე და სათიბ-საძოვარი იყო. მისი აგარაკად ქცევა ცნობილი რევოლუციონერის შამშე ლეჟავას დამსახურებაა. განათლებული ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე გლოლას აფარებდა თავს და მან შოვის საკურორტო ღირსება პროფესიული ალღოთი შეიცნო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ლეჟავამ ოცნება სინამდვილედ აქცია, შოვში კურორტი ააგო. გაიხსნა პირველი და მეორე სანატორიუმები, არქიტექტურულად და სამედიცინო მომსახურებით სრულყოფილი დაწესებულებანი, რომელთაც მალე გაითქვეს სახელი. აქედან გამომდინარე, ონის რაიონში შამშე ლეჟავას მოსაგონარი დღესასწაული რომ დაარსებულიყო, სრულიად კანონზომიერი იქნებოდა. სამწუხაროდ, ლეჟავას ღვაწლი არც ადგილობრივ მუზე-

უმშია შესაფერისად ასახული და არც შოვს გააჩნია მისი დამაარსებლის მემორიალი.

ასეთი შესანიშნავი დასაწყისის შემდეგ, მკითხველი იფიქრებს, რომ შოვი გაიზარდა, გაიფურჩქნა და თანამედროვე, მძლავრ კურორტად ჩამოყალიბდა. ვაი რომ ასე არ მოხდა. ერთადერთი კაპიტალური შენობა — ცეკავშირის დასასვენებელი პანსიონატი კურორტის შამშესეული დაგეგმარების გაუთვალისწინებლად აშენდა და ზღაპრულად სრულყოფილ ლანდშაფტში ვერ ჩაიწერა. 60-იან წლებამდე მოქმედი სანატორიუმები რატომღაც დასასვენებელ სახლებად ჩამოაქვეითეს და შოვი ჩვეულებრივი, კეთილმოუწყობელი აგარაკი გახდა. ახლა ყოფილი სანატორიუმები დანგრევის პირასაა მისული. განსაკუთრებით დასანანია პირველი სანატორიუმი, რომლის კოპწია შენობა ხელთუქმნელ ბუნებას ნამდვილად ამშვენებდა. ამრიგად, შოვი ყოფნა-არყოფნის აგონიას ვანიცდის.

განახლებას საჭიროებს ადგილობრივი ტურბაზა, რომელიც, ჩემი აზრით, კურორტთან ერთად, მთის რაჭის კეთილდღეობის წყაროდ უნდა ქცეულიყო. მიუხედავად კრიზისისა, სოფელი გლოლა მაინც შოვით და ტურბაზით არსებობს, თუმცა შამშე ლეჟავას დაწყებული საქმე სათანადოდ რომ გაგრძელებულიყო, შოვი მთელ რაჭას დაარჩენდა და დაასაქმებდა. ბუნების ბოძებულს როცა ადამიანი ზურგს შეაქცევს და საკადრისად ვერ დააფასებს, ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც რაჭის სოფლებია. შეუძლებელია არ ვაღიაროთ: ის, რაც დღეს რაჭაში ხდება, სრულიად კანონზომიერია. საარსებო საშუალებათა ყველა ძარღვი, წერაატანილივით, საკუთარი ხელით გადაჭრეს. „ღობეს მოერღვა გირგალი..," (საგანგებოდ გაკეთებული თავი), ძნელია რღვევის შეჩერება...

არანაკლები საკურორტო შესაძლებლობანი აქვს ქვემო რაჭას. შაორის ტაფობი და საწალიკეს კალთებს შეფენილი, წიწვნარებში ჩაძირული სოფლები (ველევი, ბეთლევი, შხივანა, წკადისი, სხარტალი, თლუღი და სხვ.) ნებისმიერი კულტურულ ქვეყანაში საერთაშორისო სახელს დაიმკვიდრებდნენ. ჰქონდათ გემოვნება იმერეთის მეფეებს, როდესაც საზაფხულო სასახლეებს ამ მხარეში აგებდნენ. ახლა იქ მიგრაცია მძვინვარებს, თუ დროულად არ მივეშველეთ, ადამიანებისგან დაობლებულ ნასოფლარებს მივიღებთ. კურორტის აშენება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ თუ მკვიდრ მცხოვრებლებს არ გავუფრთხილდით, ტრადიციული სოფლის აღდგენა შეუძლებელი გახდება. კურორტშენებლობა ნასოფლარებზე კი არ უნდა მოხდეს, არამედ დასასვენებლად და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ესოდენ გამოსადეგი ბუნება სოფლის დასაქმება-შენარჩუნებისათვის უნდა გამოიყენოთ. სანამ რაჭის სოფელი ცოცხალია, მანამდე უნდა გავუჩინოთ

საშველი. მკვიდრის ტრადიციული ცხოვრების წესი, საწარმოო ცოდნა-გამოცდილება ის სალარო და საგანძურია, რომელიც ერთხელ თუ დაიცალა, ვერაფრით ვერ შეავსებ, ამიტომ წინაპართა ამ ნაამაგარს თვალისჩინივით სჭირდება გაფრთხილება.

ტრადიციული რაჭული სოფელი ბუნების სრულქმნილი ნაწილია, რელიეფს ისე შეხამებული, თვით უფლის ნებით გაჩენილად ჩაითვლება. მთა-ბარს, მიწა-წყალს მუშაკი არა მარტო იყენებდა, არამედ თავისი ნამოქმედარით ინახავდა და ამშვენებდა. ღვთაებრივ რწმენამდე მაღლდებოდა დედა-ბუნების ხელშეუხებლობისა და სიწმინდის დაცვა: — „არ ვარგიაო", — იტყოდნენ და მორჩა, ყოველგვარ კანონზე მეტად ჭირდა ეს „მაგიური" სიტყვები. ბუნების ბოძებულს სოფელი ამომწურავად ითვისებდა, შთამომავლობით გადადიოდა დასვენებისა და მკურნალობის მაღალი კულტურა. უქმეთა დაცვას, წლის დროთა მიხედვით მარხვისა და კვების რაციონის შერჩევას საკვებარაკო ადგილების ათვისება ემატებოდა. მინერალურ წყლებს ოდითგანვე სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ. თითქმის ყველა გოგირდოვან წყაროზე აბანოები ჰქონდათ გამართული. ფრიად სამწუხაროა, რომ ეს ცოდნა-გამოცდილება ახლა იკარგება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რაჭა მთლიანად კურორტი იყო და ასევე უნდა დარჩეს, ოღონდ ნასოფლარებითა და მოუვლელი ისტორიული ძეგლებით კი არა, ადგილობრივი მცხოვრებლებით სავსე, რომლებიც სტუმარს ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღებენ და ყოველმხრივ კმაყოფილს გაისტუმრებენ. ეს არ იქნება პატრიარქალური წესის შესრულება, არამედ დასვენება-მკურნალობისა და ტურიზმის რაჭის საჭიროებასთან ისეთი შერწყმა, რომლის მეოხებით მთელი კუთხე დასაქმდება და გადარჩება.

ნურავინ იფიქრებს, რომ რაჭა გამონაკლისი იყოს. მიგრაცია მთიანეთს მთელ საბჭოთა კავშირში ღრღნის, ამიტომ მეცნიერები ერთადერთ სწორ დასკვნამდე მივიდნენ: „ესოდენ ვრცელი მთის რეგიონების გარდაქმნა აგრარულ-რეკრეაციულ ტერიტორიულ კომპლექსებად, ბუნებრივ ეთნოგრაფიულ ნაკრძალებად და პარკებად ჩვენს ქვეყანას ზარალს არ მიაყენებს, ხოლო ეფექტი — თავდაპირველად არაპირდაპირი, სოციალური, შემდგომ კი, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების კვალობაზე, — პირდაპირი, ეკონომიკური, უთუოდ საგრძნობი იქნება.

მთები უნდა შევინარჩუნოთ არა მარტო როგორც ბუნებრივი კომპლექსები, არამედ როგორც ჩვენი ფიზიკური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი" (ბ. როდომანი, ადამიანი მთებში, „ზნანიე სილა", 1987, № 12).

საბოლოოდ შეიძლება ასე შევაჯამოთ სათქმელი: 1988 წლის 30 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა რაჭის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელსაც მეცნიერების ყველა დარგის სპეციალისტი ესწრებოდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ რაჭის ორივე რაიონისა და რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი და ფართო საზოგადოება. დაიხატა ფრიად მძიმე სურათი, რაც სრულად აისახა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. კონფერენციის ყველა მონაწილე ერთ დასკვნამდე მივიდა: რაჭის ხსნისათვის უნდა მოხდეს არსებულ საშუალებათა მაქსიმალური გამოყენება, საქართველოს ამ მნიშვნელოვანი ისტორიული კუთხის ასეთ ვითარებაში დატოვება მიუტევებელია. გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ" კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრი ასე ჩამოაყალიბა: „ადგილზე თითოეულ კაცს უნდა გაეუფრთხილდეთ. შევძლოთ ის, რომ დღესდღეობით ვინც არის იქ, ის ვაინც შეინარჩუნოთ. ამ საქმეში დიდი დრო დაკარგეთ, მეტის დაკარგვა უკვე აღარ შეიძლება, ამას იქით დაღუპვაა. უნდა ითქვას, რომ დასაკარგავიც თითქმის აღარაფერი დაგვრჩა" (1988, № 163, 14 ივლისი, გვ. 3).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის შემსწავლელი კომისიის რაჭის შუდმივმოქმედი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის მიერ 1988 წლის ზაფხულში რაჭაში არსებული ვითარება ერთხელ კიდევ შემოწმდა, რისი სრული გათვალისწინებითაც დაიწერა წინამდებარე წიგნი. ვაჯამებთ რა გაწეულ მუშაობას, საჭიროდ მიგვაჩნია რაჭაში მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესების მიზნით, გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

რაჭის მთავარი სატკივარი მოსახლეობის ბუნებრივი კლებაა, რაც განპირობებულია ერთმანეთისგან გამომდინარე მრავალი მიზეზით. ამათგან უმთავრესია მამაპაპური საწარმოო ცოდნა-გამოცდილების შეუფასებლობა და მრავალნაცად ყოფით ტრადიციებზე ხელის აღება. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა თაობათა დამაკავშირებელი ჯაჭვი გაწყდეს და რაჭამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მწარე ჯვედრი გაიზიაროს. რაჭის ხსნა დღეს შეიძლება, თუკი მისი გადარჩენისათვის ყველაფერი გაკეთდება. დაგვიანება დაღუპვის ტოლფასია.

რაჭა ჩრდილოეთ კავკასიას უშუალოდ ესაზღვრება და ორი საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტი ფასისა და მამისონის უღელტეხილებზე გადადის. ამრიგად, ბევრი მოგზაური საქართველოს გაცნობას რაჭით იწყებს და ამიტომაც მისი ბუნება და ისტო-

რიული ძეგლები სამაგალითოდ უნდა იყოს მოვლილი, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. ტურისტებს საერთოდ გაუცნობიერებელი რჩებათ ჩვენი მდიდარი ისტორია, წარმოდგენა არა აქვთ კოლხეთის უძველეს კულტურასა და რაჭის მაღალმთიანეთის უნიკალურ სიძველეებზე. მაშასადამე, ისტორია თანამედროვეობის საინსახურში ვერ ჩაგვიყენებია, პრაქტიკული გამოყენებისათვის ვერ გაგვიაზრებია, რითაც ვკარგავთ საკუთარი ეროვნული ღირსების პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებას და უხვ შემოსავალს. არსებული ვითარებიდან თავის დაღწევის მიზნით, სასურველად მიგვაჩნია შამისონისა და ფასის უღელტეხილებზე დაიდგას შესაბამისი მემორიალები; მნახველთა მისაღებად მოეწყოს ღების მთებში მიკვლეული, მსოფლიოში უძველესი სამთამადნო მაღაროები, ბრილში განახლდეს ბრინჯაოს ნივთების წარმოება, ხოლო წედისში რკინის ხალხური წესით მოპოვება და დამუშავება. მეტალურგიის ამ პირველადი კერების გაცოცხლებას პრაქტიკულთან ერთად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება.

ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნება რაჭის უპირველესი ამოცანაა. ამ მხრივ დიდი სიფრთხილეა საჭირო სამთამადნო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. ქვაისის, ირის და განსაკუთრებით ურავის მოქმედი მაღაროების და საწარმოების მავნე ზეგავლენა ჯერჯერობით დაძლეული არ არის (ფაქტები იხ. ბუნების დაცვის ამბროლაურის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის ამირან ვაჩაძის წერილში — „ეკოლოგია — დღის საზრუნავი", „კომუნიზმის დროშა", 1988, № 145, 3 დეკემბერი, გვ. 3). გამწმენდი ნაგებობების უქონლობის გამო წყალსა და ჰაერს აჭუჭყიანებენ კურორტები შოვი და უწერა, მესაქონლეობის ფერმები და სხვა. სამწუხაროდ, რაჭაში არცერთი გამწმენდი ნაგებობა არ მოქმედებს. შეიძლება პირდაპირ ითქვას — ვარემოს დაცვის არავითარი თანამედროვე კულტურა არ არსებობს. ამ საკვალილო მდგომარეობიდან თავის დაღწევა საღღეისო საზრუნავია.

ამბროლაურის რაიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება. ძირითადად, მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგის მევენახეობა-მეღვინეობის მოშლამ გამოიწვია, ამიტომ სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია, მევენახის შრომა იმდენად უნდა დაფასდეს, რომ მან წინაპართა საქმიანობას საბოლოოდ ზურგი არ აქციოს. და რომ ეს ასე არ მოხდეს, მევენახეებს უვადო სარგებლობაში უნდა გადაეცეთ ვენახები და საკენახე მიწები. როგორც ამბროლაურელი ამხანაგები ფიქრობენ, რაიონში თუ შეიქმნება აგროფირმა „ხვანჭკარა", რომლის მეშვეობით სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა და ფასების რეგულირება მიიღწევა (ნ. შარაბიძე, „კომუნიზმის დროშა", 1988, № 124,

15 ოქტომბერი, გვ. 1), მოსავალი იმის მომყვანს დახარჯულ შრომას აუნაზღაურებს და მოგებასაც მისცემს, მევენახე ვაზის შესაწამლი და დასამუშავებელი უახლესი საშუალებებით და ტექნიკით დაუბრკოლებლად მომარაგდება, მაშინ ვაზის უიშვიათესი ჯიშები ალექსანდრეული და მუჯურეთულიც გადარჩება და ღვინო „ხვანჭკარაც". რაც მთავარია, დალუპვისაგან ვიხსნით ქვეყნის რაჯას — საქართველოს უდიდეს და უპირველეს სიმდიდრეს, მის შრომისმოყვარე, ცალრჯე, პატიოსან ადამიანებს.

სასურველია, ონის ღვინის ქარხანა, რომელიც გაპარტახებულია და ოხრდება, კვლავ იქცეს სამეცნიერო მუშაობის კერად. დაუყოვნებლივ გადაეცეს საქართველოს მეხილეობის და მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობა წამგებიანია და წლების მანძილზე ადგილობრივ სასიცოცხლო რესურსებს ნთქავს. რაც დრო გადის, საქონლის შენახვა მით უფრო ჭირს, უკუგება კი ნულამდეა დაყვანილი. აი, რას წერენ ამბროლაურელი სპეციალისტები: „მთავარია საკვები რესურსები. თეორიული გაანგარიშებითაც კი რაიონს საკვები რესურსების პოტენციალი სანახევროდაც არა აქვს საკმარისი დღევანდელი სულადობის (7300) ნორმალური ზოოტექნიკური მოვლა-პატრონობისათვის. ამიტომ აუცილებელია, სათიბ-საძოვრების შესაძლებლობათა ექვივალენტურად, 4500 სულამდე შემცირდეს პირუტყვის საერთო რაოდენობა" („კომუნიზმის დროშა", 1988, № 99, 18 აგვისტო, გვ. 2). ჩემი აზრით, გაჯაგნარებული საძოვრები და სარეველმოჭარბებული სათიბები ვერც 4500 სულ პირუტყვს შეინახავს. მეტადრე ადგილობრივი საკვები — მარცვლეული, ბზე, ჩალა და სხვა, საკმაო ხანია რაიონს აღარ მოეპოვება. ასეთივე მდგომარეობაა ონშიც. როგორც უკვე დავრწმუნდით, ახლად დანერგილმა ექსპერიმენტებმა ვერავითარი შედეგი ვერ მოგვცა, ამიტომ ისევ მრავალნაცად ტრადიციულ გზას უნდა გავყვეთ, საერთოდ ხელი ავიღოთ საზოგადოებრივ წამგებიან მეცხოველეობაზე და მოსახლეობას უფლება მივცეთ რამდენიც შეუძლიათ, იმდენი სული საქონელი მოაშენონ. ამისათვის არავითარი განსაკუთრებული ხარჯები არ იქნება საჭირო, მხოლოდ სახნავი (მეცხოველეობის ძირითადი ბაზა ესაა) და სათიბ-საძოვარი მწარმოებელს პირად სარგებლობაში უვადოდ გავუპიროვნოთ და მათი მოვლა-გამოყენება მამაპაპური წესის მიხედვით დავავალოთ, თან თანამედროვე ტექნიკითაც შევუწყოთ ხელი. უანგაროდ მოვეხმაროთ მიღებული პროდუქციის რეალიზაციაში, რომელიც თვით მწარმოებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება, მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით, სწორედ ამ

გზით გაბდება მეცხოველეობა მომგებიანი, სულადობაც სწრაფად აღდგება — რეალური და არა პირობითი.

როგორც წამგებიანი და არაფრის მომცემი, რაჭაში დროულად უნდა გაუქმდეს საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. მოსახლეობის მართვა განხორციელდეს საბჭოების მეოხებით. მიგრაციას გადარჩენილი, ჯერ კიდევ ადგილზე მოქმედი გლეხები, რომლებიც რაჭის ხსნის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, აღიარებულნი იქნენ ინდივიდუალურ მწარმოებლებად და ადგილობრივ საშუალებათა სრულ ბატონ-პატრონად. პირადი მეურნეობის სრულფასოვნად მოწყობისათვის, საბჭოთა კანონიერების ფარგლებში, მიეცეთ მათ სრული თავისუფლება. მომარაგდნენ უახლესი ტექნიკით, გამოეყოთ ხელსაყრელი სესხი. სანამ მეურნეობას მომგებიანს არ გახდიან, ყოველგვარი დაბეგვრისა და გადასახადიდან განთავისუფლდნენ.

ინდივიდუალურ მწარმოებელს, ორივე მხრივ ხელსაყრელი ხელშეკრულებებით, შემოიკრებს საკურორტო და ტურიზმის შესაბამისი დაწესებულებანი, რომლებიც რაჭაში კარგა ხანია არსებობენ და ფართო მასშტაბის საქმიანობას ამაოდ ესწრაფვიან. აქედან გამომდინარე, მთლიანად რაჭა უნდა გამოცხადდეს ეროვნულ პარკად და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაკრძალად და ამის მიხედვით წარიმართოს მისი მეურნეობის განვითარება და მოსახლეობის დასაქმება.

ბევენახეობა-მეღვინეობასა და მესაქონლეობასთან ერთად, ინდივიდუალურ მეურნეობათა ბაზაზე უნდა აღდგეს მემინდვრეობა, უძველესი ენდემური ხორბლეულის ჯიშებით და სხვა მარცვლეულით.

ფართო ასპარეზი მიეცა ტრადიციულ მეხილეობას. რაჭული ხეხილის ჯიშების აღდგენა-გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. უპირველეს ყოვლისა, საგანგებო სანერგე მეურნეობა უნდა შეიქმნას, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე წარმატებით იმუშავებს. რაჭაში ხეხილის ნერგებზე დიდი მოთხოვნილებაა. ისინი გორიდან და სხვა შორეული რაიონებიდან მოაქვთ, მაგრამ უცხო ჯიშები რაჭაში ნაკლებნაყოფიერებენ და ჩვეულებრივ ზარალიანი არიან. ძველად ყოველ სოფელს საკუთარი ხეხილის ჯიშები ჰქონდა და ეს ცოდნა-გამოცდილება კვლავ პრაქტიკაში უნდა დაინერგოს.

განსაკუთრებული ყურადღება, მოვლა-პატრონობა სჭირდება რაჭის ტყეს. სამრეწველო მიზნით მისი გამოყენება უნდა აიკრძალოს. აუცილებელია ჭრა მხოლოდ ტყის მკურნალობა-გაკულტურებისათვის წარმოებდეს. აქედან მიღებული მერქანი ადგილობრივ გადამუშავდება. დამზადდება მეტად კოლორიტული, თავისებური რაჭული ავეჯი და ხალხური გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნიმუშები.

მიგრაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია უგზოობა და საერთოდ თანამედროვე კომუნიკაციების მოუგვარებლობა. განსაკუთ-

რებით მძიმე მდგომარეობაშია რიონის მარცხენა სანაპიროს, რაჭის ქედზე შეფენილი სოფლები. ქორთა, ჭიბრევი და მრავალძალი ზაფხულშიც კი სამყაროს არიან მოწყვეტილნი. სასურველია აღდგეს და მშრომელთა სამსახურში ჩადგეს უდაბურების ძველი შარაგზა, რომელიც ქვემო და ზემო რაჭას ერთ რეგიონად კრავდა და ამჟამად უგზოდ დარჩენილი სოფლების საიმედო კავშირს უზრუნველყოფდა. აღნიშნული გზის განახლება შესაძლებელს გახდის მიტოვებულ დასახლებათა თანამედროვე კომუნიკაციებით უზრუნველყოფას და გამოუყენებელი საკურორტო ადგილების მიზნობრივ ათვისებას.

რაჭის დიდი სიმდიდრეა წყალი, როგორც მინერალური, ისე ჩვეულებრივი. ამჟამად წყლის მოვლა-პატრონობის ხალხური წესჩვეულებანი დავიწყებულია, ხოლო წყლის თანამედროვე მეურნეობა მოუგვარებელია, რაც გამოუსწორებელ ზარალს აყენებს ნიადაგს, იწვევს მეწყერებს და ღვარცოფებს. წყლის მოვლის ხალხური ცოდნა-გამოცდილების აღდგენასთან ერთად, გადაუდებელია სარაიონთაშორისო წყალთა მეურნეობის სამმართველოს შექმნა, რომელიც შესძლებს წესრიგი დაამყაროს სასმელი და სარწყავი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში, თან მიწის დაცვა-უზრუნველყოფის ღონისძიებებსაც გაატარებს.

ჩაშლილ მშენებლობათა გამოსწორების მიზნით, სპეციალისტებთან ერთად. ხალხის წარმომადგენლობითი კომისია უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც გამოწვლილვით შეისწავლის ადგილზე შექმნილ ვითარებას. პროფესიულ დონეზე გამოამზეურებს ნაკლოვანებებს და მათი აღმოფხვრის გზებს დასახავს.

ყოველად გაუმართლებელია დღეს ადამიანი სტიქიის პირისპირ მარტო დარჩეს, ამიტომ 1987 წლის მძვინვარე ზამთრის მწარე გამოცდილება თაობებს უნდა გადაწვდეს. დროულად უნდა აღმოიფხვრას მისი შედეგები და მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

სახალხო დღესასწაულები ისტორიულად გააზრებული, ცხოვრებისეული მოვლენებია და ათასწლეულთა მანძილზე მშრომელთა საქმიანობის სინთეზს წარმოადგენს, სადაც თავს იყრის ხალხის გონივრულად დასვენების მთელი სისტემა. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად ახალი სახალხო დღესასწაულების შემოღება არაფრის მომცემია და ერთდროულ უაზრო ხარჯიან ღონისძიებებს ვერ შორდება. ხოლო ტრადიციული სახალხო დღესასწაულების აღდგენა მხოლოდ მეცნიერულ საფუძველზე უნდა მოხდეს, რაც დღეს შესაძლებელია სახალხო უნივერსიტეტის ან აკადემიის მეშვეობით განხორციელდეს. საზოგადოდ, მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა და მისი შედეგების რეალიზაციის ერთ-ერთი ქმე-

დითი ფორმა სახალხო უნივერსიტეტია, ეს უბრალო ჭეშმარიტება ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობითაც დადასტურდა, ამიტომ მისი საქმიანობა უნდა განახლდეს და რაჭაში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს.

ბუნებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ძეგლთა დაცვა-გამოყენება ფართოდ უნდა მოხდეს სამუზეუმო საქმისა და ტურიზმის თანამედროვე დონეზე ორგანიზაციის შედეგად. მიღებული შემოსავლის ნაწილი ძეგლებს მოხმარდება, მითუმეტეს რაჭის მატერიალური კულტურის ყველა ძეგლი მძიმე მდგომარეობაშია და დაუყოვნებლივ შველას საჭიროებს. სასურველია, რაც შეიძლება მალე დაიწყოს გლოლისა და ღების ძველი უბნების აღდგენა, ჯოისუბნისა და სხიერის ეკლესიების რესტავრაცია.

უახლოეს ხანში ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გარდაიქმნას რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად. აიგოს ახალი შენობა და მის ეზოში მოეწყოს ღია ცისქვეშ მუზეუმი. ამავე მუზეუმის ფილიალები გაიხსნება ამბროლაურში და ნიკორწმინდის ტაძართან.

სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყდეს კურორტების "მოვისა" და უწერის კეთილმოწყობის საქმე. ისინი გარდაიქმნას მძლავრ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ ჯანმრთელობის და აღდგენებრივ მშრომელთა დასაქმების მნიშვნელოვან კერებად.

მკითხველს უნდა ვაუწყოთ სასიამოვნო ფაქტი, რომ 1989 წლის 9 დეკემბერს შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა", რომელიც ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად იმოქმედებს. გამორიცხავს არაკომპეტენტურობას, უპასუხისმგებლობას და კორუფციას, რაც რაჭას, ვიმედოვნებ, გაჩანაგებისაგან იხსნის.

იძულებული ვარ ვაღიარო, რომ სოფელი უპატრონოდაა დატოვებული. სოფლის საბჭოს არავითარი საღსარი და შესაძლებლობა არ გააჩნია, რომ ადგილზე წამოჭრილ პრობლემათა მინიმუმი დააკმაყოფილოს. ზოგჯერ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე შემთხვევითი პირია და ობიექტურ მიზეზებს სუბიექტური უბადრუკობაც ემატება. მეტწილად ხალხი დაბნეულია და დეზორიენტირებულია. პროტესტს, უკმაყოფილების გამოხატვას და საჩივარს კვლავ მუხანათურად ახშობენ, სიმართლის მიმდევარ აქტიურ ადამიანებს „ინტრიგანის" მარკას აკრავენ და ავიწროებენ, დევნიან. ხალხსა და ადმინისტრაციას შორის გათიშვა იმდენად დიდია, ლამის ილია ჭავჭავაძისეული ჩატეხილი ხიდის იდეა მოესადაგოს. საბოლო შედეგი კი საეალალოა: სოფლის გადაუდებელ საჭიროებებზე აღარც ხალხი ზრუნავს და აღარც ხელმძღვანელობა, ამიტომ სოფელი აგონიაშია, იღუპება. რაც არ უნდა ოფლისმომცველი და შეუჩერებადი იყოს ეს მოვლენები, უფლება არ

გვაქვს მათ წინააღმდეგ არ ვიბრძოლოთ. უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციამ კეთილი უნდა ინებოს და საკუთარი საქმიანობა, მუშაობის სტილი კრიტიკულად გადასინჯოს. დღეს ძველი მეთოდებით მართვა შეუძლებელია. ხელქვეითთა დაშინება მათი უკანონო მოქმედების გამოვლენის შეკავრით, ტახტის განმტკიცების დულაბად ველარ გამოდგება. შრომით ურთიერთობაში ბოროტმოქმედებას, მაფიოზურ დამოკიდებულებას თვითონ ცხოვრებამ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. ჩვენ თუ გვინდა როგორც ერი გადავრჩეთ, „მარცხენა" შემოსავალს თავი უნდა დავანებოთ და ცხოვრების მიზნად ნაღდი, ჯანსაღი კომერცია გავიხადოთ. ესე იგი აღვადგინოთ ის, რაც ჩვენს მამაპაპას ოდითგანვე მოსდგამდა. მეპურემ პური გამოაცხოს, მჭედელმა ჭედოს, მხვნელმა ხნას, მწყემსმა მწყემსოს, მევენახემ ვაზს მოუაროს და ა. შ. ყველას შრომა უნდა დაუფასდეს და რაც მთავარია, ერთადერთ საარსებო საშუალებად იქცეს. უკანონობას, ალალი კაცის ყველაფას ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაეღობოს გზა, არა სახელგატეხილი ადმინისტრირების გზით, არამედ ჯანსაღი კომერციით. რომელიც შრომით ანაზღაურებას იმდენად უზრუნველყოფს, რომ ოჯახმა მარჩენალისგან დანაშაულის ჩადენის გარეშე იცხოვროს. დიახ, ჩემთვის ცასაგებია იუვენუალი ლიმილი, მაგრამ მტაცებლობამ დ აკაზაკობამ ხომ ხედავთ რა ვითარებამდე მიგვიყვანა? რაჭის დალუპვის უმთავრეს მიზეზს პატიოსანი შრომის უარყოფაში ვხედავ. ამჯერად დადგა დრო — მოსაპარავი არაფერია, ვირთხა ცარიელ ბელელში არ ჩნდება. თუ რაჭველ კაცს თავისუფალი, პატიოსანი შრომის პირობებს შეუქმნით, წინაპართა იდეალურად სრულყოფილ მეურნეობაზე კვლავ დავაკვალიანებთ, დავუბრუნებთ სისხლითა და ოფლით მორწყულ, მარჩენალ მიწას, აღვუდგენთ შთამომავლობით მილეებულ საწარმოო ცოდნა-გამოცდილებას, გამწეც ძალას, შრომის ორგანიზაციასა და იარაღს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფთ თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით; დავუბრუნებთ ეროვნულ მორალს, თავმოყვარეობას და რწმენა-წარმოდგენებს; დროებით მაინც გავანთავისუფლებთ ზეგარა-გადასახადებიდან. მოვამარაგებთ ხელსაყრელი სესხით და აუცილებელი პირველი მოხმარების საქონლით, და ბოლოს, რაც მთავარია, აზრს შევძენთ მის გარჯას და ოფლისღვრას. თუ ყოველივე ამას პრაქტიკულად განვახორციელებთ. მაშინ რაჭა კვლავ მოშენდება, წინაპრებმა შემთხვევაში გადაშენება გარდუვალია. სულ ცოტა სამი ათეული წელი რაჭაში მეცნიერულმა მუშაობამ ღრმად დამარწმუნა, რომ ასეთი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტას ჩინოვნიკები ვერ შესძლებენ. მითუმეტეს, რაჭაში დღეს არ არსებობს სოფელი, სადაც კონფლიქტური სიტუაცია არ

სუფევდეს. ჩინოვნიკები ხალხს ლანძღავენ, რომ ხალხი ზარმაცი და უსაქმურია; ხალხი ჩინოვნიკებს უპირისპირდება და მათ მუქთახორობაში, მექრთამეობაში, გამომძალველობასა და მომხვეჭელობაში ამხელენ. ხიდი უკვე ჩატეხილია. აქვე უნდა ვალიაროთ, რომ ხალხი საზოგადოებრივ მეურნეობებში მართლაც არ მუშაობს, რადგან იქ თანამშრომლობას არავითარი გამართლება აღარ აქვს. ხელმძღვანელობის ჭკუაზე სიარული, სასარგებლოც რომ იყოს, არავის ეპიტნავება, მხოლოდ ჯამაგირის შემყურენი არიან მორჩილნი, უსამსახურო კაცი მოუხელთებელია, იცის სამემკვიდრო მიწას არ დაანებებენ. ამიტომ ქვეყანა დიდია და აქაურ სოლარიბეს სხვაგან სიმდიდრეს ამჯობინებს. თოლიცა ადგილის დედის კვნესა ესმის, გული სტკივა. მშობლიური სანახების ევაკუაციებას მწარედ განიცდის, საშველად თუ ვინმემ უხმო და ის „ვინმე" ნალდი და საამედო იქნება, უყოყმანოდ მობრუნდება, საყვარელი სოფლის გაცოცხლება-აღორძინებისათვის დანაზოგ თანხასაც არ დაიშურებს. ფრიად სასიხარულოა, რომ რაჭის ზოგიერთ სოფელში ორიოდე იმედის მომცემი კაცი უკვე ტრიალებს, მაგრამ მოხელეებს ბრეყალები ჯერ არ მოსცვეთიათ, ჯანსაღი ურთიერთობანი ვერა და ვერ მყარდება, ზოგს დიქტატორული სოციალიზმი ზღუდავს, ზოგს კი პირადი სარფის გამოდევნება... საკუთრების გარანტიას არავინ იძლევა, სწორი ინფორმაციაც საძებარი გამხდარა, ძველი ყველაფერი აშლილია, ახალი კი არ დაკანონებულა. ბღვერიე წყალში თევზის დაჭერის აუცდენლობა კვლავ ძალაშია...

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭამ" შექმნილი რთული ვითარება მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაითვალისწინოს და როგორმე ჩატეხილი ხიდი აღადგინოს. ამის წინა პირობა ის არის, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველა ბიწიერებისაგან უნდა განიწმინდოს, ჭუჭყიანი ხელებით სუფთა საქმის კეთება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს კადრების სრული განახლება მყარდაქმნის თანამედროვე იდეების შესაბამისად. დაყოვნება დაუშვებელია: დღეს შველა შეიძლება. ხვალ გვიან იქნება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუჩნდეს საშველი ჯერ კიდევ ცოცხალ რაჭულ სოფელს და მარად, ყოველთვის, ყველასთან მართალს იქაურ გლეხს, ნამონღოლარი, ნაპარტახალი აქა-იქღა რომ შემორჩენილა და შესაშური მოთმინებით ელის სამართლიანობის აღდგენას.

საზოგადოებამ რაჭის ყველა სოფელში უნდა შექმნას რწმუნებულთა საკრებულო, რომელიც ხელში აიღებს მშობლიური სოფლის ბედ-იღბლის მართვას, საერთო საჭიროებისა და სიკეთისათვის თავს არ დაზოგავს, სამაგიეროდ მას სრული ძალა-უფლება ექნება, ანგარიშვალდებული უპირველესად ხალხის წინაშე იქნება; იმოქმედებს ახდილად, დაუფარავად, შრომაში სხვებს მაგალითს მისცემს და საქმი-

ანობას ისე წარმართავს, სოფლის ყველა მცხოვრებმა მოგება, მატერიალურ და მორალურ უზრუნველყოფას მიაღწიოს. ვინც საქართველოს ისტორია და ყოფა იცის დამეთანხმება, რომ ეს არ არის აუხდენელი განზრახვა. ჩვენი ქვეყნის დღემდე არსებობა სწორედ წარმართულმა ცხოვრების წესმა განაპირობა და ეს „ცხოვრების წესი" მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო. ახლა უკვე ნათელია, რომ მამაპაპათა ნაცადი გზიდან გადახვევა ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ქართული სოფლის სიკვდილი საქართველოს სიკვდილია, ამიტომ კეთილი ვინებოთ და თაობათა დამაკავშირებელი, გაწყვეტაზე მიმდგარი ჯაჭვი დროულად აღვადგინოთ, ვრდემლზე მძლავრად დავარისხოთ ურიები, რათა ამირანმა არ აიშვას. სხვა გზა არ გვაქვს, მისხიდან მისხამდე მშობლიურ მიწაზე მიჯაჭვული უნდა ვიყოთ, ღმერთს ქართველი კაცი მიწის მუშაკად გაუჩენია. ჭეშმარიტი ქართველობა მიწის მადლის დაფასება და სიყვარულია; საფუძველთა საფუძველი, ფესვი ფესვთაგანი ეს არის, შემდეგ კი სხვა დანარჩენი; ვინ შეზღუდა, ასპარეზი დიდია...

ქართული სოფელი ქართული მიწის ზეშთაგონებულმა სრულქმნილებამ უნდა იხსნას, მაგრამ მიწა უადამიანებოდ მიწაა და მეტი არაფერი. რაჭის ხსნა მხოლოდ რაჭველებს შეუძლიათ. აი რატომაა საჭირო საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა".

**Пруидзе Леван Акакиевич**

ТАМ, ГДЕ РОЖДАЕТСЯ РИОНИ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1990

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ყდაზე სლაიდი თ. ფურცხვანიძისა

სბ 4477

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ნ. შოვნაძე
კორექტორი ე. გოგავა
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 5.7.1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.2.1990;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.53;
პირობით ნაბეჭდი თაბახი 7.5; პირ. საღ. გატ. 7.88;
ტირაჟი 18000; შეკვეთა № 2878;

ფასი 1 მან 40 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19